ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

[esif,fsb7 !^ bfydfhb7 @)!$ 112 (6323) afcb5 #) stshb

აქცია

წიგნი 1 ლარად!

15 იანვრიდან

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4

+

მიხეილ ჭიაურელი

ფასი გაზეთთან ერთად 1 ლარი




# პროკურატურას ისევ ფარცხალაძე აკონტროლებს“



გვ.2

## თბილისის პარლამენტის შენობა ქუთაისს გადაეცემა

გვ.3

ზურაბ ტყემალაძის ინიციატივას დიდი ალიაქოთი მოჰყვა



## მთავარმა პროკურატურამ გოდერძი ჯოლოხავას საქმეზე გამოძიება დაიწყო

გვ.5

## ნაციონალური მოძრაობა სოზარ სუბარის გადადგომას ითხოვს

გვ.3





## ლევან ქიქნაძე: რუსეთი აფხაზეთს დაფინანსებას უმცირებს“

გვ.7

## კანონიერი ქურდები“ უკანონოდ ისჯებიან?!

რა წერია ტრაგიკომიკურ 223-ე პრიმა მუხლში

გვ.4





## ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველოში ბიზნესი უნდა გაადვილდეს“

გვ.6

## გიგი უგულავა: ეს არის ხარკი, რომელიც, როგორც ჩანს, უნდა გადავიხადოთ“

გვ.5





## თინა ხიდაშელი: როგორ გახდა მინისტრობიდან გადადგომისთანავე კეზერაშვილი მილიონერი?!“

გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

5 ხელისუფლებამ საარჩევნო რეფორმაზე უარი განაცხადა“

7 ნიკოლოზ მჟავანაძე: ხელისუფლება უმცირესობების ჭკუაზე არ უნდა დადიოდეს“

5 ხარირაშვილი მერიას ტენდერების კანონდარღვევით ჩატარებაში ადანაშაულებს

4 საავტომობილო გზებზე კვლავ შეზღუდვებია

# ნანა კაკაბაძე: პროკურატურას ისევ ფარცხალაძე აკონტროლებს“

## კლარა აბრამიას ნაციონალებმა სახლი წაართვეს, ოცნებამ კი კარავში შეუშვა

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ უფლებადამცველ ნანა კაკაბაძესთან

***— ქალბატონო ნანა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ სააკაშვილის დასჯას მსოფლიო არ მოგვიწონებს, რადგან მისი რეიტინგი, სამწუხაროდ, საქართველოს რეიტინგზე მაღალიაო... თქვენ როგორ გაიგეთ მისი ნათქვამი?***

— თავისთავად ეს იმას ნიშნავს, რომ იმ ძალას, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, არ შესწევს უნარი, მსოფლიოს მიაწოდოს ის რეალური სიტუაცია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ნაციონალური მოძრაობის და სააკაშვილის მმართველობის დროს. ეს გუნდი საკმაოდ სუსტია იმისათვის, რომ მან შეძლოს და დასავლეთში შექმნას იმისი რეალური განცდა, რომ საქართველოში 9 წლის განმავლობაში უხეშად ირღვეოდა ადამიანის უფლებები და ამ ქვეყანაში იყო წამება, ღირსების შემლახავი მოპყრობა, იყო ბიზნესის რეკეტი, იყო სრული განუკითხაობა, სასამართლო იყო აბსოლუტურად კონტროლირებადი და პოლიტიკური. ასევე პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო იყო პოლიტიზირებული. ის ვისაც დღეს ხელეწიფება, რომ დასავლეთს დაუდოს ეს მტკიცებულებები, ისინი ამას ვერ ახერხებენ, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ისინი არიან სუსტები. შეიძლება სხვა პრობლემაც იდგეს ამის უკან, არა სისუსტე, არამედ გარკვეული შეთანხმება.

***— შეთანხმება რასთან დაკავშირებით?***

— თუნდაც ის, რომ ქვეყანაში ორი ძალა უნდა არსებობდეს, რომ ეს იყო დასავლური მოდელი, შექმნილიყო ორი ძალა და „ქართულმა ოცნებამ“ გარე ზეწოლების გამო, ნაციონალური მოძრაობა შეინარჩუნა, როგორც პოლიტიკური ძალა და მათ არ მისცა ის კრიმინალური სტატუსი, რასაც ის თავისი მოღვაწეობით იმსახურებდა. შეიძლება სწორედ ამიტომაც, დასავლეთს არ მიაწოდეს ადეკვატური ინფორმაცია, დასავლეთის იმ წრეებს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებით.

***— რამდენად შეეგუება ამას საზოგადოება, რომ ნაციონალებმა იარსებონ როგორც პოლიტიკურმა ძალამ და ერთ-ერთმა მთავარმა ოპოზიციამ ქვეყანაში?***

— შეეგუება კი არა, უფრო მეტიც ხდება დღეს, ხელისუფლების მმართველობის სტილი იმდენად მიუღებელია საზოგადოებისთვის და იმდენად ცალსახაა დღევანდელი ხელისუფლების ორიენტირება მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე და არა საზოგადოების ინტერესებზე, რომ სამწუხაროდ, საზოგადოებას მიმტევებლობა გაუჩნდა ისეთი ბოროტი ძალის მიმართ, როგორიც იყო ნაციონალური მოძრაობა. ახლა მე ვერ ვიტყვი, რომ ესენიც ნაციონალური მოძრაობის მსგავსად იქცევიან ერთი ერთში, მაგრამ აღარც ბევრი უკლიათ. მთავარი კი ის არის, რომ საზოგადოებას ძალიან დიდი მოლოდინი ჰქონდა ამ ახალი ხელისუფლების. დიდი მოლოდინი იყო იმისა, რომ ეს ხელისუფლება სამართლიანობას აღადგენდა და დღეს, როდესაც სამართლიანობის აღდგენის ნაცვლად ჩვენ ვხედავთ, რომ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე, საკუთარი ბიზნესის აწყობაზე, საკუთარი ხელფასების მომატებაზე, პრემიებზე, მანქანებსა და ფუფუნებაზე ფიქრობს, ასეთი ხელისუფლება, რომელიც თითქმის სისხლისგან დაცლილი ქვეყნის სათავეში მოვიდა, ეს ძალიან ცუდად მეტყველებს დღევანდელ ხელისუფლებაზე. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, საზოგადოება ეგუება წარსულს და ფიქრობს, რომ ხელისუფლება ყოველთვის ცუდია და აქედან გამომდინარე მიმტევებლობა უჩნდება ისეთი მიუღებელი ძალის მიმართ, როგორიც ნაციონალური მოძრაობა იყო.

***— აქტიურად საუბრობენ, რომ ძალიან მალე დადგება დღის წესრიგში ვადამდელი არჩევნების საკითხიო. რამდენად მიღწევდია ეს მოთხოვნა და თქვენ თუ ხედავთ ამის შანსებს?***

— თქვენ იცით, რომ ჩვენ ერთ-ერთი პირველი ვიყავით, ვინც სწორედ ვადამდელ არჩევნებს მოვითხოვდით ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში ყოფნის დროს და ვაცხადებდით, რომ ამ პარლამენტს ლეგიტიმაცია არ გააჩნდა. დღეს კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთა, რომ დღევანდელი ხელისუფლების პოზიციები საზოგადოებაში იმდენად შემცირებულია, რომ



ძალიან სერიოზული გაყალბება იქნება საჭირო, რომ პოზიციები შეინარჩუნონ. ამავე დროს დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში არ არსებობს ძალა, რომ კონკურენცია გაუწიოს ხელისუფლებას და არის საშიშროება, რომ ისევ ამ ორ ძალას შორის მოხდეს ძალაუფლების გადანაწილება.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ჯერ უნდა გამოიკვეთოს ძლიერი პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც დაუპირისპირდება ხელისუფლებას და ამ შემთხვევაში ექნება აზრი ვადამდელ არჩევნებს?***

— რასაკვირველია, ჯერ ქვეყანაში უნდა გაჩნდეს რეალური ალტერნატივა. მე იმედს გამოვთქვამ, რომ ასეთი ახალი ძალა აუცილებლად შეიქმნება, რეალურად ახალი და არა მოჩვენებითად ახალი, ასეთი დღეს ბევრია და ეს მიუღებელია, ეს სიკეთის მომტანი არ იქნება. მართლაც უნდა გაჩნდეს ქვეყანაში ისეთი ძალა, რომელიც საზოგადოების ინტერესებსა და ხალხის ინტერესებზე იქნება ორიენტირებული და მას ექნება ხალხის მხარდაჭერა.

***— ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, როგორ ფიქრობთ, ეს თუ შეცვლის პოლიტიკურ სიტუაციას ქვეყანაში?***

— ყოველ შემთხვევაში, ცვლილების დასაწყისი იქნება. ერთბაშად ვერ შეცვლის, მაგრამ ბევრი რამ გამოიკვეთება. მანამდე კიდევ დროა და ამ არჩევნებამდე საქართველოში პოლიტიკური რეალობა შესაძლოა ძალიან სწრაფად შეიცვალოს.

***— რაც შეეხება სასამართლო სისტემას, როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ დააღწევს თავს ნაციონალების გავლენისგან და გახდება დამოუკიდებელი?***

— იცით რა არის, თუ არ მოვიდა ქვეყანაში ხელისუფლება, რომელიც პირველ რიგში სრულად აიღებს ხელში ძალაუფლებას და ეს ორხელისუფლებიანობა, რომელიც ჯერ ისევ არის, ეს აღარ იქნება, ხელისუფლება, რომელსაც ექნება ნება, ქვეყნის დემოკრატიული გზით განვითარების. თუ ამისი სურვილი ექნება, რომ ქვეყანა დემოკრატიულად განვითარდეს, ბუნებრივია, ის თავისუფალ სასამართლოსაც შეუწყობს ხელს. დღეს ეს ხელშეწყობა არ ჩანს. გარეგნულად ისე ჩანს, რომ ხელისუფლება თითქოსდა არ ახდენს გავლენას ამ სასამართლოებზე, მაგრამ მე ვიტყოდი, რომ ვერ ახდენს, განა არა ახდეს, რადგან ძირითადად მართვის სადავეები სასამართლოზე, ისევ ნაციონალების ხელშია, კუბლაშვილის ხელშია და აქედან გამომდინარე, ისინი გავლენას ვერ ახდენენ. შემაკავებელი ფაქტორი ვერ მოხდენა კი არ უნდა იყოს, არ მოხდენა უნდა იყოს. არ უნდა უნდოდეს ხელისუფლებას სასამართლოს მართვა. აი, ეს არის მთავარი.

***— როგორ ფიქრობთ, შეიქმნება ხარვეზების დამდგენი კომისია? უმრავლესობა საუბრობს, რომ აუცილებლად შეიქმნება და აუცილებლად აღსრულდება სამართალიო... რამდენად გჯერათ ამის?***

— რომელ საუკუნეში? დავუსვათ ერთი შეკითხვა, რომელი საუკუნისთვის აქვთ ეს დაგეგმილი?! იმიტომ, რომ როდესაც მოდიოდნენ ხელისუფლებაში, საზოგადოების უპირველესი მოლოდინი იყო ეს. მერე გვითხრეს, რომ ბიუჯეტი არ გვაძლევს ამის საშუალებასო, მერე გვითხრეს, რომ კომისიის შექმნის მექანიზმი ვერ იქნება ეფექტურიო, თითქოსდა ჩვენ მივაწოდეთ ეს იდეა და მათგან არ წამოსულიყო. ნება არ არის დღეს ამ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის. დღევანდელ ხელისუფლებას არა აქვს პოლიტიკური ნება სამართლიანობის აღდგენის, იმიტომ, რომ ან გარიგებულები არიან ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებში და დღეს ძირითადი ბერკეტები კვლავ ნაციონალური მოძრაობის ხელშია, ისინი მანიპულირებენ და მართავენ პოლიტიკურ პროცესებს და აქედან გამომდინარე, როგორ აღდგება სამართლიანობა?! მთავრობას მიზეზი არასოდეს დაელევა, ხან იქნება ბიუჯეტი, ხან კომისიის არაეფექტურობა და ხან რა და ხან რა. მათ ამის გაკეთება არ უნდათ. ერთია, რომ უსუსურები არიან და ვერც ახერხებენ და მეორეა, რომ არ უნდათ, უკვე მოერგნენ ამ სიტუაციას, მოხდა რაღაცნაირად გადანაწილება ბიზნესის, ქონების, კეთილდღეობის და აღარ უნდათ რყევები. ამას ხალხიც ხედავს, ექსპერტებიც ხედავენ და აქედან გამომდინარე უახლოეს პერიოდში ასეთი მოლოდინები არა მაქვს. საზოგადოება უნდა გახდეს უფრო აქტიური, უფრო მომთხოვნი, თორემ რას ჰგავს ხელისუფლების საქციელი? ეს შავი ჯიპები და მაინცდამაინც შავი სალონებით, ჭერში ტელევიზორები და რეებს უკვეთავენ, გაგიჟდებით. ეს არის გულის ამრევი უნახაობის და ცუდი გაგებით პროვინციალიზმის ერთობლიობა, რასაც ეს ხელისუფლება დღეს ასე უსირცხვილოდ ავლენს. ამხელა პრემიები და თავსაც ურცხვად იმართლებენ – ჩვენ ექვსი საათის ნაცვლად რვა-ცხრა საათამდე ვრჩებით სამსახურში და პრემიები გვეკუთვნისო. შე მამაცხონებულო, ქვეყანაში, სადაც ასლარიანი ხელფასიც სანატრელია, ათასობით ლარს რომ იღებ ხელფასს ამ გაჭირვებული ხალხის ფულიდან, კიდევ რაღა პრემია გინდა?! აბა, თანამდებობაზე რომ მიდიოდი, რა გეგონა? ხან მეტხანს იმუშავებდი და ხან ნაკლებს. ჩვენ სულ არავინ გვიხდის ხელფასებს, მაგრამ ღამის 12 საათამდე ვერ გამოვდივართ ოფისებიდან! დიდი ამბავი, თუ ერთი ორი საათი ზედმეტად იმუშაონ. ჯერ ერთი, რას მუშაობენ, შედეგი გვითხრას ნებისმიერმა პრემიის ამღებმა, რა შედეგი დადო ქვეყნის სასიკეთოდ. რა შეცვალეს? ასეთი აღვირახსნილობა, არ ვიცი, რა უნახაობა დაემართათ, რა ვუწოდო ამას, აღარ ვიცი.

***— სწორედ რომ ხამობაა. რაზეც წინა ხელისუფლებას აკრიტიკებდნენ, თავად იგივეს სჩადიან...***

— დიახ, იმათზე უარესებს სჩადიან, იმათ მანქანებში არ ჩაჯდნენ, გაცვეთილი იყოო. ხომ არის ეს ყველაფერი ზღვარგადასული თავხედობა?

***— ქალბატონო ნანა, რაც შეეხება პროკურატურის თემას, საკმაოდ გაჭიანურდა ახალი პროკურორის წარდგენა, რა ხდება, ვერ შეთანხმდნენ გუნდში თუ რასთან გვაქვს საქმე?***

— არსებობს ასეთი ინფორმაციები, რომ სწორედ ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წარმომადგენლები, რომლებიც დღეს ზოგ-ზოგიერთ სამინისტროებში მუშაობენ, რომელსაც ახლა შეგნებულად არ დავასახელებ, აი, ეს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ლობირებდნენ წინა პროკურორსაც, რომელიც გადადგა და მე როგორც მაქვს ინფორმაცია, მას ძალაუფლება არ დაუკარგავს, მიუხედავად იმისა, რომ გადამდგარია და გარკვეულ გავლენას ახლაც ინარჩუნებს პროკურატურაში. საერთოდ ვინ წყვეტს ამ ქვეყანაში ამ საკადრო საკითხებს, რომელსაც გაოგნებაში და განცვიფრებაში მოჰყავს საზოგადოება, ვერ გავიგე. რა საკადრო პოლიტიკაა ეს, რა ხდება ქვეყანაში?! ერთი ორი მინისტრი თუ შეიძლება დასახელდეს ისეთი, რომელიც შეიძლება იყოს თავის თანამდებობაზე. რას ჰგავს ეს ყველაფერი?!

***— როგორ ფიქრობთ, ღარიბაშვილი ვერ ართმევს თავს დაკისრებულ ვალდებულებებს?***

— იცით, რა მიაჩნია მას ვალდებულებებად, მთავარი ეს არის. ესენი ხალხის მიერ დაკისრებულ ვალდებულებას კი არ თვლიან თავის ვალდებულებად, არამედ, რაც თვითონ მათ მიაჩნიათ, აი ეს არის პრობლემა. ეს ხელისუფლება მოსულია არა იმისთვის, რომ ხალხს ემსახურონ, არამედ საკუთარ კეთილდღეობას. ეს გამოავლინეს პირველივე დღეებიდან, პირველივე წელს გამოვლინდა ეს, რომ ესენი არ არიან ხალხზე ორიენტირებულნი. ესენი არიან საკუთარ კეთილდღეობაზე ორიენტირებულნი. შესანიშნავად აიწყეს ცხოვრება, სანატრელ სიზმარშიც რომ არ დაესიზმრებოდათ, ისე აიწყეს ცხოვრება ადამიანებმა, რომლებსაც არანაირი ისტორია არ ჰქონიათ საქართველოში და არავინ არ იცნობდა მათ, როგორც რაღაცის შემოქმედს ამ ქვეყანაში. რის მიხედვით მიიღეს მათ ეს ძალაუფლება, რა დამსახურების, რა განვლილი ცხოვრების გამო?! ეს აბსოლიუტურად გაუგებარია. ჩვენ ვაკრიტიკებდით ნაციონალებს, რომ სკოლის ასაკის ბავშვები მოიყვანეს ხელისუფლებაშიო და ამათ საერთოდ საბავშვო ბაღიდან გამოიყვანეს და დანიშნეს ისეთ თანამდებობებზე, სადაც მათი დანიშვნა დაუშვებელი იყო. ახალგაზრდა კადრების წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ არსებობს თანამდებობები, რომელსაც ძალიან სერიოზული გამოცდილება სჭირდება, პროფესიულს რომ თავი დავანებოთ, ცხოვრებისეული გამოცდილება სჭირდება იმ თანამდებობებს, რომელიც ამ ხალხმა დაიკავა. რას ჰგავს ეს, უხარიათ ამ საბავშვო ბაღის ბავშვებს სავარძელში ჯდომა და არიან მირვანაში, მაშინ, როდესაც ხალხი შიმშილისგან და სიცივისგან იხოცება მათსავე გახსნილ კარვებში. ან ეს რა უბედურებაა, ხალხო, კომუნისტების დროს არ მახსოვს მე, რომ ქუჩაში ასე ბომჟურად ცხოვრობდა ქართველი. არ მახსოვს ასეთი რაღაცა. მათხოვარი ქართველი არ მინახავს საბჭოთა პერიოდში, იმ ავადსახსენებელ პერიოდში და დღეს ნახევარი საქართველო გამათხოვრებულია, კარვებს უხსნიან და ყოველდღე აჭმევენ. რა გახდა, რომ ერთი შენობა მაინც აუშენონ ამ უსახლკაროებს და შეუშვან. როდემდე უნდა იყოს ეს ვითარება?! დღეს ერთი მოკვდა, ხვალ მეორე მოკვდა, როდემდე, ხალხო?! საშინელებაა ის, რასაც ვუსმენთ და ვუყურებთ! მთელი სიცოცხლე კარვებში უნდა იყვნენ ეს უსახლკარო ადამიანები?! შემზარა, როცა გავიგე, რომ ამ კარავში ცნობილი ჟურნალისტი კლარა აბრამია ცხოვრობდა. დავურეკე ჟურნალისტებს და ვთხოვე, ხალხო, კლარა აბრამია არის კარავში, უმძიმეს მდგომარეობაში და რამე გავაკეთოთ მისთვის-თქო... ამჟამად ის საავადმყოფოშია გადაყვანილი. ყველას დიდი მადლობა, ვინც გულთან მიიტანა მისი ამბავი.

***— მართლაც რომ მძიმე და შემზარავია ეს ყველაფერი...***

— ამას უყურებს საზოგადოება და ეგუება ამ ყველაფერს, რომ ხელისუფლება ამას ბედავს. ამ ხელისუფლებამ არც კლარა იცის ვინ არის და არც აბრამია. არავინ არ იცის ამ ხალხმა, საერთოდ საიდან მოვიდნენ და რისთვის მოვიდნენ?! რას ჰგავს ეს ყველაფერი, რა ხდება ჩვენს ქვეყანაში?! ასეთი დაუცველია დღეს საზოგადოება და ხელისუფლება კი არაფრის მქნელია. კლარასნაირი იქ კიდევ იცით რამდენია?! გვარს და სახელებს ვერ დავასახელებ. ასეთი მომავლისთვის ვირჩევდით ჩვენ ახალ ხელისუფლებას? ნაციონალებმა სახლი წაართვეს კლარას და ახალმა ხელისუფლებამ კარავში შეუშვა. ამისთვის ვირჩევდით მათ?! არ ვიცი, სიტყვები აღარ მყოფნის ამ ყველაფრის გამოსახატავად. აქამდე მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა იყო პრობლემა და ყველა მას უპირისპირდებოდა, ახლა ოცნებაც პრობლემად გვექცა და ამ ორ ძალასთან მოგვიწევს ჭიდილი. ორი თავსატკივარი გაუჩნდა დღეს ქვეყანას. პლუს ამას ეს ამდენი სოციალური პრობლემა. როგორ შეიძლება მშვიდად გეძინოს, როცა კლარა აბრამია და მისნაირი ადამიანები ქუჩებში არიან. ეს ერთი და ორი ადამიანი კი არ არის, რომ ხელი მოჰკიდო და მოეხმარო, ასობით და ათასობით არიან!!!

### 16-17 იანვარს საქართველოს ვენეციის კომისიის დელეგაცია ეწვევა

საქართველოს 16-17 იანვარს ვენეციის კომისიის დელეგაცია ეწვევა. დელეგაციაში ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკიკიო და ვენეციის კომისიის მდივანი ტომას მარკერტი შევლენ.

ვენეციის კომისიის დელეგაციის წევრები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს დავით უსუფაშვილს, ასევე საკონსტიტუციო კომისიის წევრებს, საპარლამენტო უმცირესობის წევრებს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს და საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს შეხვდებიან.

პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდეგ დავით უსუფაშვილი და ვენეციის კომისიის პრეზიდენტი ჯანი ბუკუკიო ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ.

ვენეციის კომიისიის დელეგაციის წევრები საქართველოს 17 იანვარს დატოვებენ. მედიანიუსი

ახალი თაობა
ლფვაეყტ,კტ,ბ5 ყბყჯ ,ფრეჰფტ7 პეჰფ, ,ტჰბტ7 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ვსფდფჰბ ჰტლფმნჯჰბ 2 ცჯცჯ უჯუბყფიდბკბ
ჰტლფმნჯჰბ 2 კფკბ ფცკფყბიდბკბ
ჰტლფმნჯჰბც ვჯფლუბკტ 2 იჯჰტყფ ვფჰცფუბიდბკბ
უფპტსბ
უფვჯლუც
!((№ ოკბც
№ ბდკბცბლფყ
რჯყცჯკნფყრტ,ბ
ჯსფჰ ყბყბფიდბკბ7 ლფდბს ,ბჰბფყბ
ცფაბყფყცჯ ცფვცფეჰბ 2 რკფჰფ ,ფკფდფტ
ცფჰტრკფვჯ ცფვცფეჰბ 2 -(-)-
უფდჰწტკტ,ბც ცფვცფეჰბ 2 ვტჰფ, კტდტჰფიდბკბ
ლბჰტმნჯჰბ 2 პეჰფ, ,ტჰბტ
ლფრფფლჯყტფ 2 ბყეფ ლდფჯბიდბკბ7 ყჯყფ რფუყლტკფრ7 ვჰბფ მჯმფიდბკბ
ვბცფვფჰსბ5 მ8 ს,ბკბცბ7 X,I ჩ 8 1)7 ვტ-№ ცფჰსეკბ8
ნტკტაჯყბ აფმცბ 2(-)-(!
დტ,-უდტჰლბ www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ნაციონალური მოძრაობა სოზარ სუბარის გადადგომას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი



სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი აშკარად დიდ შარშია. ის უწყებას სათანადოდ ვერ აკონტროლებს და ახლო მომავალში შესაძლოა სხვა სამსახურში გადაიყვანონ. ნაციონალური მოძრაობა კი მის მოხსნას დაუყოვნებლივ ითხოვს.

ნაცმოძის ერთ-ერთი ლიდერის გოკა გაბაშვილის თქმით, სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა თანამდებობა უნდა დატოვოს, რადგანაც იგი, დიდი ალბათობით, მტკიცებულებათა განადგურებაში მონაწილეობდა.

გოკა გაბაშვილის საგანგებო ბრიფინგამდე სოზარ სუბარის უწყებამ გაავრცელა განცხადება. სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, დასრულდა შემოწმება ვანო მერაბიშვილის საკნიდან გაყვანის თაობაზე, თუმცა ამოღებული ვიდეომასალით მერაბიშვილის განცხადებაში მოყვანილი ფაქტები არ დასტურდება. მათივე თქმით, კადრების ნაწილი განცხადების გაკეთების მომენტში უკვე განადგურებული იყო.

ნაცმოძი სწორედ ამ განცხადებამ გააცეცხლა. გაბაშვილის განმარტებით. სუბარის უწყების მიერ გავრცელებულმა განცხადებამ სრულიად აშკარა გახადა, რომ დანაშაულებრივ ქმედებას კრიმინალი, ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის მხრიდან საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ ნამდვილად ჰქონდა ადგილი.

– პირადად მინისტრმა სუბარმა და სამინისტროს თანამშრომლებმა ამით ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 168-ე მუხლით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაული – მტკიცებულებათა განადგურება. „ქართული ოცნების“ მთელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ კი საკუთარ თავზე აიღო პოლიტიკური პასუხისმგებლობა და შეეცადა ამ დანაშაულის დაფარვას. უდავოა, რომ საქმე გვაქვს პოლიტიკური ანგარიშსწორების დაკვეთასთან, რომლის განხორციელებაშიც ჩართულია მთელი მმართველი კოალიცია. საქმე გვაქვს იმ ტიპის დანაშაულთან, რომლის გამოსაძიებლად აუცილებელია საპარლამენტო კომისიის შექმნა იმ ფონზე, როცა აღმასრულებელი ხელისუფლება დაკავებულია დანაშაულის დაფარვით და არა ობიექტური სინამდვილის დადგენით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა კრიმინალი ფარცხალაძის მიმართ აუცილებლად დადგება, ისევე როგორც დადგა მისი პოლიტიკური პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მმართველი გუნდი სრული შემადგენლობით ცდილობდა დაეცვათ იგი. სასჯელაღსრულების სამინისტროში, დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მსგავსი ჩანაწერები ინახება ერთი თვე, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში ნახევარი წელიც კი. ამის დასტურად გაბაშვილმა ბაჩო ახალაიას შემთხვევა გაიხსენა, როცა მისი საკნის ჩანაწერი გამოქვეყნდა რამდენიმე თვის შემდეგ. საქართველოს მთავრობას ერთი თვე დასჭირდა იმის სათქმელად, რომ ვიდეოჩანაწერები, სადაც აღბეჭდილია, თუ როგორ ხდება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის გატაცება საკნიდან, არ არსებობს. მათი ცინიკური მტკიცებით, სასჯელაღსრულების მეცხრე დაწესებულებაში განლაგებული კამერების ჩანაწერები თურმე იშლება 24 საათის განმავლობაში. სულ ცოტა ხნის წინ შეგახსენებთ, რომ თავად სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი ამტკიცებდა, რომ ჩანაწერები 10 დღის განმავლობაში ინახება, „ქართული ოცნების“ არაერთი ლიდერი კი იმეორებდა, რომ ფირების ამოღებას სჭირდება გარკვეული პროცედურები, რის გამოც ეს ვერ მოხდებოდა სწრაფად. როგორც ჩანს, ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ყოყმანი, მომხდარიყო მტკიცებულებათა ფაბრიკაცია, დამონტაჟება თუ პირდაპირ გაცხადებულიყო, რომ შესაბამისი ჩანაწერი არ არსებობს. გუშინდელი მათი განცხადება ცხადყოფს, რომ მთავრობამ აირჩია უფრო მარტივი გზა და აბსოლუტურად გაუგებარია, თუ ჩანაწერი მართლა არ არსებობდა, რატომ ვერ გახდა ეს ცნობილი პირველივე დღეს. – განაცხადა გაბაშვილმა.

ნაციონალთა მიერ დაგმობილ განცხადებას სახალხო დამცველიც გამოეხმაურა.

უჩა ნანუაშვილის განმარტებით, განცხადების გაკეთების მიუხედავად, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გარკვეული კითხვები მაინც რჩება:

– მე მოვისმინე განცხადება, რომელიც გაკეთდა სასჯელაღსრულების სამინისტროს მხრიდან. მე ვფიქრობ, კითხვები ამ საქმესთან დაკავშირებით კვლავ არსებობს, ამიტომ ჩვენ კვლავ ვიმეორებთ გამოძიების დაწყების აუცილებლობაზე, ანუ აუცილებელია პროკურატურამ დაიწყოს გამოძიება ამ საქმესთან დაკავშირებით, კითხვის ნიშნები, რომლებიც არსებობს, რალაცნაირად მოგვარდეს და პასუხი გაეცეს კითხვებს. მე ამ განცხადებით კვლავ დამრჩა ბევრი კითხვა, – აღნიშნა უჩა ნანუაშვილმა.

# თბილისის პარლამენტის შენობა ქუთაისს გადაეცემა

## ზურაბ ტყემალაძის ინიციატივას დიდი ალიაქოთი მოჰყვა

შორენა მარსაგიშვილი

ოქროს ბურთის დაჯილდოებაზე მისული ლიონელ მესის წითელი კოსტიუმის მერე თუ რამე გაგვიკვირდებოდა, არ მეგონა. თუმცა ქართველმა პოლიტიკოსებმა ჩვენი გაოცება და გახალისება ამჯერადაც მოახერხეს. ამ მხრივ ჩვენებურები მართლაც საოცრად ნიჭიერები არიან. ნიჭიერების გარდა სხვა ვინ მოიფიქრებდა, რომ თბილისში მდებარე პარლამენტის შენობა ქუთაისისთვის გადაეცა. ამგვარად ქუთაისელებს 2 პარლამენტი ექნებათ, სიმონ.

ალბათ გახსოვთ, რა ამბავი ატყდა რამდენიმე წლის წინ, მიხეილ სააკაშვილმა თბილისიდან ქუთაისში რომ მოისურვა პარლამენტის შენობის გადატანა. მაშინდელმა საპარლამენტო უმრავლესობამაც შეიცხადა ეს ამბავი. მერე კი როცა საქმე საქმეზე მიდგა, ერთხმად დაუჭირეს მხარი საკონსტიტუციო ცვლილებას. არ დაუჭერდნენ და კაი ტურას დაიჭერდნენ. ამ ცვლილების თანახმად საკანონმდებლო ორგანო ქუთაისში გადავიდა.

რა იცოდნენ საწყალმა ნაციონალებმა, რომ ამასობაში ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდებოდა პოლიტიკურ ასპარეზზე. ასეთ შემთხვევაში პარლამენტის ახალი შენობის ასაშენებლად 350 მილიონს არ დახარჯავდნენ. მათ ხომ ეს ყველაფერი თავისთვის უნდოდათ. თან ისე ძალიან უნდოდათ, რომ კატასტროფული სიჩქარით აშენებდნენ. ამიტომაც არის, ყოველ გაწვიმებაზე შენობაში წვიმს, ხოლო ჭერიდან გასანათებელი ხელსაწყოები ცვივა.

ამ შენობაში ნაციონალები უმრავლესობით ვერ შევიდნენ. იქაურობას „ქართული ოცნება“ დაეპატრონა. მეოცნებეებმა ჯერ კიდევ არჩევნებამდე მოგვცეს პირობა, რომ საკანონმდებლო ორგანო დედაქალაქში დაბრუნდებოდა.

სხვა დაპირებების მსგავსად ოცნებამ ვერც ეს დაპირება ვერ შეასრულა, რაც ისევ ნაციონალების დამსახურებაა. თბილისს პარლამენტი რომ დაუბრუნდეს, ამისთვის საკონსტიტუციო ცვლილებებია საჭირო. დღევანდელი კონსტიტუციის თანახმად კი პარლამენტი ქუთაისში უნდა იყოს.

სავარდო და სამაისო ქალაქიდან პარლამენტის გადმოტანაზე მეოცნებეებმა რამდენჯერმე მოუსინჯეს კბილი ნაციონალებს. ისინი ამ თემაზე ძალიან გაჯიუტდნენ. გაიძახიან, ოცნების ახირებას ვერ ავყვებით და ქუთაისს მკვდარ ქალაქად ვერ ვაქცევთო.

ნაციონალების მომხრე ქუთაისელებმა კი არაერთი აქცია გამართეს პარლამენტის შენობის წინ. ისინი ითხოვდნენ, რომ საკანონმდებლო ორგანო ისევ მათ ქალაქში დარჩენილიყო.

საპროტესტო აქცია პარლამენტის შენობაშიც გაიმართა ერთხელ. აპარატის თანამშრომლებმა პარლამენტის სპიკერს კაბინეტთან მოუწყვეს აქცია და სთხოვეს, თბილისში დაგვაბრუნეო. სპიკერმა აღელვებული თანამშრომლები დაამშვიდა და დაჰპირდა, რომ პარლამენტი აუცილებლად დაბრუნდებოდა თბილისში.

გასული წლის მიწურულს მან პარლამენტის ადგილმდებარეობის შეცვლასთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, კონსტიტუციაში ცვლილებების გარეშეც შესაძლებელია, რომ თბილისში პარლამენტის მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს. დეტალების დაკონკრეტება მაშინ დავით უსუფაშვილმა არ ისურვა.

– რუსთაველზე მდებარე შენობის იმ კონდიციამდე მისაყვანად, რომ იქ მუშაობა შესაძლებელი გახდეს, სამუშაოები გრძელდება და დამამთავრებელ ეტაპზეა. ძირითადად ტექნიკური საკითხებია დარჩენილი, მიმდინარეობს დარბაზების მოწყობა. სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოს – მარტის დასაწყისში სამუშაოები დასრულდება. ამ დროიდან გვექნება კონკრეტული გეგმა და კონკრეტული პასუხები იმაზე, რა რეჟიმით ვიმუშავებთ. საკონსტიტუციო უმრავლესობა რომც გვქონდეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონსტიტუციაში ცვლილებები მარტშივე შევა, რადგან ახალი მოდელის მიხედვით, თუკი კონსტიტუციაში ცვლილებების მიღება მარტში დაიწყება, ყველაზე ახლოს სექტემბერში დასრულდება, მაგრამ კონსტიტუციაში ცვლილებების გარეშეც არის შესაძლებელი, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ჩვენი მუშაობა თბილისში. დეტალებზე ახლა არ და ვერ ვისაუბრებ, მაგრამ პარლამენტის შენობაში სარემონტო სამუშაობის დასრულების კვალობაზე მოვახსენებ საზოგადოებას ძალიან კონკრეტულ სქემას იმის თაობაზე, თუ როგორ გააგრძელებს პარლამენტი მუშაობას. ცხადია, ეს იქნება კონსტიტუციის და საქართველოს კანონმდებლობის ჩარჩოებში. არ ვაპირებთ კონსტიტუციის მიღმა გასვლას, მაგრამ არც იმას ვაპირებთ, რომ ვიყოთ „ნაციონალური მოძრაობის“ ახირების მძევალი, – განაცხადა მაშინ პარლამენტის სპიკერმა.



მერე ქვეყანაში ისეთი ამბები დატრიალდა პარლამენტის ადგილმდებარეობა ვიღას ახსოვდა. ოთარ ფარცხალაძის ამბავი ხეირიანად არ გვქონდა დავიწყებული, როცა გავიგეთ, რომ მთელი პროკურატურა თურქულ სერიალს, „დიდებულ საუკუნეს“ უყურებს.

გუშინ კი ისეთი განცხადებები გაკეთდა, რომ სრულიად საქართველოს ისევ გაიხსენა, რომ პარლამენტი დასაბრუნებელი გვაქვს. თბილისიდან ქუთაისში სიარული ეტყობა ყველაზე მეტად ზურაბ ტყემალაძეს უშლის ნერვებს. ჯავრიან გულზე მან ერთი ეშმაკური რამ მოიფიქრა საკანონმდებლო ორგანოს თბილისში დასაბრუნებლად. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე ითხოვს, რომ თბილისის პარლამენტის შენობა ქუთაისს გადაეცეს.

ზურაბ ტყემალაძე გამოდის ინიციატივით, რომ საქართველოს პარლამენტის საკუთრებაში არსებული 12934 კვ.მ. მიწის ფართობი, რომელიც რუსთაველის გამზირზე მდებარეობს შენობა-ნაგებობების ჩათვლით ქალაქ ქუთაისის დაქვემდებარებაში გადავიდეს.

საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ პარლამენტის საკუთრებაში 2013 წლის 13 თებერვალს რუსთაველის გამზირზე მდებარე 7 შენობა-ნაგებობა გადავიდა, რომლის საერთო ფართიც 51 000 კვ.მ -ზე მეტია და მანამდე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ბალანსზე ირიცხებოდა. იმ შემთხვევაში თუ რუსთაველს გამზირის ერთი ნაწილის ქუთაისისასთვის მიკუთვნება მოხდება, ცვლილებები უნდა შევიდეს ქუჩების დასახელებაშიც, რადგან განსაზღვრული იქნება სხვა ქალაქისათვის მიკუთვნებული ტერიტორიის ადმინისტრაციული საზღვრები. შესაძლოა დასახელება შეეცვალოს ან რუსთაველის გამზირის ერთ ნაწილს, ან ზურაბ ჟვანიას, 9 აპრილის ან ჭიჭინაძის ქუჩებს, რომელიც საქართველოს პარლამენტის თბილისის შენობას ესაზღვრება, რადგან მას ახალი იურიდიული მისამართი დასჭირდება, რომელიც ქუთაისში იქნება რეგისტრირებული. შესაბამისად, მიმდებარე ტერიტორიაზე და მეორე დედაქალაქისათვის მიკუთვნებულ ზონაზე ზრუნვა-პატრონობის ვალდებულება თბილისის მერიიდან ქუთაისის მერიაზე გადავა.

ამ ინიციატივას, როგორც მოსალოდნელი იყო, ერში დიდი ჟრიამული მოჰყვა. განსაკუთრებულად ნაციონალები განიცდიან აჟიტაციას.

ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურმა მდივანმა ზურაბ ჯაფარიძემ იმედი გამოთქვა, რომ მისმა სეხნია ტყემალაძემ იხუმრა.

– იმედს ვიტოვებ, რომ ეს ბატონი ზურაბის საახალწლო იუმორის ნაწილია, კიდევ შეუძლიათ, ქუთაისის ავტოქარხნის დასახლებიდან მიწაც ჩამოიტანონ და მოაყარონ რუსთაველის №8-ში, რომ ეს იდეა წმინდა მატერიალური კომპონენტითაც შეავსონ. უფრო სერიოზული კომენტარის გაკეთება გამიჭირდება, – განაცხადა ზურაბ ჯაფარიძემ.

ხუმრობის ხასიათზე დადგა დეპუტატი ირმა ნადირაშვილიც. ის იმდენად აღფრთოვანდა ტყემალაძის ინიციატივით, რომ შემხვედრი წინადადებითაც გამოვიდა. ამასთან გაიხსენა, როგორ ოცნებობდა მეოცნებე პარლამენტის შენობის აფეთქებაზე.

– მე არ მიკვირს ზურაბ ტყემალაძისგან მსგავსი განცხადება, საკუთარი ყურით მაქვს მოსმენილი, ტყემალაძე როგორ ოცნებობდა, რომ ქუთაისში ეს შენობა აფეთქდეს. ეს ადამიანები ჩვენ გვასწავლიდნენ, რომ კონსტიტუცია არ უნდა მოირგო საკუთარ თავზე. მე მათ ვახსენებ, რომ კონსტიტუცია არ უნდა მოარგო საკუთარ სიზარმაცეს და კომფორტს, ისინი გვთავაზობენ ახალ სტანდარტს, როდესაც ვერ ცვლი კონსტიტუციას და მზად ხარ, თავზე გადაახიო ეს კონსტიტუცია საზოგადოებას. ჩვენ გვაქვს შემხვედრი წინადადება, რომ „ბიკენტიას საქაბაბე“ დაუქვემდებარონ „შემოიხედე გენაცვალეს, – განაცხადა ნადირაშვილმა.

ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ მაჭავარიანი, თბილისის პარლამენტის ქუთაისის მერიისათვის დაქვემდებარების შესახებ უმრავლესობის წევრის ინიციატივას კომენტირება სერიოზულად უჭირს.

– მე მგონი, ეს ქუთაისის ტერიტორია 20 ნომრამდე არ ჩამოდის, მე 20 ნომერში დავიბადე და ვცხოვრობ. მე მგონი, 8 ნომრით შემოიფარგლება. პირველად, რომ წავიკითხე საახალწლო ხუმრობა მეგონა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანას ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა აქვს, ვიდრე ეს კონკრეტული საკითხია თუ როგორ გაკეთდება, რომ რუსთაველის გამზირის ნაწილი მიეკუთვნება ქუთაისის მუნიციპალიტეტეს, ეს არის ეკონომიკა, ეს არის უმუშევრობა და მიუხედავად ძალიან დიდი მცდელობისა სერიოზულად ძალიან მიჭირს ამის კომენტირება. წარმოუდგენელია, ასეთი რაღაც არც გამიგონია, არც მომისმენია და როგორც ახლა უყვართ მთავრობაში, არც მიოცნებია, რომ ერთ მშვენიერ დღეს დილას ამოხვალ თავისუფლების მოედნიდან რუსთაველის გამზირზე, მერე რაღაც მონაკვეთში გადაკვეთავ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას, არ ვიცი, ამას რუსთაველის 8 ნომერი დაერქმევა თუ ირაკლი აბაშიძის ქუჩა და მერე ისევ პირველ სკოლასთან გადაკვეთავ ქუჩას და შეხვალ რუსთაველის გამზირზე. თუ გადაწყვიტეს, რომ საერთოდ რუსთაველის გამზირი დაუქვემდებარონ ქუთაისს, ეს უფრო მასშტაბური პროექტია. ასეთი მასშტაბური პროექტი ამ მთავრობას და ამ ხელისუფლებას ჯერ არ ჰქონიათ და ალბათ ძალიან სერიოზულად მოემზადებიან და ამას განახორციელებენ კიდევაც. მარტო მონაკვეთის მოჭრას, მე მგონი, არ აქვს აზრი, პირდაპირ აიღონ და თავისუფლების მოედნიდან კოსტავას ქუჩამდე პირდაპირ დაუქვემდებარონ რუსთაველის გამზირი ქუთაისს. ქუთაისსაც დაამშვენებს და იქნება ორიგინალური, მსოფლიოში ასეთი ანალოგი არ იქნება, – განაცხადა მიხეილ მაჭავარიანმა „პირველ რადიოსთან“ საუბარში.

თბილისის ყოფილი მერი ნიკო ლეკიშვილი აბსურდულს უწოდებს ინიციატივას, რომელიც ძველი პარლამენტის ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში გადასვლას გულისხმობს. როგორც ნიკო ლეკიშვილმა „პირველ რადიოსთან“ საუბრისას განაცხადა, შეუძლებელია ამ საკითხზე სერიოზულად მსჯელობდნენ. დედაქალაქის ყოფილი მერი აცხადებს, რომ მისთვის მიუღებელია პარლამენტის ქუთაისში არსებობა, თუმცა არ შეიძლება მსგავსი აბსურდული გზებით საკანონმდებლო ორგანოს ისევ თბილისში დაბრუნება.

– ხუმრობენ თუ რა არის ახლა ეს?! ეს ჩემთვის გაუგებარია. თუ აქ უნდათ გადმოსვლა, ამისთვის არის სხვა საშუალებები, ასე რუსთაველის გამზირის გადაცემა?! მე ამას სერიოზულად არ ვუყურებ. როდესაც რაღაც საკითხი კენჭისყრით არ წყდება, არ შეიძლება მერე ეს თემა მოარგო და გამოსავალი ეძებო ისეთ გადაწყვეტილებებში, რომელიც ძალიან ძნელი აღსაქმელია. ერთადერთი მიზეზი, რატომაც მე კენჭი არ ვიყარე, მე რაჭაში ვიყრიდი კენჭს და მოვიგებდი როგორმე, მაგრამ პროტესტის ნიშნად არ ვიყარე კენჭი იმიტომ, რომ ქუთაისში გადაიტანეს პარლამენტი. მიმაჩნია, რომ ქუთაისში არ უნდა იყოს პარლამენტი, მაგრამ ისე, როგორც მაშინ მიიღეს არასწორად და ხელების გადაგრეხით ეს გადაწყვეტილება, რომელიც აბსოლუტურად აბსურდული იყო, ახლა ამის დაბრუნება აბსურდული, მოგონილი ხერხებით არასწორია, – განუცხადა ნიკო ლეკიშვილმა „პირველ რადიოს“.

ამ თემაზე გუშინ სოციალური ქსელებითაც კარგად იხალისეს. საკითხი შუფასებელი არც გიორგი გუგავას დაუტოვებია.

– 100 ახალი აგუგუნებული ქარხანა, ბენზინზე, გაზზე, დენზე, წყალზე განახევრებული ტარიფები, 250-ლარიანი პენსია, მილიარდიანი დაფინანსება სოფელს, უფასო ჯანდაცვა, უფასო განათლება, მთავრობა, რომელმაც ფუფუნებაზე უარი თქვა და სხვა...... ამ ზღაპრების სჯერათ მეოცნებეებს და რუსთაველის №8 რომ ქუთაისია, ამან როგორ გაგაკვირვათ, – დაწერა გუგავამ ფეისბუქის გვერდზე.

ამ თემაზე გუშინ მაგარი ხალისობა იყო. განსაკუთრებით ნაციონალები ხალისობდნენ. ტყემალაძის ინიციატივა ცოტა უცნაური კია, მაგრამ ნაცმოძი სად იყო, გიგი უგულავამ გუდაური თბილისს რომ მიუერთა. ან მაშინ რატომ არ ილადავეს, მიხეილ სააკაშვილმა ყაზბეგი თბილისის გარეუბნად რომ შერაცხა.

# კანონიერი ქურდები“ უკანონოდ ისჯებიან?!

## რა წერია ტრაგიკომიკურ 223–ე პრიმა მუხლში

მარიკა მჭედლიშვილი

„კანონიერი“ ქურდების საწინააღმდეგო მუხლის მიღების ამბავი ბევრს გვახსოვს. ამ საკითხის განხილვისას მათ მიმართ ბიოლოგიური ზიზღი არაერთმა „ნაციონალმა“ პარლამენტის წევრმა ანთხია (მაშინ საპარლამენტო უმრავლესობაში „ნაციონალური მოძრაობა“ იყო). განსაკუთრებულად აქტიურობდა გიგა ბოკერია. როცა ოპოზიციამ შეკითხვები დასვა, იმასაც შავი დღე დაადგა. მაგალითად, „ახალ მემარჯვენეებს“ სულ ქურდებთან შეკრულები უძახეს. კარგად გვახსოვს ისიც, თუ როგორ აწამებდნენ ციხეებში იმ პატიმრებს, ვინც ქურდებს არ შეაგინებდა.

ციხეებში პატიმრებს აღარ აწამებენ, მაგრამ საქართველო რჩება იმ პარადოქსულ ქვეყნად, სადაც ადამიანი შეიძლება მარტო იმის გამო დაიჭირონ, რომ საკუთარი თავი „კანონიერ“ ქურდად მიაჩნია.

სიტუაციის აბსურდულობას გრძნობენ არა მარტო ქურდული ტრადიციების მიმდევრები, არამედ, სხვებიც. მათ შორის, იურისტები.

გუშინ ამ თემაზე სასტუმრო „დიდუბე პლაზაში“ გაიმართა სპეციალისტების დისკუსია. მასში მონაწილეობდნენ პროფესორი ოთარ გამყრელიძე, ადვოკატები ნანა ფრიდონაშვილი, მალხაზ სალაყაია, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ წევრი ლევან ვეფხვაძე, სხვა იურისტები.

მაინც, რა წერია ამ ტრაგიკომიკურ 223-ე პრიმა მუხლში?

სისხლის სამართლის კოდექსის ამ მუხლში მითითებულია, რომ ქურდული სამყაროს წევრობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 5-დან 8 წლამდე ჯარიმით ან უამისოდ; ხოლო კანონიერი ქურდობა 7-დან 10 წლამდე ჯარიმით ან უამისოდ.

ნანა ფრიდონაშვილმა საკითხის აქტუალობაზე გაამახვილა ყურადღება და დაეთანხმა პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძის მიერ ცოტა ხნის წინ გამოთქმულ მოსაზრებას ამ მუხლის ხარვეზიანობის შესახებ. როგორც ვიცით, ამაზე მძაფრი რეაქცია ჰქონდა პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილს, რომელმაც გამოაცხადა, ეს მუხლი არ გადაიხედებაო. „პრემიერი არაა ვალდებული ყველა საკითხში ჩახედული იყოს“, – მიაჩნია ნანა ფრიდონაშვილს.

ადვოკატმა ნანა ფრიდონაშვილმა ერთ ბრალდებულზე (ვინაობის დაუსახელებლად) ისაუბრა. ბრალდებულს საქმეში უწერია, რომ მან „ჩაიდინა კანონიერი ქურდობა“.

– „ჩაიდინა“ ხომ ზმნაა, როგორ უნდა ჩაიდინოს ადამიანმა „კანონიერი ქურდობა“? – სვამს კითხვას ნანა ფრიდონაშვილი.

აბსურდული 223-ე პრიმა მუხლი აოცებს პროფესორ ოთარ გამყრელიძეს. მისი განმარტებით, როცა სისხლის სამართლის



კოდექსში შედის ახალი მუხლი და იქ პირი დამნაშავედ ცხადდება, ეს უნდა იყოს ქმედება, ან უმოქმედობა, რომელიც აზიანებს ან საფრთხეს უქმნის რაიმეს. „კანონიერი“ ქურდების მუხლის შემთხვევაში, ამაზე საუბარი არაა.

**ოთარ გამყრელიძე:**

– უზნეო კაცია და უნდა დაისაჯოსო, ასეთი მიდგომა არ შეიძლება. სადაა აქ ქმედება ან უმოქმედობა, რომელსაც ზიანი მოაქვს? 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსში იყო მუხლი „სისხლის აღრევა“. 1960 წელს ის ამოიღეს. მაშინ კომისიის ერთმა წევრმა ეს ასე ახსნა – ეს ძალიან ამორალური ქმედებაა და სწორედ იმიტომ უნდა ამოვიღოთ, რომ ამ უზნეო ქმედებას მორალი სისხლის სამართალზე უკეთ შეებრძოლებაო. ვთქვათ, ვარ ქურდული სამყაროს წევრი. ვზივარ ჩემთვის. ამიტომ უნდა დამიჭირონ? რომელიმე პოლიტიკური პარტია თუ არ მომწონს, ესეც კოდექსში შევიტანოთ?

მალხაზ სალაყაიას თქმით, ეს მუხლი არის „აბსოლუტური სიბეცე როგორც ენობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით“. მისი შეფასებით, ყველას აქვს უფლება, ჰქონდეს თავისი მრწამსი და შეხედულება.

**ლევან ვეფხვაძე:**

– ამ საკითხზე ბევრს ვფიქრობთ. მსჯავრდებულებისგან ასეულობით წერილი შემოდის. ეს მუხლი დასახვეწია. თუმცა, ეს საკითხები განმარტებულია კანონში „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის“ შესახებ. პრობლემა უფრო მეტად არის არა კანონში, არამედ, პრაქტიკაში. სისხლის სამართლის კოდექსში უნდა ჩაიწეროს განმარტება.

უფრო რადიკალურია ოთარ გამყრელიძე, რომელიც ამ მუხლის ამოღებას მოითხოვს.

მალხაზ სალაყაიას ეჭვი ეპარება, რომ „150-კაციანი იურიდიული ელიტა“ (ასე ირონიულად ის სავსებით სამართლიანად მოიხსენიებს ახლანდელ პარლამენტს) ამ კუთხით რაიმეს გაკეთებას შეძლებს.

ოთარ გამყრელიძეს ის აოცებს, რომ გამოცდილ იურისტებს ბოლო წლებში არაფერს ეკითხებიან, იმ დროს, როცა საბჭოთა დროს მის და სხვა სპეციალისტების კონსულტაციებს ყურს უგდებდნენ.

ნანა ფრიდონაშვილი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ საქართველოში მომრავლდნენ გრანტებით დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც არასახარბიელო ინფორმაციას აწვდიან უცხოელებს. მათი მონაცემები ერთ ბაზაში იყრის თავს, რის გამოც ქვეყანას თავი აქვს მოჭრილი. ადვოკატის ინფორმაციით, ინგლისელმა სლეიდმა დისერტაციაც კი დაიცვა თემაზე „კანონიერი ქურდები საქართველოში“, სლეიდის მტკიცებით, ყველა ქართველი თავისი მენტალობით არის კრიმინალი. ნანა ფრიდონაშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ამგვარი ინფორმაციის გადაგზავნისას ინფორმატორები საერთოდ არ ახსენებენ 223-ე პრიმა მუხლს, სამაგიეროდ, აპელირებენ სხვა მუხლით.

ხსენებულმა მუხლმა არა მარტო გააუბედურა ბევრი ადამიანი, არამედ საქართველოს რეპუტაციასაც შეუქმნა პრობლემები. სამწუხაროა, რომ ამ მუხლს არამარტო ნაციონალების რიგებში ჰყავს მხარდამჭერები.



## ირაკლი კოვზანაძე: ირაკლი ღარიბაშვილი ბიზნესის განვითარებაზეა ორიენტირებული“

საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელ ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბიზნესის განვითარებაზეა ორიენტირებულია.

მან ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისში, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და ბიზნესმენებს შორის გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განუცხადა.

მისი თქმით, შეხვედრა საინტერესო გამოდგა.

„კონკრეტული საკითხები იყო და კონკრეტული პასუხები გაიცა. უპირველესად, ყველამ დაინახა, რომ პრემიერ-მინისტრი ბიზნესის განვითარებაზეა ორიენტირებული, მათ შორის ქვეყნის შიგნით იმ ტიპის ბიზნესების განვითარებაზე, რომლებიც იმპორტის ექსპორტით შეცვლასა და ადგილობრივი წარმოების განვითარებას უზრუნველყოფს. ვფიქრობ, ეს ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია“, — განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

მისივე ინფორმაციით, მეორე მკვეთრი მესიჯი სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობა იყო. მათ შორისაა ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებაში თანამშრომლობა.

ნახსენები იყო ანაკლიის პორტი, რომლის განვითარებაზეც საპარტნიორო ფონდი მუშაობს. ასევე საუბარი იყო სამაცივრე წარმოების უზრუნველყოფაზე.

„ვფიქრობთ, ბიზნესმა დაინახა, რომ პრემიერ-მინისტრი საკუთარ გადაწყვეტილებებში თავისუფალია“, — განაცხადა ირაკლი კოვზანაძემ.

მედიანიუსი

## საავტომობილო გზებზე კვლავ შეზღუდვებია

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცნობით, თოვლისა და ლიპყინულის გამო, ქუთაისი-ტყიბული-ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ36-კმ56 მონაკვეთში (ნაქერალას უღელტეხილი) ავტოტრანსპორტის მოძრაობა 14 იანვრიდან მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით იყო შესაძლებელი ამ დროისათვის კი, მხოლოდ მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობის აკრძალვის რეჟიმი რჩება დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტისათვის კი მოძრაობა თავისუფალია.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მლეთა-კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა მლეთა-გუდაურის(ფოსტა) მონაკვეთზე თავისუფალია, ხოლო გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით. ორი და მეტი წამყვანი ხიდის მქონე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

გუდაური(ფოსტა)-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა განხორციელდება ზვავდამცავი გვირაბების გავლით. მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა გვირაბებში განხორციელდება ცალმხრივად.

გზის დანარჩენ მონაკვეთებზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

შეგახსენებთ რომ, ხაშური-ახალციხე-ვალეს საავტომობილო გზაზე და რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე ყველა სახის ავტოტრანსპორტისათვის მოძრაობა თავისუფალია.

მედიანიუსი

## ლაშა ამირეჯიბი წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს

სახალხო კრების წევრი ლაშა ამირეჯიბი წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით დააკავეს. ამის შესახებ „მედიანიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

„ლაშა ამირეჯიბი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლით დააკავეს, რაც წვრილმან ხულიგნობასა და პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს“,-განაცხადეს შსს-ში.

ამირეჯიბისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხზე რუსთავის საქალაქო სასამართლო მსჯელობს.

გავრცელებული ინფორმაციით, ლაშა ამირეჯიბი პოლიციელის ჯახში არაფხიზელ მხდგომარეობაში მივიდა და შერაცხყოფა მიაყენა.

მედიანიუსი

# თინა ხიდაშელი: როგორ გახდა მინისტრობიდან გადადგომისთანავე კეზერაშვილი მილიონერი?!“

შორენა გონგლაძე

ერთ-ერთი გაზეთი მიხეილ სააკაშვილის ბიძის თემურ ალასანიასა და თავდაცვის ექსმინისტრ დავით კეზერაშვილის იარაღით უკანონო ვაჭრობის საერთაშორისო სკანდალზე ალაპარაკდა. გამოცემის ინფორმაციით, იმ პერიოდში თანამდებობიდან ბევრი მინისტრი მოაშორეს, მაგრამ კეზერაშვილი ხელუხლებელი იყო.

– ბევრი მინისტრი მოაშორეს, მაგრამ კეზერაშვილი ხელუხლებელი იყო. ის ძალიან დიდ ინფორმაციას ფლობდა და ყველა იმ კრიმინალურ საქმიანობაში მონაწილეობდა, რაც სააკაშვილის დროს ხდებოდა. ის სააკაშვილის ბიძასთან, თემურ ალასანიასთან იარაღით უკანონოდ ვაჭრობაში თანამშრომლობდა. ქართველი ჟურნალისტებისთვის მალე გახდა ცნობილი, რომ ყოფილი მაღალჩინოსნები საზღვრებთან იარაღს უკანონოდ არიგებდნენ, რათა ამ იარაღის გამოყენება რუსებს დაბრალებოდათ. მალევე გახმაურდა იარაღის ბიზნესში ცნობილი ალექსანდრე ისმაილოვის საქმე. ის დათანხმდა, საქართველოში უსარგებლო სამხედრო იარაღისა და ტექნიკის შემოტანას. ყველასთვის ცნობილი გახდა მათი სახელებიც, ვინც ალასანია-კეზერაშვილის ბინძურ და სისხლიან ბიზნესში მონაწილეობდა, – წერს გამოცემა.

დავით კეზერაშვილს, მიხეილ სააკაშვილს, თემურ ალასანიას იარაღით უკანონო ვაჭრობაში აფხაზეთის ომის ვეტერანი, საბრძოლო ქვედანაყოფ „ავაზას“ მეთაური, აგვისტოს ომის მონაწილე, ყოფილი პოლიტპატიმარი, გენერალი ტრისტან წითელაშვილიც ადანაშაულებს. მისი მტკიცებით, კეზერაშვილი აქტიურ კავშირში იყო იარაღით უკანონოდ მოვაჭრე საერთაშორისო დამნაშავე ვიქტორ ბუტისთან. მისი თქმით, საქართველო იარაღს უკრაინისგან ყიდულობდა, თუმცა, ისეთი ტიპის სამხედრო ტექნიკაა შეძენილი, რომელიც რუსეთის გარეშე საქართველოში ვერ მოხვდებოდა. უკრაინის „უკსპეცექსპორტს“, რომელიც იარაღს ყიდის, პირდაპირი კავშირი აქვს „როსვაარუჟენიასთან“. შესაბამისად, „როსვაარუჟენიასთან“ თანხმობის გარეშე, უკრაინა საქართველოს შეიარაღებას ვერ მიყიდდა. კეზერაშვილის მინისტრობის დროს უშუალოდ სააკაშვილმა დაამყარა კავშირები იუშჩენკოს მეშვეობით „უკსპეცექსპორტთან“, რომლის ხელმძღვანელიც ბონდარჩუკია. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტურად გაფორმდა ძვირადღირებული იარაღის შესყიდვა, საქართველოში ძვირადღირებული იარაღი არ შემოსულა. თემურ ალასანია ამ იარაღით ამარაგებდა იმ ქვეყნებს, რომლებსაც აკრძალული ჰქონდათ რომელიმე კონკრეტული ტიპის იარაღის შეძენა. ეს ქვეყნებია: სირია, ირანი, ლათინოამერიკული ქვეყნები. წითელაშვილი „ალიასთან“ იმ მაქინაციური სქემის შესახებ საუბრობს, რომლის მიხედვითაც, უკრაინაში შეძენილი სამხედრო ტექნიკა გაქრა. „არის ფირმა „ბელ თრეინგი“, რომელიც დარეგისტრირებულია სეიშელის კუნძულებზე, ოფშორულ ზონაში. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან თანხები ირიცხებოდა „ბელ თრეინგში“, იქიდან კი – „უკსპეცექსპორტში“. თავდაცვის სამინისტროს შეეძლო პირდაპირი წესით თანხები უკრაინაში ამ ორგანიზაციისთვის გადაერიცხა, მაგრამ თანხის პირდაპირი გადარიცხვით ფულს ვერ გააკეთებდნენ. მაგალითად, „ბელ თრეინგში“ ჩაირიცხა 100 მილიონი, 80 მილიონი რეგისტრირდებოდა ოფშორში რეგისტრირებულ ორგანიზაციაში, 20 მლნ კი ირიცხებოდა „უკსპეცექსპორტში“. იარაღის შესყიდვა უკრაინიდან მართლაც ხდებოდა, მაგრამ ამის შემდგომ საქართველო ამ იარაღს სირიასა და ირანზე ყიდდა“, – წერს გაზეთი.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარები გაკეთდა მმართველ გუნდში. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ ოპოზიციაში ყოფნის პერიოდშიც მათ ჰქონდათ ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ თავდაცვის ექსმინისტრი დავით კეზერაშვილი იარაღით ვაჭრობის საერთაშორისო თემებში იყო ჩართული. მისი თქმით, ფაქტია, რომ კეზერაშვილი დამოუკიდებლად არ მოქმედებდა.

– ვიდრე ეს ინფორმაცია გამოქვეყნდებოდა, ჩვენ, მაშინდელმა ოპოზიციამ უკვე ვიცოდით, რომ დავით კეზერაშვილი იარაღით ვაჭრობის თემებში იყო ჩართული. ამასთან დაკავშირებით არაერთი განცხადება გაგვიკეთებია. აქ საუბარია ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანიებზე, რომლებიც 800 მილიონიან ბრუნვას აკეთებდნენ. ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციაა და საფუძვლიანი ეჭვია, რომ ასეთი ტიპის საქმიანობით ფინანსდებოდა მიხეილ სააკაშვილის დანაშაულებრივი სისტემა. კეზერაშვილი არ იყო ერთი პერსონა, რომელიც თავისი შეხედულებით აკეთებდა რამეს. ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი საიმისოდ, რომ კეზერაშვილის საქმიანობა, ეს იყო სააკაშვილის საქმიანობა, ეს იყო სააკაშვილის დანაშაული, სისტემის დაფინანსების ერთ-ერთი გზა, – აცხადებს ძიძიგური.

დეპუტატ ირაკლი სესიაშვილის განცხადებით, დავით კეზერაშვილის საქმეზე, საქართველოს მთავარ პროკურატურაში გამოძიება მიმდინარეობს, მისი თქმით, არ არის გამორიცხული, რომ ამ თანხებით მიმდინარეობდა „ნაციონალური მოძრაობის“ ე.წ. შავი სალაროს დაფინანსება.

– აქ ისეთ თანხებზეა საუბარი, რომ წარმოუდგენელია, ეს ყველაფერი სახელმწიფოს სერიოზული მფარველობის გარეშე ხდებოდეს. აქ საუბარი 800 მილიონის ბრუნვაზე, ის რომ უცხოური ქვეყნებიც არიან დაინტერესებული კეზერაშვილის საქმის გახსნით, ეს საზოგადოებისთვის უცნობი არ არის. შესაბამისად, თუკი სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ ჩართული ამ საქმეში, ეს აუცილებლად უნდა იქნას გამოძიებული. მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს თანხები მიედინებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ ე.წ. შავ სალაროში, ამის მთავარი კი მიხეილ სააკაშვილი იყო. აქ ერთია, რომ საერთაშორისო სკანდალთან გვაქვს საქმე და მეორეა ის, რომ ჩვენი საგამოძიებო ორგანოები არიან დაინტერესებული, გახსნან ის სქემა, რომლის მიხედვითაც საკმაოდ დიდი ფული ირიცხებოდა ოფშორულ ზონებში. ამ თანხას ვინ ინაწილებდა, ეს ალბათ გამოძიების საქმეა. მე როგორც ვიცი, ამაზე პროკურატურა მუშაობს და დაველოდები შედეგებს, – აცხადებს სესიაშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის, დეპუტატ მანანა კობახიძის განცხადებით, თავდაცვის ექსმინისტრის დავით კეზერაშვილის ია-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## ხელისუფლებამ საარჩევნო რეფორმაზე უარი განაცხადა“



პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივნის ალექსანდრე შალამბერიძის განცხადებით, ხელისუფლებამ საარჩევნო რეფორმაზე ფაქტობრივად უარი განაცხადა.

მისი თქმით, სწორედ ეს გამოიკვეთა რამდენიმე დღის წინ კაჭრეთში ჩატარებულ ინტერფრაქციული ჯგუფის გასვლით შეხვედრაზე, რომელზეც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხები განიხილებოდა.

შალამბერიძის განცხადებით, მაშინ, როდესაც საპარლამენტო ოპოზიციამ სხდომაზე ჩამოყალიბებული, გაწერილი ხედვები წარადგინა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, სახელისუფლებო კოალიცია რეფორმებისათვის სრულიად მოუმზადებელია.

მისი თქმით, არასაპარლამენტო ოპოზიციის მიერ წარდგენილ ყველა წინადადებაზე, მათ შორის ამომრჩეველთა საარჩევნო სიების ბიომეტრიული წესით ფორმირებაზე, მაჟორიტარული არჩევნებისას 50%(+1)-იანი ბარიერის შემოღებაზე (ნაცვლად არსებული 30%-ისა) და სამართლიანი, მიუკერძოებელი საარჩევნო ადმინისტრაციის ჩამოყალიბებაზე, ხელისუფლებამ ფაქტობრივად უარი განაცხადა და „ნაციონალური მოძრაობის“ პოზიციაზე დადგა.

„ნაციონალურ მოძრაობას“ ასევე არაფერი წარმოუდგენია შეხვედრაზე და და მის მიერ დატოვებული უსამართლო, მახინჯი საარჩევნო კოდექსის მხარდამჭერად დარჩა“ – აცხადებს „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი.

ნიუსპრესი

## ალექსანდრე ჭიკაიძე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციას შეხვდა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის დელეგაციის ხელმძღვანელები – მაიკლ ასტრუპ იენსენი და ბორის სილევიჩი, გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჭიკაიძეს შეხვდნენ.

შსს-ს ინფორმაციით, შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს მიერ ევროპის საბჭოს მიმართ აღებული ვალდებულების შესრულება, პოლიციის რეფორმისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები განიხილეს.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, კომიტეტის წევრები უკვე შეხვდნენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, პრეზიდენტს, იუსტიციის, საგარეო საქმეთა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრებს, სახალხო დამცველს, პარლამენტის წევრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ვიზიტის შედეგები დღეს საღამოს დაგეგმილ პრესკონფერენციაზე შეჯამდება.

ნიუსპრესი

## გიგი უგულავა: ეს არის ხარკი, რომელიც, როგორც ჩანს, უნდა გადავიხადოთ“



„ტელეიმედისა" და რიყის ტერიტორიის გასხვისების საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში დავით კეზერაშვილისა და გიგი უგულავს სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

გიგი უგულავამ საქალაქო სასამართლოში მისი და დავით კეზერაშვილი პროცესის დაწყებამდე ჟურნალისტებისთვის კომენტარი გააკეთა.

„ეს არის ხარკი, რომელიც, როგორც ჩანს, უნდა გადავიხადოთ. ამ ბაქანალიაში სასამართლოა ჩართული, გადასახადების გადამხდელის ფული და დრო იხარჯება. დარწმუნებული ვარ, რომ შედეგი შესაბამისი იქნება, ამას დასჭირდება ბევრი დრო, ენერგია და ნერვები. როგორც ჩანს ეს უნდა გავიაროთ," - განაცხადა უგულავამ.

მისი თქმით, აქამდე დაკითხულ, პროკურატურის მოწმეების ჩვენებებიდან არანაირი ბრალი არ გამომდინარეობს.

გიგი უგულავას და დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ საქმე რიყის ტერიტორიისა და "ტელეიმედის" გასხვისების საქმეზეა აღძრული. საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი საფრანგეთში 14 ოქტომბერს დააკავეს. ამჟამად კი წინასაექსტრადაციო პროცესს გადის.

მედიანიუსი

## ხაჩირაშვილი მერიას ტენდერების კანონდარღვევით ჩატარებაში ადანაშაულებს



თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენელმა ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა კოსტავას ქუჩის №47-ის ტერიოტრია, სადაც მაცხოვრებლები არსებული ავტოსადგომის გაუქმებას და სპორტული მოედნის მოწყობას ითხოვენ, პირადად დაათვალიერა და ადგილობრივ მოსახლეობას დახმარებას დაჰპირდა.

ხაჩირაშვილის განცხადებით, ხელოვნურსაფარიან მოედანზე ავტოსადგომის მოწყობა უპრეცედენტო ფაქტია. მისი თქმით, თბილისის ქონების მართვის სამსახურმა ეს ტერიტორია 49 წლიანი იჯარით გასცა და ბავშვებს სპორტული მოედანი წაართვა.

„კატეგორიულად მოვუწოდებთ და წერილობითაც მივმართავთ, არა მხოლოდ ქონების მართვის სამსახურს, არამედ თბილისის მთავრობას, რომ სასწრაფოდ გადახედოს იმ გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც ამ ხელოვნურ საფარიან მოედანს უკავშირდება. მოვუწოდებთ მათ, სასწრაფოდ გააუქმონ იგი და შექმნან ყველა პირობა სპორტული მოედნის აღსადგენად“– განაცხადა ნიკოლოზ ხაჩირაშვილმა.

მისი თქმით, აუცილებელია მოზარდებს ჰქონდეთ საშუალება საკუთარ ეზოში სპორტით დაკავდნენ და ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრონ.

ნიუსპრესი

## მთავარმა პროკურატურამ გოდერძი ჯოლოხავას საქმეზე გამოძიება დაიწყო

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ მოწმე გოდერძი ჯოლოხავაზე განხორციელებული ზემოქმედების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 372-ე მუხლით გამოძიება დაიწყო.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიების დაწყების საფუძველს წარმოადგენდა ბოლო დღეებში სხვადასხვა სატელევიზიო საშუალებებში გასული ინფორმაცია, ყოფილი პატიმრის გოდერძი ჯოლოხავას მიმართ სხვადასხვა პირების მხრიდან ცრუ ჩვენების მისაცემად, მის მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტებზე.

„ამჟამად, საქმეზე ტარდება შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად. მთავარი პროკურატურის მიერ მოწმეებზე ზეწოლის ნებისმიერი ფაქტი მკაცრად იქნება აღკვეთილი“ – აღნიშნულია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას მეუღლემ ანი ნადარეიშვილმა რამდენიმე დღის წინ ვიდეოჩანაწერი გაავრცელა, სადაც ჯოლოხავა მედიაკავშირ „ობიექტივის“ დამფუძნებელს ირმა ინაშვილს, იუსტიციის მინისტრ თეა წულიკიანს და ყოფილ მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს ადანაშაულებდა და აცხადებდა, რომ მათ ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემა აიძულეს. ამის შემდეგ კი, „ობიექტივის“ ეთერში ჯოლოხავამ განაცხადა, რომ ეს ვიდეო ახალაიას ახლობლების მხრიდან ზეწოლის შედეგად ჩაიწერა. მისი თქმით, მას ახლობლების ლიკვიდაციით დაემუქრნენ და სასურველი განცხადების ჩაწერის გაკეთების შემდეგ ქვეყნიდან გაიყვანეს. მან მუქარაში ვინმე რუსლანი და გენერალი გიგი კალანდაძე დაადანაშაულა. ასევე, აღნიშნა, რომ ვიდეო ანი ნადარეიშვილმა გადაიღო და მასში კითხვებს ადვოკატი გიორგი ონიანი უსვამს.

ნიუსპრესი

## დარიალის სასაზღვრო გამტარი პუნქტი მუშაობის 24 საათიან რეჟიმზე გადავიდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს დარიალის სასაზღვრო გამტარი პუნქტი დღეს 07:00 საათიდან მუშაობის 24 საათიან რეჟიმზე გადავიდა. შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, უწყებამ გადაწყვეტილება იქიდან გამომდინარე მიიღო, რომ საქართველოში ზამთრის კურორტებზე ტურისტების საგრძნობი მატებაა, იმატა ქვეყნიდან სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზღვარგარეთ ექსპორტმა, ასევე გაიზარდა სატრანზიტო მოძრაობის რაოდენობა. ამასთან, რუსეთის ფედერაციაში გამსვლელი სატვირთო ავტომობილების მძღოლებისთვის რუსეთის ფედერაციის ვიზების გაცემა გამარტივდა.

სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული პროცედურები გაკეთდა იმისთვის, რომ ვიზიტორების მოსალდონელი მატების პირობებში დარიალის სასაზღვრო გამტარი პუნქტის გავლით საქართველოში შემომსვლელ და გამსვლელ მოქალაქეებს მგზავრობისას გადაადგილება გაუმარტივდეთ.

ნიუსპრესი

## საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე თურქეთის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მთავარი სამმართველოდან, მიღებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს დასავლეთის საგამოძიებო განყოფილების თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე დააკავეს.

სასაზღვრო პოლიციის ინფორმაციით, ბრალდებულმა 2014 წლის 12 იანვარს, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარ პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი თევზსაჭერი სეინერით „ზექი ეფე უჩუნჯუოღლუ“ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთა და თურქეთის რესპუბლიკიდან საქართველოში, ქალაქ ფოთში შემოვიდა.

აღნიშნული ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის I ნაწილით მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

## ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით ხუთი პირი დააკავეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს და ქობულეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ერთობლივად ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, დაკავებულები არიან – წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გიორგი გ, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გიორგი ა, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი გიორგი ტ, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ჯონი ც. და გიორგი ტ. ქურდული სამყაროს წევრობის, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების და პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით.

სამართალდამცველებმა გიორგი გ-ს პირადი ჩხრეკისას „მაკაროვი“-ს სისტემის პისტოლეტი 1 მჭიდითა და 5 საბრძოლო ვაზნით, გიორგი ა-ს პირადი ჩხრეკისას ასევე „მაკაროვი“-ს სისტემის პისტოლეტი 1 მჭიდითა და 6 საბრძოლო ვაზნით, ხოლო გიორგი ტ-ს პირადი ჩხრეკისას „გეკო“-ს ტიპის იარაღის 34 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულები ჩადენილ დანაშაულს აღიარებენ. გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე (სსსკ-ის 223-ე პრიმა მუხლით), ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტზე (სსსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით) და პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობის ფაქტზე (სსსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით) მიმდინარეობს.

ნიუსპრესი

# ლევან კალანდაძე: ჯვარი–ხორგას პროექტის შეჩერება ყოვლად უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა“

დღეს სააგენტო „პირველი პრესკლუბში“ გაიმართა ბრიფინგი თემაზე **„ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის შეფერხების მიზეზები“**.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ინფრასტრუქტურული პროექტების ინიციატივის“ ხელმძღვანელმა, ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში, ლევან კალანდაძემ, ჯვარი-ხორგას 500 კვ-იანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ხელოვნურად შეფერხებას ყოვლად უპასუხისმგებლო გადაწყვეტილება უწოდა და განაცხადა, რომ ეს სახელმწიფო უწყებების არაკოორდინირებული, არაეფექტური საქმიანობის შედეგია.

„დღეს აღნიშნული პროექტი ხელოვნურად შეჩერებულია რიგი სახელმწიფო უწყებების ყოვლად უპასუხისმგებლო და საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულების გამო. მაგალითად, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ ვერ განახორციელა დროული და ეფექტური კოორდინაცია სხვა სახელმწიფო უწყებებსა და სამინისტროებთან. დღეს, როდესაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ უკვე გამოყოფილია ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის საჭირო 77 მილიონი ევრო, პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის შეუთანხმებლობა ხდება ამ პროექტის შეჩერების და დაბლოკვის საფუძველი“, – განაცხადა **ლევან კალანდაძემ**.

ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი წარმოადგენს „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის პროექტის“ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელსაც საქართველოს მთავრობის თხოვნით ახორციელებს „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“ (EBRD), „ევროპის საინვესტიციო ბანკი“ (EIB), „გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი“ (KFW) და „ევროპის სამეზობლო საინვესტიციო ფონდი“ (ECNIF). პროექტის მთლიანი ღირებულება 270 მილიონ ევროს შეადგენს.




● ლევან კალანდაძე

ამ მასშტაბური პროექტის მეორე ფაზა ითვალისწინებდა დაახლოებით 60 კმ. სიგრძის ჯვარი-ხორგას 500 კვ-იანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას და ორი ქვესადგურის – ხორგას (220 კვ.) ქვესადგურის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციას და ჯვრის ახალი (500 კვ.) ქვესადგურის მშენებლობას. პროექტი და მათ შორის, ამ პროექტის „გარემოზე ზემოქმედების შეფასება“ (გზშ) მომზადებულია „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის“ (EBRD) მიერ. ამ ეტაპზე EBRD-ის და KFW მიერ უკვე გამოყოფილია ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის საჭირო საინვესტიციო თანხა 77 მილიონი ევროს ოდენობით.

„გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჯვარი-ხორგას ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის შეფერხება არის ყოვლად უპასუხისმგებლო ნაბიჯი და გადაწყვეტილება. ეს არის ქვეყნისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული საკითხისადმი სახელმწიფო უწყებების მხრიდან არასახელმწიფოებრივი მიდგომების გამოვლენის „ბრწყინვალე“ მაგალითი.“ – აცხადებს ლევან კალანდაძე.

# ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველოში ბიზნესი უნდა გაადვილდეს“

ნათია ხურცილავა

**ტრადიციას, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა დაამკვიდრა, ბიზნესმენებთან შეხვედრის, როგორც ჩანს, ირაკლი ღარიბაშვილი აგრძელებს. გუშინ პრემიერმა ბიზნესმენებს უთხრა, რომ შეხვედრის მიზანი გულწრფელი მოსაზრებების მოსმენაა და ღია დიალოგის დამკვიდრების სურვილი. პრემიერის ამ სურვილს რამდენად აუბამს მხარს წლების განმავლობაში, როგორც ამბობენ, დაშინებული ბიზნესი, რთული სათქმელია.**

შეხვედრას 80-მდე ბიზნესმენი ესწრებოდა. პრემიერმა ბიზნესმენებს პირობა მისცა, რომ ხელისუფლება ბიზნესში არ ჩაერევა და მათ თავისუფლად შეეძლებათ მოქმედება.

ირაკლი ღარიბაშვილმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას განაცხადა, მთავრობა შექმნის ყველა პირობას, რათა ბიზნესს საქმიანობაში რაც შეიძლება ნაკლები დაბრკოლება შეექმნას.

— მინდა, მოგმართოთ ყველას — ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და გაძლიერება თითოეული თქვენგანის ბიზნესის განვითარებასა და წარმატებაზეა დამოკიდებული. მე, როგორც მთავრობის მეთაური, გპირდებით, რომ მთავრობა შეგიქმნით ყველა პირობას იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლები დაბრკოლება შეგექმნათ თქვენს საქმიანობაში და გქონდეთ სტიმული ბიზნესის განვითარებისათვის, რაც საბოლოოდ ჩვენი ქვეყნის წინსვლის საწინდარი იქნება, — განაცხადა პრემიერმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ბიზნესმენებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად, საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებითაც იყო საუბარი.

— ჩვენ დაგეგმილი გვაქვს მთელი რიგი ცვლილებები, რაც საქართველოში ბიზნესის წარმოებას გააადვილებს. მთლიანობაში ეს ძალიან სასარგებლო შეხვედრა იყო. ვისაუბრეთ იმაზე, რომ ბიზნესი აბსოლუტურად თავისუფალია პოლიტიკური წნეხისგან და მის განვითარებას ხელს არავინ უშლის. მოვისმინე იმ ბარიერების შესახებ, რაც წლების განმავლობაში საქართველოში არსებობდა, — აღნიშნა ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ღარიბაშვილმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ შეხვედრის მიზანი ხელისუფლებასა და ბიზნეს-წრეებს შორის წარმატებული დიალოგის დამკვიდრებაა, რომელმაც საფუძველი წარმატებულ ეკონომიკას უნდა დაუდოს.



— ჩვენი დღევანდელი შეხვედრით მინდა, საფუძველი ჩავუყაროთ გულწრფელ და ეფექტიან დიალოგს ხელისუფლებას და ბიზნეს-საზოგადოებას შორის, დიალოგს, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც თქვენი კომპანიების წარმატებულ საქმიანობას და განვითარებას, ისე ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას. ძალიან კარგად მესმის, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის თავისუფალი, კონკურენტული გარემო და მესმის იმ წვლილის მნიშვნელობა, რომელიც საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში უნდა შეიტანოს ბიზნესმა ანუ თქვენ. ჩვენ — ხელისუფლებამ და ბიზნესმა — ერთად უნდა შევქმნათ ისეთი ინსტიტუციონალური გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მაქსიმალურ და ეფექტიან ათვისებას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას, საბოლოოდ კი, ჩვენი ქვეყნის უდიდესი პრობლემის — სიღარიბის გადაწყვეტას. სწორედ ამიტომ, ჩვენ გვაინტერესებს თქვენი ხედვა და მოსაზრებები როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ჭრილში, ისე იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ხელს გიშლით კონკრეტული პროექტების განხორციელებაში. ასევე გვსურს, ჩვენი მთავრობის ხედვები წარმოგიდგინოთ და გვქონდეს გულწრფელი დიალოგი, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

ღარიბაშვილმა, როგორც პრესას განუცხადა, ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებთან ადგილობრივი ბიზნესის წარმოებასა და იმაზე ჰქონდა საუბარი, თუ როგორ უნდა მოხდეს ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა.

— წარმოების განვითარებაში ჩართული უნდა იყოს ყველა, როგორც ბიზნესი, ისე მთავრობა. რაც მთავარია, ეს იმპორტის ხელოვნური ბარიერებით ჩანაცვლების გზით კი არა, არამედ ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში უნდა მოხდეს, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ბიზნესმენებთან შეხვედრისას განაცხადა, ყოფილი მმართველი გუნდის მიერ ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ მიმართულმა მოქმედებებმა ეკონომიკაზეც უარყოფითი გავლენა იქონია. მან ერთწლიანი კოჰაბიტაციის მავნე გავლენაზე გაამახვილა ყურადღება.

— განვლილი წელი ურთულესი და ამავდროულად უმნიშვნელოვანესი პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას კოჰაბიტაციის რეჟიმში მოუწია მუშაობა, რისი გამოცდილებაც ქვეყანას აქამდე არ გააჩნდა. ყოფილი მმართველი გუნდის მიერ ახალი ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ მიმართულმა მოქმედებებმა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან, ეკონომიკაზეც იქონია უარყოფითი გავლენა. ჩვენ გვესმის, რომ გასული წელი ასევე რთული იყო ბიზნესისთვისაც. ხშირად ასეთ გარემოში ბიზნესისთვის უფრო ადვილია მოლოდინის რეჟიმში ყოფნა, ვიდრე აქტიურ მოქმედებებზე გადასვლა. თუმცა, თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო იმაზე, რომ მუდმივი წინააღმდეგობების მიუხედავად, საქართველოს მთავრობას ეს დრო უქმად არ დაუკარგავს, და აღვნიშნო ის მიღწევები, რომლებიც ყველა თქვენგანმა კარგად იცის. ჩვენ მივაღწიეთ უმთავრეს მიზანს — დავამკვიდრეთ კანონის უზენაესობა. მოგეხსენებათ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა კანონის მიმართ წინა ხელისუფლებას და ეს მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი იყო ბიზნესის განვითარებისათვის. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში აღარ არსებობს პოლიტიკური ზეწოლა ბიზნესზე და საკუთრების უფლება საქართველოში დაცულია ისე, როგორც არასდროს. ამას ადასტურებს საერთაშორისო რეიტინგები, რაც სათანადოდ აისახა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2013-2014 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის მოხსენებაში“ საქართველოსთვის მინიჭებულ გაუმჯობესებულ რეიტინგში. კერძოდ, აღნიშნული მოხსენების მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 5 ადგილით გაუმჯობესდა და 148 ქვეყანას შორის საქართველომ 77-ე ადგილიდან 72-ზე გადაინაცვლა. კვლევის თანახმად, საქართველოს პოზიციები გაუმჯობესებულია 114-დან 48 ქვეკომპონენტში. მონაცემებით, საქართველოს მე-8 ადგილი უკავია ბიზნესის კეთების რეიტინგში, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ასევე ისაუბრა სოფლის მეურნეობის სფეროში განხორციელებულ პროექტებზე, რომელიც ერთგვარი მხარდაჭერა იყო აღნიშნულ სფეროში დასაქმებული ადამიანების.

— სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავეთა მხარდასაჭერად 2013 წლის გაზაფხულიდან ამოქმედდა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი. სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი ახდენს ბანკების მიერ დაფინანსებული აგროსესხების საპროცენტო განაკვეთის 9-12%-ის თანადაფინანსებას. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სამელიორაციო მომსახურებით უზრუნველსაყოფად, რისთვისაც შემუშავდა და ხორციელდება „სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციის პროგრამა“. ამ და სხვა პროექტების განხორციელებამ გამოიწვია პირველადი პროდუქციის წარმოების წახალისება, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმებულთა შემოსავლების ზრდა. დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისათვის. 2013 წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 697.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (677.9 მლნ აშშ დოლარი) 2.7%-ით აღემატება. განსაკუთრებით პრიორიტეტულია ქვეყნის ერთ-ერთ სტრატეგიულ სექტორში — ენერგეტიკაში ინვესტიციების მოზიდვა. მთავრობამ შეიმუშავა საქართველოში ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესი, რომელიც ხელს შეუწყობს სექტორში ინვესტიციების გაზრდას, ასევე მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სახელმწიფოს ეკონომიკურ წინსვლაში და დაიცავს ინვესტორის ინტერესებს. ასევე იმედისმომცემია 2013 წელს ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა — ეს არის 5365 356 კაცი, რაც 21.2%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერმა ბიზნესმენებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ თანაინვესტირების ფონდში მობილიზებულია 6 მილიარდი დოლარი.

— ბიძინა ივანიშვილის ინიციატივითა და ქართველ და უცხოელ ინვესტორთა ჯგუფის მხარდაჭერით, შეიქმნა და აქტიურ მუშაობას შეუდგა „საქართველოს თანაინვესტირების ფონდი“. კერძო საინვესტიციო ფონდი პოტენციურ ინვესტორებს ხელსაყრელ პირობებსა და განსაკუთრებულ შესაძლებლობებს სთავაზობს საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების განსახორციელებლად. დღეისათვის ფონდში მობილიზებული კაპიტალის მოცულობა 6 მილიარდი აშშ დოლარია, რაც ძლიერი ბიძგი იქნება ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის. საქართველოში დაწყებითი ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნება მეწარმეობის განვითარების სააგენტო. ეს სააგენტო ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მისი მეშვეობით უნდა შევუწყოთ ხელი დაწყებითი ბიზნესის განვითარებას და, შესაბამისად, უნდა შევქმნათ საფუძველი, რომლის შემდეგაც კომერციული ბანკები მოახერხებენ ახალშექმნილი ბიზნესის დაკრედიტებას. 2013 წლის ივლისში საქართველომ წარმატებით დაასრულა მოლაპარაკებები ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე, რომელიც ქმნის საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის უპრეცედენტო პოტენციალს და 500-მილიონიან ბაზარზე გასვლის უნიკალურ შესაძლებლობებს აძლევს ქართულ ბიზნესს. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს საექსპორტო პოტენციალს, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის. ჩვენ კარგად გვესმის ხელისუფლების როლი ამ პროცესში და ვხედავთ შესაძლებლობას, თქვენთან ერთად გადავწყვიტოთ ქვეყნის ეკონომიკისათვის ისეთი პრიორიტეტული ამოცანები, როგორიცაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკის რეალური სექტორის სტიმულირება და ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერა, საექსპორტო პოტენციალის მქონე დარგების განვითარება და ამის შედეგად — დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

# თინა ხიდაშელი: როგორ გახდა მინისტრობიდან გადადგომისთანავე კეზერაშვილი მილიონერი?!“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

რაღით ვაჭრობის საერთაშორისო სკანდალის გამოძიება სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა. როგორც დეპუტატი აცხადებს, შესაძლოა, საქმე გვქონდეს არა მხოლოდ კეზერაშვილთან, არამედ მთლიანად დანაშაულებრივ სქემასთან, რომლის სათავეშიც წინა ხელისუფლება და უშუალოდ მიხეილ სააკაშვილი იდგა.

— ეს არის საქმე, რომელიც საბოლოოდ გამოძიების შედეგად უნდა გაირკვეს, მე არანაირი საფუძველი არ მაქვს, რომ ეჭვი შევიტანო ამ ინფორმაციის ჭეშმარიტებაში, რადგანაც აქ გარკვეული წყაროებიც არის მითითებული და ამ ადამიანს ბრალი აქვს წაყენებული. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის დოკუმენტაცია, რომელიც არსებობს ჩვენი მეგობარი ქვეყნების საგამოძიებო უწყებების ხელში და საქართველოს სამართალდამცავი უწყებების ხელში, იძლევა საფუძველს იმისას, რომ ამ ადამიანს პასუხი მოეთხოვოს იმისთვის, რასთანაც მათ, როგორც ჩანს, კავშირი ჰქონდათ, — აცხადებს კობახიძე და დასძენს, რომ საეჭვოა ის გარემოება, რომ ადამიანი, რომელიც არანაირ ბიზნესთან არასდროს არ ყოფილა კავშირში, მოულოდნელად ამხელა შემოსავლის პატრონი გახდა.

— საეჭვო ეს საქმე, ბუნებრივია არის, რადგანაც ადამიანი, რომელსაც არანაირ ბიზნესთან საერთო არ ჰქონდა არასოდეს, რევოლუციურ ტალღაზე მოვიდა ხელისუფლებაში, ჯერ გახლდათ ფინანსურ პოლიციაში, შემდეგ თავდაცვის სამინისტროში და სწორედ მისი მინისტრობის დროს დაატყდა ქვეყანას ეს ტრაგედია, რასაც 2008 წლის ომი ჰქვია, მაშინ, როდესაც ქვეყანაში მილიონობით ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არის, უამრავი ტრაგედია ვიწვნიეთ. ამ ყველაფრის ფონზე, ოფშორში მილიარდები ტრიალდებდა. წაგებული ომის თავდაცვის მინისტრის გამდიდრება კი ძალიან სერიოზული კითხვის ნიშნას სვამს და ამას სჭირდება სერიოზული გამოძიება. ეს გამოძიება დაწყებულია, ეს ყველაფერი ბოლომდე უნდა მივიდეს და სადაც მივა ეს კვალი, ვინც არ უნდა იყოს ის, პასუხი უნდა აგოს. დასკვნა შეიძლება გაკეთდეს, რომ ეს არის დანაშაულებრივი სისტემა, რომლის სათავეშიც იდგა არა მხოლოდ კეზერაშვილი, არამედ ყოფილი ხელისუფლება. ეს არ არის კეზერაშვილის საქმენი საგმირონი, ამის სათავეში სააკაშვილი იდგა. მე იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენი პროკურატურა თანამშრომლობით იგივე აშშ და საფრანგეთის საგამოძიებო ორგანოებთან, ყველაფერს გამოავლენენ. მე ვარ დეპუტატ და არ შემიძლია საგამოძიებო უწყების ენით ვისაუბრო, ეს არის სამართალდამცავი ორგანოების საქმე და ექსტრადირებას დაექვემდებარება ის თუ როგორც იქნება, მთავარია, ეს ბრალდება იყოს სრულად გამყარებული, რომ არ დარჩეს არავითარი კითხვის ნიშანი, — აცხადებს კობახიძე.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, თინა ხიდაშელის განცხადებით, ფაქტები, რომლებიც თავდაცვის ყოფილი მინისტრის შესახებ გასაჯაროვდა, სიახლე არ არის, თუმცა დღეს გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ისინი დოკუმენტურად დადასტურდეს. მისი თქმით, კითხვები ძალიან ბევრია, როგორ და რა საშუალებებით გაუჩნდა ასეთი შემოსავლები მუდმივად საჯარო სამსახურში მყოფ ადამიანს და როგორ მოახერხა მან, რომ მინისტრობიდან გადადგმისთანავე გახდა მილიონერი? ეს არის მთავარი კითხვა, რომელსაც რამდენიმე წელია, ვსვამთ და რომელიც ადასტურებს იმ ეჭვს, რომ თანამდებობაზე ყოფნისას ის დაკავებული იყო ფულის გათეთრებით, საკუთარი ბიზნეს-ინტერესების ლობირებით ჯერ კიდევ ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობის დროს, შემდეგ კი თავდაცვის მინისტრობის დროს. ძალიან ბევრი სკანდალი იყო იარაღის შესყიდვებთან დაკავშირებითაც და შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ ეს დოკუმენტები უკვე არსებობს და საზოგადოებისთვის ძალიან მალე ცნობილი გახდება. რამდენიმე ჟურნალისტისგან მე მაქვს სრულფასოვანი პირობა, რომ მათ აქვთ ეს დოკუმენტები და გამოაქვეყნებენ უახლოეს მომავალში, — განაცხადა ხიდაშელმა. მისი თქმით, გამოქვეყნებული მასალებიდან დგინდება, რომ პრაქტიკულად იმ მომენტიდან, როდესაც ეს ბატონი აღარ იყო თავდაცვის მინისტრი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდის ჩათვლით, დაახლოებით 1 მლრდ-იანი ფინანსური ბრუნვები ჰქონდა ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიაზე. თავისთავად, ეს შეიძლება არც ყოფილიყო მნიშვნელოვანი და საინტერესო მოვლენა, თუ არ გავითვალისწინებთ ორ ფაქტორს: პირველი —



თავდაცვის მინისტრობიდან გადადგომამდე, არც ერთი დღის განმავლობაში კეზერაშვილი არ ყოფილა ბიზნესმენი, საქართველოს არ სმენია, რომ ამ ადამიანს განსაკუთრებული ბიზნესწარმატებები ჰქონდა, რაც მას ქონების დაგროვებისა და დიდი ფინანსური სარგებლის მიღების საშუალებას მისცემდა, თუმცა აღმოჩნდა, რომ თანამდებობიდან გადადგომისთანავე ეს ადამიანი გახდა კომპანია „ლუკოილის“ 50%-იანი წილის მფლობელი, მან ეს აქტივები სიმბოლურ ფასად მიიღო. როდესაც გაჩნდა „გალფი“, მაშინვე დაიწყო საუბრების იმის შესახებ, თუ როგორი ზეწოლა მოახდინა ბატონმა კეზერაშვილმა არსებული ნავთობკომპანიების პატარა ქსელებზე იმისთვის, რომ ისინი საკუთარი კომპანიით ჩაენაცვლებინა. დღეს ეს ფაქტი, რასაც დიდი ხანი უარყოფდა ის და მასთან დაკავშირებული პირები, დადასტურდა, რომ ეს ადამიანი არის ამ ქსელის მესაკუთრე, ისევე, როგორც ბევრი სხვა ბიზნესის, რომლებიც ამ ოფშორში რეგისტრირებული კომპანიის შვილობილი ბიზნესორგანიზაციები არიან. კითხვები ძალიან ბევრია, როგორ და რა საშუალებებით გაუჩნდა ასეთი შემოსავლები მუდმივად საჯარო სამსახურში მყოფ ადამიანს და როგორ მოახერხა მან, რომ მინისტრობიდან გადადგმისთანავე გახდა მილიონერი? — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

# ლევან კიკნაძე: „რუსეთი აფხაზეთს დაფინანსებას უმცირებს“

თამარ ნინიძე

## ინტერვიუ აფხაზეთის უშიშროების ექსმინისტრ, გენერალ ლევან კიკნაძესთან

***– რუსეთს სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით საგანგებო ზომები აქვს მიღებული, მაგრამ როგორც ჩანს, ეს საკმარისი არ არის, ჩრდილოკავკასიელი მებრძოლები გააქტიურდნენ და ტერორისტულმა აქტებმა იმატა. როგორ შეაფასებთ არსებულ მდგომარეობას?***

– როცა ამ მასშტაბის სპორტული ღონისძიება ტარდება, ნებისმიერი სახელმწიფო საგანგებო უსაფრთხოების ზომებს ატარებს. რუსეთის ხელისუფალთ გაცნობიერებული აქვთ, ალბათ, რაოდენ დიდია მათი პასუხისმგებლობა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. აქ რამდენიმე ფაქტორია, ჩრდილო კავკასიის ფაქტორი, აფახაზეთის, და თავად რუსეთის სამართალდამცავ ორგანოებში გამეფებული კორუფცია, რის გამოც ვერ ხერხდება თავიანთი შესაძლებლობების სრულფასოვნად ამოქმედება, რათა უზრუნველყონ ჩვეულებრივი მოქალაქეების უსაფრთხოება. რუსეთის სამართალდამცავი ორგანოებისთვის ხელსაყრელი ის მაინც არის, რომ ზამთარია და მთებიდან გადასასვლელები ჩაკეტილია, მესაზღვრეებსაც გაუადვილდებათ საზღვრების გაკონტროლება. მაგრამ თუ ტერორისტებს ჩაფიქრებული აქვთ სიტუაციის არევა და დივერსიების მოწყობა, ალბათ, ბევრი რამ გათვალისწინებული ექნებათ და საჭირო მასალები შეიძლება წინასწარ ჰქონდეთ შეტანილი. ასე რომ, რუსეთის სამართალდამცავების მიერ მიღებული ზომები ვითარების ადეკვატური უნდა იყოს, რადგან საშიშროება რეალურია. აფხაზეთის მონაკვეთს რაც შეეხება საგულდაგულოდ ჩაკეტავენ რუსები არა მარტო ფსოუს საზღვარს, არამედ აიბგის გადასასვლელებსაც.

***– ეს ალბათ ხელს შეუშლის აფხაზეთის მოსახლეობას, რომ თავისუფლად გადაადგილდნენ პირადი საქმისათვის?***

– დიახ, ფაქტია, რომ ამ შემთხვევაში მათ რუსეთში გასასვლელი გზა ჩაეკეტებათ. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ავტომანქანებისთვის გამოყოფილია უმნიშვნელო რაოდენობის საკრედიტაციო მოწმობები, მათ გადაადგილებასაც შეზღუდავენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ენგურზე ისედაც გამკაცრებულია რეჟიმი, ხოლო საზღვაო მიმოსვლა წელიწადის ამ დროს ისედაც შეზღუდულია, გამოდის, რომ მინიმუმ ორი-სამი თვე აფხაზეთის მოსახლეობა მოექცევა ბლოკადაში.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზებს აეკრძალათ მათი დროშით სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა. ამაზე რას იტყვით?***

– ოლიმპიური ქარტიის თანახმად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ ცნობს არც აფხაზეთს და არც ოსეთს, ცნობს მხოლოდ საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რომელიც აღიარებულია გაეროს მიერ. რუსეთს ეს კარგად ესმის და ამის წინააღმდეგ ვერ წავა. მაგრამ რუსეთმა შეიძლება კოჭი გაუგოროს აფხაზებს და თავისივე დელეგაციეს შემადგენლობაში მისცეს უფლება მათი დროშით გამოვიდნენ.

***– მოსალოდნელია პროვოკაციული სიურპრიზები?***

– ქართველები დაინახავენ, რომ რუსეთის შემადგენლობაშიც აფხაზები გამოდიან საკუთარი დროშით და შეიძლება გააპროტესტონ კიდეც.

***– სულ ახლახან ჩოჩიევმა განაცხადა, რომ ოს ხალხს სურს რუსეთის შემადგენლობაში შევიდეს ე.წ. სამხრეთ ოსეთი. როგორია თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით?***

– მსგავსი ინიციატივით კოკოითიც გამოდიოდა, მაგრამ საკითხავია, რამდენად წავა ამ ნაბიჯზე რუსეთი. ბევრი რუსი პოლიტოლოგი თვლის, რომ 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით, მიუხედავად იმისა, რომ გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ეს ნაბიჯი წამგებიანი იყო, საქართველოდან განდგომილი ამ ორი რეგიონის უსაფრთხოების გარანტირებულობა უზრუნველყო. წამგებიანად თვლიან იმდენად, რამდენადაც, მათივე აზრით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ფაქტიურად ისედაც რუსეთის პროტექტორატებად მიიჩნეოდა და რომ არა სააკაშვილის ავანტიურა, რუსეთს ზედმეტი თავის ტკივილი არაფრად არ სჭირდებოდა. თუმცა, იმასაც აღნიშნავენ, რომ თავის დროზე კრემლმა დიდი შეცდომა დაუშვა, როდესაც პრაქტიკულად მოახდინა თავისი პოლიტიკური შესაძლებლობების დემონტაჟი საქართველოში, რაც იმას ნიშნავს, რომ უარი თქვა საქართველოს შიგაპოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობაზე და ნებსით თუ უნებლიეთ ადგილი დაუთმო ამერიკას საქართველოში თავისი ინტერესების გატარებისთვის. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, იძულებით და წამგებიან ნაბიჯად თვლიან კიდევ იმიტომ, რომ თუ მანამდე საქართველო ამერიკისთვის სტრატეგიული ინტერესების ზონად მიიჩნეოდა, აღიარების შემდეგ საქართველო უკვე ამერიკის პროტექტორატად გადაიქცა. უფრო მეტიც, მათივე აზრით, ქართულ-რუსული ურთიერთობის ნორმალიზების პროცესი, ამერიკისა და რუსეთის გარიგებას უკავშირდება, რომლის ძირითადი არსი რუსეთის მიერ ამერიკის ინტერესების აღიარებაა საქართველოში.

– როგორც ცნობილია, აფხაზეთის მოსახლეობა უკმაყოფილოა ანქვაბის პოლიტიკის. ამ ფონზე ახალმა ხელისუფლებამ, რეინტეგრაციის მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა ახალი სტრატეგია წარმოადგინა აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობაში, შერიგების სამინისტრო დაერქვა რეინტეგრაციის სამინისტროს იგი ასევე ფიქრობს, რომ აფხაზები და ოსები უნდა დავაინტერესოთ ევროპასთან დაახლოების პერსპექტივით, რადგან დღეს მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობენ, დიდია რუსული გავლენა ამ რეგიონებში. ექსპერტები აფხაზეთში უკვე ღიად საუბრობენ, რომ ამ წელს რუსეთი შეპირებულ ფინანსურ დახმარებას, რაც აფხაზეთის ბიუჯეტის ორ მესამედს შეადგენს, მნიშვნელოვნად შეამცირებს, რაც მტკივნეულად აისახება ხელფასებზე და პენსიებზე. თანხის დარჩენილი ნაწილი კი, რაც ეკონომიკას უნდა მოხმარდეს, ბევრს ვერაფერს შეცვლის, რადგანაც თუ აქამდე ვერ ხერხდებოდა რევოლუციური ეფექტის მიღება, მით უმეტეს, ვერ მიიღწევა ახლაც, რადგანაც, მათივე აზრით, ის სახელისუფლებო უწყებები, რომლებიც განკარგავენ ფინანსურ შემოდინებებს, დაკომპლექტებული არიან გასული საუკუნის 80-იანი წლების ჩინოვნიკების დონეზე, რომლებსაც წარმოდგენაც კი არა აქვთ რაიმე სახის რეფორმაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამავე აზრს იზიარებს აფხაზური ოპოზიციის მთელი სპექტრი და ანქვაბის პოლიტიკით უკმაყოფილო ნაწილი, ბევრზე მაინც ავადმყოფურად მოქმედებს ჩვენი მხრიდან დანახული და ჩაწოდებული მათი პრობლემები, რომელთა გამოც აფხაზეთი ვერ უმკლავდება იმ გამოწვევებს, რომლებიც შექმნილია თითქმის ყველა სფეროში. დავიწყოთ ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხით, რომლის მოგვარება, ჩემი აზრით, ბევრ პრობლემას მოხსნიდა. აფხაზებისთვის, როგორც ზოგიერთი აფხაზი პოლიტოლოგი აცხადებს, მიუღებელია ზაქარეიშვილის განცხადება, რომელშიც მან მოუწოდა აფხაზებს და ოსებს, გადაწყვიტონ თავიანთი ბედი დამოუკიდებლად, რუსეთის გარეშე და საქართველოსთან ერთად დაიწყონ სვლა ევროპისაკენ. ზაქარეიშვილის ეს განცხადება გამაღიზიანებელი მხოლოდ კრემლისთვისაა და აფხაზ პოლიტოლოგთა გარკვეული ნაწილის აღშფოთებაც გასაგებია, მაგრამ თუ ღრმად ჩავუკვირდებით მათ მოსაზრებებს, ზოგი რამ მართლაც გასათვალისწინებელია ჩვენ შორის ნდობის აღდგენის კუთხით გარკვეული პროგრესის მისაღწევად. უკვე გამოითქმება ჩვენი მხრიდან წინადადებების წარდგენის შემთხვევაში, აფხაზეთში მისი განხილვის სურვილი, რადგანაც დარწმუნებულები არიან, რომ არის სფეროები, რომლებშიც ურთიერთმომგებიანი თანამშრომლობის დაწყება შესაძლებელია. თუმცა გამოთქვამენ ეჭვს, რომ ამ წინადადებების შემუშავებაზე და რაც მთავარია, კონფლიქტური მხარეებისთვის შეთავაზებაზე, ზაქარეიშვილის უწყებას არავინ მიუშვებს.



***– პაატა ზაქარეიშვილი აუცილებლად მიიჩნევს პირდაპირ დიალოგს აფხაზებთან და ოსებთან მესამე პირის ჩარევის გარეშე, თქვენ როგორ უყურებთ ამ პერსპექტივას?***

– მთავარია მოსაზრება, მით უმეტეს, როცა მასში აფხაზეთიდან დევნილი და იქ დარჩენილი ქართველების ოცწლიანი ნატვრაა ასახული, ლიტონ სიტყვებად არ დარჩეს, რისი გამოცდილებაც საკმაოზე მეტი გვაქვს და მისი განხორციელების გზებიც მოინახოს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კონფლიქტური რეგიონების პრობლემებზე საქმიანობა არ უნდა შემოიფარგლებდეს მხოლოდ ცალკეული ღონისძიებებით, რაც არ უნდა წარმატებულად ჩაითვალოს მათი მიმდინარეობა. აუცილებელია კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში მომუშავე ორგანიზაციების და უწყებების საქმიანობა ხორციელდებოდეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სტრატეგიული პროგრამის საფუძველზე შემუშავებული პერსპექტიული და მოკლევადიანი გეგმების შესაბამისად. სწორედ ასეთი საქმიანობის წარმართვის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს კონფლიქტურ რეგიონებში და მის გარეთ სპეცსამსახურების მიზანმიმართული ოპერატიული საქმიანობა, რომლის შედეგად მიღებული ამომწურავი ოპერატიული ინფორმაციების ანალიზი უნდა იძლეოდეს სრულ სურათს ოპერატიული ვითარების შესახებ. ბუნებრივია ამის შემდეგ უშეცდომოდ შეიძლება ისეთი წინადადებების შემუშავება, რომლებიც მისაღები იქნება ორივე მხარისთვის.

***– ბატონო ლევან, სპეცსამსახურები ახსენეთ და დღეს საზოგადოება მაინც ერთგვარი შიშით უყურებს მათ საქმიანობას. სიტყვამ მოიტანა და იქნებ უფრო გაშალოთ თემა უშიშროების ფუნქციონირების შესახებ.***

– განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ადასტურებს, რომ სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის საერთო სისტემაში მეტ-ნაკლებად ჩართულია ხელისუფლების ყველა ძირითადი ინსტიტუტი, უშიშროების ორგანოები კი ამ საკითხში მთავარ მაორგანიზებელ ფუნქციას ასრულებენ. ასე რომ, ცივილიზებულ სამყაროში უშიშროება არ შეიძლება განიხილებოდეს დასასჯელ იარაღად ხელისუფლების ხელში. მისი ფუნქციები მკაცრად განსაზღვრულია და მოქმედებს მხოლოდ კონსტიტუციით მისთვის განსაზღვრულ ფარგლებში. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ვერ შეძლო ისეთი ეფექტური უშიშროების სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციით განსაზღვრული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური წყობილების დაცვას ნებისმიერი ხელყოფისაგან. თავი რომ დავანებოთ შევარდნაძისდროინდელ მრავალგზის „რეფორმირებულ“ უშიშროებას, რომლის ფუნქციები იმის მიხედვით იცვლებოდა თუ რა „ახალი იდეები“ მოუვიდოდა თავში ყოველ ახალდანიშნულ მინისტრს, „ვარდების რევოლუციის“ შემოქმედთა რეფორმამ, რომლის ძირითადი არსი შსს-ს და უშიშროების გაერთიანება და „ახალი სისხლის გადასხმა“ იყო, გამოცდილი, პროფესიული კადრების გარეშე დატოვა მთელი სისტემა, განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელი რგოლი. ყველაზე დამანგრეველი კი, რაც გაკეთდა, ეს იყო უშიშროების შსს-თან გაერთიანება, რასაც უშიშროების რაიონული ორგანოების, როგორც სტრუქტურული ერთეულების გაუქმება მოჰყვა. მათ ნაცვლად რაიონებში შეიქმნა „კუდ“-ის, „სოდ“-ის და კონტრდაზვერვის დანაყოფები, რომლებიც ცენტრიდან იმართებოდნენ. ჩანაფიქრმა, რომ მათი დაყოფით ოპერატიული მიმართულებების მიხედვით, ცენტრიდან უფრო ეფექტური იქნებოდა მართვა, არ გაამართლა იმ მიზეზის გამო, რომ ვერ მოხერხდა მიღწეული ყოფილიყო მათი კოორდინირებული საქმიანობა. მათ შორის გაჩაღებულმა შეჯიბრმა, ბევრში წახალისების და თავის გამოჩენის, უფროსობის მიმართ მაამებლური სურვილი გააჩინა, რამაც მანკიერი, ყოვლად მიუღებელი ფორმები მიიღო. პიარი გახდა მთავარი იარაღი, რითაც ცდილობდნენ მოსახლეობისთვის ეჩვენებინათ, რომ მართლწესრიგის აღდგენის და კანონიერების დამყარების კუთხით გამოცხადებულ შეურიგებელ ბრძოლაში, დანდობა არავის ექნებოდა. შედეგად სახეზე იყო სპონტანური, ხშირ შემთხვევებში გაუთვლელი და გაუაზრებელი ოპერატიული ღონისძიებები, რომლებიც არა თუ ვერ აღწევდნენ დასახულ მიზნებს, პირიქით, მოსახლეობაში აძლიერებდნენ უარყოფით განწყობას ხელისუფლების და თვით სპეცსამსახურების მიმართ. ბუნებრივია, ასეთმა ვითარებამ ხალხში უარყოფითი აზრის ჩამოყალიბებას და მის გაძლიერებას შეუწყო ხელი. მივიღეთ ის, რაც მივიღეთ, კერძოდ, მოსახლეობას უფრო მეტი შიში და განწყობა ჩამოუყალიბდა სპეცსამსახურების წარმომადგენლების მიმართ, როგორიც პოსტკომუნისტურ დროსაც არ ჰქონიათ. დღეისათვის შექმნილ უაღრესად მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში, კარგად მესმის, რომ უკიდურესად ძნელია ყველაფერი ეს გადააწყო, ერთ პრინციპს დაუქვემდებარო და წარმოქმნილ ურთულეს გამოწვევებს დაუპირისპირო. ძალიან სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით ვერ ხერხდება ძველი, გამოცდილი კადრების შესაძლებლობების გამოყენების მცდელობაც კი. არადა, მთელ საქართველოში მიმოფანტული, ასობით უშიშროების კვალიფიცირებული კადრი, მზად არის უანგაროდ ჩადგეს ქვეყნის სამსახურში.

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „ხელისუფლება უმცირესობების ჭკუაზე არ უნდა დადიოდეს“

გულიკო ბალაძე

სამოქალაქო სექტორი პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული კამპანიის დასრულებისთვის კონკრეტული წინადადებით მიმართავს. არასამთავრობო ორგანიზაციები „უფლებადამცველთა გაერთიანება“, კოალიცია „მოქალაქე“, კოალიცია „ჩვენი უფლებებისთვის“, საქართველოს დონორთა ასოციაცია „ზიარი“, „დამოუკიდებელ იურისტთა კლუბი“, „ახალგაზრდა უფლებადამცველთა გაერთიანება“, „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“, „უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია“, „სრულიად საქართველოს სახალხო დარბაზი“, „21-ე საუკუნე საქართველოს მომავალი“, „ეკოტეკი“, „საერთაშორისო იდეოლოგიური ფორუმი“ და რელიგიის ექსპერტები აცხადებენ, რომ პროტესტს გამოთქვამენ იმ საშინელი კამპანიის წინააღმდეგ, რაც პატრიარქის ეპისტოლეს გავრცელებას მოჰყვა.

– ის შეტევა, რომელიც დღესაც ხორციელდება ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგ, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მხრიდან შეუწყნარებელია, – ნათქვამია ზემოთ აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებაში.

ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციები მიმართავენ საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, დაავალოს შესაბამის სამინისტროს:

– მოამზადოს კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პაკეტი, რომლის თანახმადაც, რელიგიური სიწმინდეების, ღვთისმსახურის ან მორწმუნის მიმართ საჯაროდ სიძულვილის გამოხატვა, ან მოწოდება ამგვარი ქმედებისკენ, რელიგიური შენობებისა და სხვა სიწმინდეების წაბილწვა, მასზე ნებისმიერი წარწერის გაკეთება ან მათი დაზიანება, გამოიწვევს პირის დაჯარიმებას, განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას.



ამით საბოლოოდ წერტილი დაესმება იმ გაუთავებელ შეურაცხმყოფელ და აღვირახსნილ კამპანიას ეკლესიის წინააღმდეგ.

რაც მთავარია, კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებებით დაცული იქნება საქართველოს ეკლესიის, სასულიერო პირებისა და მილიონობით მართლმადიდებლის გრძნობები, ასევე სხვა რელიგიები, მათი მსახურნი და მორწმუნენი.

„უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ფიქრობს, რომ როცა ადამიანებს ეცოდინებათ, სხვისი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის სასჯელი ელოდებათ, თავს შეიკავებენ იმ რეალური შეტაკებებისაგან, რომელსაც ცოტა ხნის წინ ჰქონდა ადგილი საპატრიარქოსთან.

– ამით ჩვენ, რეალურად, თავიდან ავიცილებთ იმ რეალურ შეტაკებებს, რაც მოხდა საპატრიარქოსთან. ეს ხალხი აშკარად გამოხატავს შეურაცხყოფას პატრიარქისა და მართლმადიდებელი მრევლის მიმართ. როდესაც ეცოდინებათ, რომ მათ სასჯელი ელოდება იმ ქმედებაზე, თავს შეიკავებენ. ამით ავიცილებთ იმ რეალურ შეტაკებებს, რაც მოხდა საპატრიარქოსთან იმიტომ, რომ ეს ხალხი აშკარად შეურაცხყოფს პატრიარქს, რადგან ისინი სიძულვილს აშკარად გამოხატავენ. ამით ჩვენ ვიცავთ არა მარტო პატრიარქსა და მართლმადიდებელ მრევლს და ეკლესიას, არამედ სხვა კომფესიებსაც. იგივე მუსლიმანებს, ებრაელებს, ანგლიკანურ ეკლესიის მსახურთ და სხვებს. სხვათა შორის, ჩვენს ამ იდეას ეთანხმება ყველა ის ძირითადი კომფესია, რომელიც არის საქართველოში. მსგავსი ტიპის ინიციატივა მოამზადა შს სამინისტრომ, 4 თვის წინ შეიტანა პარლამენტში, მაგრამ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ ატეხა ერთი ამბავი, რის გამოც კანონპროექტი დაიბლოკა, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება უმცირესობის ჭკუაზე არ უნდა დადიოდეს.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს ხელისუფლება არ უნდა დადიოდეს ორი-სამი ორგანიზაციის თუ მათი მიმდევრების ჭკუაზე. დღეს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი იმ აზრზეა, რომ პატრიარქის, ეკლესიის, თუ სხვა კომფესიების შეურაცხყოფა დასჯადი უნდა იყოს ადმინისტრაციული წესით. კრიტიკა ყველას შეუძლია, მაგრამ შეურაცხყოფა ყველასთვის მიუღებელია. ამიტომ ეს ცვლილება უნდა განხორციელდეს, – განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

***– ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ამ ცვლილების წინააღმდეგ გამოდიან, როგორ შეხვდებიან თქვენს ამ ინიციატივას?***

– ხელისუფლებამ თავი შეიკავა ამ ცვლილების განხორციელებისგან იმის გამო, რომ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ არ მოიწონა. საქართველოში, სამწუხაროდ, დღეს უმცირესობის ზეწოლით ხორციელდება ყველაფერი.

# ოპერისა და ბალეტის თეატრში დაპირისპირება დასრულებულია

ეკა ირემაშვილი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაწყებული დაპირისპირება დასრულებულია. დასმა რეპეტიციები და მუშაობა განაახლა. მას შემდეგ, რაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი ჟორდანია თანამდებობიდან გადადგა, ახლა დასი არჩევნებს ელოდება, რომ სამხატვრო ხელმძღვანელი აირჩიონ.

დაპირისპირება გიორგი ჟორდანიასა და ოპერის თეატრის დასს შორის 11 იანვარს დაიწყო. დასი მას უნიჭობაში ადანაშაულებდა. თავის მხრივ გიორგი ჟორდანია აცხადებდა, რომ მისთვის მთავარი თეატრის მომავალი იყო.

–ჩემთვის ყველაზე მთავარი არის ის, რომ მე არ ვუპასუხო იმ ბრალდებებს და იმ პიროვნულ შეურაცხყოფას, რასაც ორი დღის განმავლობაში მაყენებდნენ, ჩემთვის მთავარია თეატრი და თეატრის მომავალი. ჩემი აზრით, თეატრის მართვისათვის ყველაზე უპრიანი იქნება ყველაზე დემოკრატიული მეთოდით მართვა, რაც მდგომარეობს სამხატვრო საბჭოში. ნებისმიერი სამხატვრო შემოქმედებითი წინადადება, რომელიც შეიძლება გაუჩნდეს სამხატვრო ხელმძღვანელს, მთავარ დირიჟორს, ან ოპერის თანამშრომელს უნდა მოხდეს მისი განხილვა სამხატვრო საბჭოზე და სამხატვრო საბჭომ თავისი დასკვნა უნდა დადოს ამასთან დაკავშირებით. ჩემს მიმართ წაყენებული არც ერთი ბრალდება სინამდვილეს არ შეეფერება. რაც შეეხება არაკომპეტენტურობას, რა მორალურ მხარეზე შეიძლება საუბარი, როდესაც ამ ხალხში ყველაზე ღვაწლმოსილი და სახელოვანი ტენორი, რომელიც დღეს ჩემს არაკომპეტენტურობაზე ლაპარაკობს, სულ რაღაც რამოდენიმე კვირის წინ თავის სოლო კონცერტის სადირიჟოროდ მინსკში მეპატიჟებოდა, – აცხადებდა გიორგი ჟორდანია.

სამხატვრო ხელმძღვანელის წინააღმდეგ განწყობილმა მომღერლებმა კულტურის სამინისტროში შეხვედრა დაგეგმეს. სამინისტროში მივიდნენ გიორგი ჟორდანიას მხარდამჭერი სოლისტებიც მაყვალა ასპანიძე და ელენე ჯანჯალია. ისინი მინისტრთან შეხვედრას ითხოვდნენ.

– გიორგი ჟორდანიამ თეატრში მისვლის დღიდან ბევრი პრემიერა დადგა, მათ შორის „მადამ ბატერფლაი“, „ტოსკა“ და „ბედის ძალა“. მას აქვს ბევრი გეგმა და უმრავლესობამ შრომასა და დატვირთვას ვერ გაუძლო, რის გამოც ჟორდანიას წინააღმდეგ წავიდნენ. სიმართლეს არ შეესაბამება მოსაზრება, რომ გიორგი ჟორდანია არაკომპეტენტურია. გიორგი ჟორდანიამ არაჩვეულებრივად იდირიჟორა „ტოსკა“. რაც შეეხება ხელფასების შემცირების საკითხს, სამხატვრო ხელმძღვანელმა ხელფასები შეამცირა, თუმცა ამის შედეგად მოხდა ხელფასების დაბალანსება. მთავარი დირიჟორის, ჯანლუკა მარჩიანოს საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს და ჩვენი სურვილია, რომ დირიჟორებმა შეთანხმებულად იმუშაონ, – აღნიშნა მაყვალა ასპანიძემ.

გიორგი ჟორდანიას მხარდამჭერი სოლისტები მიმდინარე შეხვედრაზე არ დაუშვეს, რადგან გიორგი ჟორდანიასა და მისი მხარდამჭერების შეხვედრა მინისტრ გურამ ოდიშარიასთან უკვე დასრულებული იყო.

კულტურის მინისტრთან მოლაპარაკების დასრულების შემდეგ, ოპერას თეატრის დასმა საპროტესტო აქცია დაგეგმა, რომელზეც სტუდენტები, კომპოზიტორები და სხვა ხელოვანები მიიწვიეს. საპროტესტო აქციას მომღერალი მარიამ როინიშვილიც შეუერთდა, რომელმაც განაცხადა, რომ არ შეეძლო ასეთ დროს ოპერის მომღერლების გვერდით არ მდგარიყო.

ამჟამად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობას დროებით ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მუსიკოსი რევაზ ჭეიშვილი ასრულებს, რომელიც 2013 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მრჩევლად მუშაობს შიდა და საერთაშორისო საკითხებში.

ოპერისა და ბალეტის თეატრის დასი მთავრობის კანცელარიაში განთავსებულ ოპერის სარეპეტიციო დარბაზში შეიკრიბა, რეპეტიციები განაახლა და სამომავლო გეგმებზეც იმსჯელა.

– ჯერ უცნობია, თუ ვინ დაიკავებს აღნიშნულ პოზიციას. შეიქმნება სამხატვრო საბჭო და კანდიდატს სწორედ ეს საბჭო შეარჩევს. მასში თეატრის მოწინავე თანამშრომლები გაერთიანდებიან და კანდიდატურის შესახებ გადაწყვეტილებას ისინი მიიღებენ. შემდეგ შევარჩევთ კანდიდატურას და მინისტრი მისივე უფლებამოსილებით დაამტკიცებს და არა ისე, როგორც დამტკიცდა ერთი წლის წინ, ძალით, – განუცხადა



ჟურნალისტებს მომღერალმა გოჩა დათუსანმა.

ოპერის მთავარი დირიჟორის, ჯანლუკა მარჩიანოს განცხადებით:

–სამხატვრო ხელმძღვანელად ჩემი კანდიდატურა არ განიხილება და მსგავსი შეთავაზება რომც მივიღო, არ დავთანხმდები, იმიტომ რომ საერთაშორისო კარიერა მაქვს და არ დამრჩება დრო ადმინისტრაციული საკითხების მოსაგვარებლად. თეატრის დასმა ერთად შეძლო უფლებებისთვის ბრძოლა. თეატრმა აჩვენა, რომ ის არის უპირველეს ყოვლისა, ოჯახი, რომელსაც აქვს ხარისხის ინტერესი, რომელსაც შეუძლია, იყოს ერთიანი და იბრძოლოს თავისი უფლებებისთვის. ვამაყობ, რომ ვარ მთავარი დირიჟორი ამ თეატრის და ბედნიერი ვარ, რომ აქ დავრჩები და ისევ ვიბრძოლებ, თუ საჭირო იქნება. ჩვენ ყველა ერთად, გავაკეთებთ არჩევანს, ვნახავთ კანდიდატს, ვნახავთ მის პროგრამას და თეატრისთვის საუკეთესო გადაწყვეტილებას მივიღებთ.

თეატრის სოლისტების განცხადებით, თეატრის ყოფილ სამხატვრო ხელმძღვანელს, გიორგი ჟორდანიას თავიდანვე რომ არ გაემწვავებინა სიტუაცია და რომ მომხდარიყო შეთანხმება, ასევე, არ ყოფილიყო დიქტატორული და ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, სიტუაცია აქამდე არ მივიდოდა. თუმცა, ოპერის სოლისტები გიორგი ჟორდანიას მადლობას უხდიან, რომ მას ვაჟკაცობა ეყო და გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა.

როგორც კულტურის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ჟურნალისტებს განუცხადა:

– ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის აუდიტი შესაძლოა, აღარ განხორციელდეს. საჭიროა შეიქმნას კომისია, რომელიც ოპერის თეატრში გარკვეული დროის განმავლობაში იმუშავებს. თუმცა, შესაძლოა, აუდიტის ჩატარება საჭირო აღარც იყოს. წლევანდელი წელი ოპერის წელია და ძალიან მნიშვნელოვანია ოპერის ხვალინდელი დღე. ოპერის ხვალინდელ დღეს რაც შეეხება, ხვალ დილიდან დავიწყებთ ზრუნვას. შესაძლოა, სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტის დასაკავებლად შიდა არჩევნები ჩატარდეს. გიორგი ჟორდანიას ვთხოვე, რომ მან არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. არსებული კანონმდებლობით, სამხატვრო ხელმძღვანელს მინისტრი ნიშნავს. მას ჰყავს თავისი საკონსულტაციო საბჭო, მაგრამ ამავე დროს დასის აზრი ძალიან მაინტერესებს თემასთან დაკავშირებით, ეს ყველაფერი ჯერ დახვეწილი არ არის, ჩემი სურვილია, სამხატვრო ხელმძღვანელი დასმა აირჩიოს.

თანამდებობიდან წასვლის შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს გიორგი ჟორდანიამ კულტურის მინისტრთან ერთად გააცნო. როგორც მან აღნიშნა:

– ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ასეთი დაძაბული სიტუაცია შეიქმნა. ოპერაზე გული ძალიან შემტკივა, ბავშვობიდან ოპერაში ვარ. ეს არის ჩემი სახლი, სკამი ნამდვილად არაფრად არ ღირს. მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ დავტოვო ეს პოსტი. დღეს მე ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელი აღარ ვარ.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრის დასს გიორგი ჟორდანიას მიერ სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტის დატოვების შემდეგ, ამ თანამდებობაზე სასურველი კანდიდატურა შერჩეული ჰყავს.

– კანდიდატურის ვინაობის დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, თუმცა, საზოგადოებაში თემურ გუგუშვილის სახელმა გაიჟღერა, – აღნიშნა მომღერალმა გოჩა დათუსანმა.

„ახალი თაობა“ თემურ გუგუშვილს შეხვდა და ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი სთხოვა. მომღერალმა ოპერას თეატრში განვითარებულ მოვლენებზე ვრცლად ისაუბრა, გიორგი ჟორდანიასაც გამოეხმაურა, მინსკში მიწვევასთან დაკავშირებით და იმ წარმატებასაც შეეხო, რომელიც საოპერო მომღერალმა მინსკში საერთაშორისო საოპერო ფორუმში მონაწილეობისას მიიღო.

**თემურ გუგუშვილი:**

– 15 დეკემბერს მინსკში ჩატარდა საერთაშორისო საშობაო-საოპერო ფორუმი, რომელიც რამდენიმე წელია ტარდება ყოველი წლის დეკემბრის თვეში. შარშან ვიყავი მიწვეული, ყოველ მეორე წელიწადს ტარდება კონკურსიც ფორუმთან ერთად და მას ასრულებს გალაკონცერტი. წელს კონკურსი არ იყო, მხოლოდ გალაკონცერტი ჩატარდა.

***–საქართველოდან ყოფილან სხვები ამ ფორუმზე?***

– არა, საქართველოდან არავინ ყოფილა. ადრე იყო ჩვენი მომღერალი გოგონა მარიკა მაჩიტიძე „რიგოლეტოში“ იმღერა. ძალიან კარგი შეფასებები მისცეს მის გამოსვლას, რაც ჩემთვის ძალიან სასიხარულოა. ეს იმიტომ მოვყევი, რომ გამოვეხმაურო ბატონი გიორგი ჟორდანიას განცხადებას, რომელშიც მან აღნიშნა, რომ ბატონმა თემურ გუგუშვილმა მთხოვა წავყოლოდი მინსკში და მიმეღო მონაწილეობა კონცერტშიო. ჟორდანიას კი არა, არავის არაფერს ვთხოვ. უბრალოდ ჟორდანია იქ იყო ჩასული თავისი ინიციატივით. როცა ბელორუსიის კულტურის მინისტრის მოადგილემ, ამ თეატრის დირექტორმა კონცერტის შემდეგ ბანკეტზე გამოაცხადა, რომ თემურ გუგუშვილს ვთხოვთ ჩამოვიდეს სოლოკონცერტითო, მაშინვე ვიკითხე, შეიძლება, ვინმე წამოვიყვანო-მეთქი და კიო, მიპასუხეს. აქ იყო საუბარი მომღერალზე, ჩემს სტუდენტებზე, იქ არ დამიკონკრეტებია არავინ. ჩემს გვერდით იდგა ჟორდანია, წამოხვალ-მეთქი, შევეკითხე და კიო, მითხრა. ბევრი ადამიანი მყავს ასე წაყვანილი არა მარტო მინსკში, არამედ სხვადასხვა ქვეყნებში. ეს გიორგი ჟორდანიას იმიტომ ვუთხარი, რომ მინდოდა გაცვლითი ღონისძიებები დაწყებულიყო ჩვენსა და მინსკის ოპერას შორის. ეს ჩანაფიქრი ჯერ კიდევ მაშინ მქონდა, როცა დავით საყვარელიძე იყო თბილისის ოპერის თეატრში, ის თანახმა იყო, მაგრამ რომ ჩამოვედი, დავით საყვარელიძე უკვე აღარ იყო თეატრში და ამიტომ ვიფიქრე, ეს ჩანაფიქრი ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის დროს მაინც განხორციელებულიყო, როცა ჩვენი თეატრი გაიხსნებოდა.

***– როდის იქნება ეს კონცერტი?***

– აპრილის თვეში, მანამდე მოსკოვში მელოდებიან „ტოსკა“ უნდა ვიმღერო. მიწვევები ნამდვილად არ მაკლია და აქტიურად ვმოგზაურობ.

***– ითქვა ისიც, რომ დასმა ვერ გაუძლო იმ დატვირთულ სამუშაო რეჟიმს, რასაც გიორგი ჟორდანია ახორციელებდა. ეს სიმართლეა?***

– კახიძე იყო იმხელა დირიჟორი, დიმიტრიადი იყო, რა ვიცი, მათთან ვმუშაობდი და ვუძლებდი დატვირთვას და ახლა რა დამემართებოდა? ყოველთვის გვქონდა კამათი, რა როგორ უნდა გაკეთებულიყო. ჩემი კამათი ჯანოსთან ის იყო, ამხელა დირიჟორი რომ ხარ, მინდა შენგან ვისწავლო-მეთქი. ჩვენი პროფესია ისეთია, ყველასგან უნდა ისწავლო, სულ უნდა იმუშაო, მაგრამ არიან ადამიანები, ვისგანაც ვერაფერს ისწავლი. ეს საწყენი არ არის.

არ ვიცი, ეს რანაირად იყო ნათქვამი, ალბათ ავტორმა ვერ მოზომა, ან ვერ გაიაზრა რა თქვა. რას ნიშნავს ვერ გავუძელით დატვირთულ რეჟიმს? თვეში მაქვს 22 სპექტაკლი ნამღერი თან გასტროლზე. აქ თვეში 8-9 სპექტაკლს ვმღეროდი. გუშინ რომ მოვიდა თეატრში, ის ცოტა უნდა დაუფიქრდეს რას ლაპარაკობს. მაგან გაუძლო და ჩვენ ვერა? თავს არ ვიმართლებ, ვამბობ იმას, რაც იყო და რაც არის. ზოგიერთი ახალგაზრდა იმას ვერ საზღვრავს, თეატრში რა ადგილი უკავია, არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ 3-4 წელი რომ ხარ თეატრში, არ უნდა იკადრო, შენი ასაკის გამოცდილების მქონე მომღერლებზე ასეთი რამ თქვა.

მინისტრსაც ვუთხარი და თქვენც გეტყვით, ჩვენი ორი უდიდესი მომღერალი გვყავდა, ვანო სარაჯიშვილი და ზურაბ ანჯაფარიძე. ზურაბ ანჯაფარიძე ერთი პერიოდი იყო ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი. რომ დაიბარეს გარკვეული დროის შემდეგ და უთხრეს, უნდა წახვიდე ამ პოსტიდანო, ჩხუბი და მომღერლების გადაბირება კი არ დაუწყია. მას ხალხი არ ამხედრებია, ჩათვალეს, რომ ამ კაცს შეცდომები ჰქონდა და გაუშვეს. უშეცდომო არავინ არის, მაგრამ შეცდომასაც ხომ გააჩნია? ისიც ხომ საკითხავია, რა ავტორიტეტის კაცია ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი? ვინ დანიშნა, რა კრიტერიუმებით დაინიშნა. ზურიკო ანჯაფარიძე იყო შეუდარებელი საქართველოში, თორემ კარგზე კარგს რა გამოლევს? ღმერთმა არ ქნას, რომ ოპერის თეატრში თემურ გუგუშვილი სხვა მომღერლით არ შეიცვალოს. პირიქით, ოღონდაც ვინმე გამოჩნდეს, თუკი რამე დახმარება შემეძლება, ყველანაირად გვერდით დავუდგები. არ მსიამოვნებს ჩემს თავზე ლაპარაკი, მაგრამ ყველამ ყველაფერი იცის თეატრში. ჩვენი ერის სახელია, როცა თეატრი კარგად გამოჩნდება, მაგრამ თუ ვერ გაამართლებს მოლოდინებს, ეს ჩვენი თეატრის სირცხვილია. იყო ჩვენი თეატრი წასული ფესტივალზე, სადაც შედარებით კარგად წავიდა „ატილა“. ის, რომ სპექტაკლებს ხალხი ესწრებოდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენებები წარმატებული იყო. სადაც კი ჩავსულვარ და ჩვენს საოპერო ხელოვნებაზე საქებარი სიტყვები უთქვამთ, იცით ეს რამხელა სიხარულია? ეს ჩვენი პატარა ქვეყნისთვის ცოტა ნამდვილად არ არის.

ყველაფერი უნდა დადგეს პროფესიონალურ დონეზე, ეს რომ ვუთხარი ერთ-ერთ ჩვენს დირექტორს, გადამეკიდა. მეუბნებოდა, ყველა მომღერალი ხომ ვერ იქნება, გუნდში იმღერონო. მაშინ საგუნდოზე შეიტანდნენ საბუთებს, გუნდის ხელმძღვანელმა თვითონ აღზარდოს ხმები, გამზადებული კადრები ვოკალურმა ფაკულტეტმა რატომ უნდა მისცეს? ჩვენ ვასწავლით ვოკალს და მერე ის სად წავა, უკვე მისი საქმეა.

***– მართლა ასეთი რთული იყო სამი პრემიერის სიმღერა?***

– რომელ სამ პრემიერაზე საუბრობთ? სიმღერაც არის და სიმღერაც. ზოგადად ვიტყვი, ადამიანი, რომელიც ერთხელ წავა სადმე და მეორედ არ დაუძახებენ, ეს რას ნიშნავს? კაცი რომელიც წავიყვანე ერთხელ ერთ ქვეყანაში, მეორედ მეორე ქვეყანაში, მესამედ მესამე ქვეყანაში და არსად აღარ დაუძახეს უჩემოდ, ეს ხომ არის დასაფიქრებელი? თემურის ბრალია რომ აღარ დამიძახეს თუ ჩემი ბრალიაო?

***– ისიც ითქვა, რომ გიორგი ჟორდანიას ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი მომღერლები დაუპირისპირდნენ.***

– ვინ არის ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერი? მე? ნაციონალებისგან ბეჭი მაქვს ჩამტვრეული.

***– როდის დაიძაბა ურთიერთობა გიორგი ჟორდანიასა და თეატრის დასს შორის?***

– ვერ გეტყვით, არ ვიცი. უცებ ავარდა და დაძაბა სიტუაცია. დამირეკეს დასის წევრებმა, მოსვლა გვინდაო, შემეშინდა, ვიფიქრე, რამე ცუდი ხომ არ მოხდა-მეთქი. რომ მოვიდნენ, მითხრეს, ვიკრიბებით მინისტრთანო. მივედით, მოგვისმინა, მაგრამ როცა მოდის 80%, უკვე ყურადღებით მოსმენა აღარ არის საჭირო, იქ ყველაფერი ნათელია. ერთი მომღერალი 10 ჩინოვნიკის ტოლია, თან

გაგრძელება მე-10 გვერდზე

უფყნ[ფლგ,გ,ბ

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

# რუსთავი სუპერლიგის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩს უმასპინძლებს

სუპერლიგის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩ-აქცია 25 იანვარს რუსთავში გაიმართება. საჩვენებელ მატჩში ერთმანეთს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშეებისგან შემდგარი გუნდები დაუპირისპირდებიან. გუნდებს მიმდინარე სუპერლიგის ლიდერთა მწვრთნელები – ირაკლი ხოშტარია (დინამო) და კოტე ტუღუში (არმია) უთავკაცებენ.

აქციის ფარგლებში ჩატარდება კონკურსები სამქულიან სროლებსა და ზემოდან ეფექტურ გდებაში (ჩატენვაში). ყველა ვარსკვლავის მატჩში მონაწილე გუნდების სასტარტო ხუთეულებს გულშემატკივრები შეარჩევენ. სუპერლიგის ვებ-გვერდზე გუშინდელი დღიდან დაიწყო გამოკითხვა. გულშემატკივრებს ხმის მიცემა დღეში ერთხელ შეეძლებათ. პროცედურა ტრადიციული იქნება – ყოველი ხმის მიმცემი საიტის შესაბამის განყოფილებაში წარმოდგენილი მოთამაშეებიდან შეარჩევს მისთვის სასურველ ხუთეულებს (2 უკანახაზელს, 2 ფორვარდს და 1 ცენტრს). გამოკითხვა 23 იანვარს 24 საათზე დასრულდება და ყველაზე მეტი ხმის მიმღები 10 კალათბურთელი (5-5 თითოეული გუნდიდან) ყველა ვარსკვლავის მატჩში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებს.

გამოკითხვის შემდეგ გუნდების მწვრთნელები – კოტე ტუღუში და ირაკლი ხოშტარია დარჩენილი მოთამაშეებისგან 7-7 კალათბურთელს შეარჩევენ, რომლებითაც შეავსებენ შემადგენლობას.

3-ქულიანების კონკურსში მონაწილეობას 7 კალათბურთელი მიიღებს: შარშანდელი გამარჯვებული გიორგი ბარბაქაძე (ქუთაისი) და მიმდინარე სუპერლიგის 6 საუკეთესო სნაიპერი. რაც შეეხება ჩატენვების კონკურსს, მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია.

სპეციალური პრიზით დაჯილდოვდება ყველა ვარსკვლავის მატჩის საუკეთესო მოთამაშე, რომელსაც კომპეტენტური ჟიური დაასახელებს. მატჩი აქციის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე, ჩატენვების და 3-ქულიანების კონკურსების გამარჯვებულები ფულადი პრიზებით დაჯილდოვდებიან სუპერლიგის გენერალური სპონსორ „ევროპა ბეთისგან“.

მოგეხსენებათ, რომ ყველა ვარსკვლავის მატჩ-აქცია გაზაფხულობით იმართებოდა, თუმცა ამჯერად მწვრთნელთა თხოვნით ზამთარში შედგება, მეორე წრის დაწყებამდე.

გასულ აქციაზე, რომელიც ქუთაისის დარბაზში გაიმართა, ლეგიონერების და ქართველთა დაპირისპირებით შედგა, ვინაიდან წლევანდელ სუპერლიგას არ ჰყავს ბევრი ლეგიონერი, მოხდება შერეული გუნდების გაკეთება.

თამუნა რუაძე (სუპერლიგის პრესსამსახური):

– ყველა ვარსკვლავის მატჩი აქცია 25 იანვარს 16:00 საათზე რუსთავში გაიმართება. ხმის მიცემა უკვე დაიწყო და გულშემატკივარს აქტიურობისკენ მოვუწოდებთ. წლევანდელი „ოლ სტარი“ წინა წლებისგან განსხვავებით იანვრის თვეში, მეორე წრის დაწყებამდე ტარდება. ეს თარიღი გუნდებთან შეთანხმებით წინასასეზონო შეხვედრებზე დადგინდა. მათთვის აღნიშნული პერიოდი უფრო მისაღები და მოსახერხებელი აღმოჩნდა. ამ სეზონში ლეგიონერთა შედარებით მცირე რაოდენობის გამო, ორივე გუნდი როგორც ქართველი, ისე უცხოელი კალათბურთელებით დაკომპლექტდება.

ყველა ვარსკვლავის მატჩ-აქციაში პირველად მიიღებს მონაწილეობას, „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ირაკლი ხოშტარია. სპეციალისტმა აღნიშნა, რომ მთავარია დარბაზში მოსულმა გულშემატკივარმა იმ შოუთი ისიამოვნოს რასაც ისინი შესთავაზებენ.

ირაკლი ხოშტარია:

– გილოცავთ განვლილ დღესასწაულებს. რაც შეეხება ყველა ვარსკვლავის მატჩს, მივესალმები ფედერაციის გადაწყვეტილებას, რომ ტრადიცია არც წელს დაირღვა და აღნიშნული შეხვედრა იმართება. მართალია, „ოლ სტარი“ შოუა და ძირითადი ყურადღება სანახაობას ექცევა, ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო თამაში იქნება. სასიამოვნოა, რომ გუნდებს გულშემატკივარი დააკომპლექტებს და ჩემთვისაც ძალიან საინტერესოა, თუ ვის აირჩევენ ისინი. მე, როგორც ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელი, შევეცდები ჩემი წვლილი შევიტანო, რომ სანახაობრივი თამაში გამოვიდეს და მაყურებელმა ისიამოვნოს.

ლიტვაში, შეკრებაზე მყოფი „არმიის“ მთავარი მწვრთნელი კოტე ტუღუში, დღეს სპორტის სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში სკაიპით ჩაერთო და ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.

კოტე ტუღუში:

– პირველ რიგში, მინდა ყველას მოგილოცოთ შობა-ახალი წლები და ყველაფერი საუკეთესო გისურვოთ. ძალიან სასიამოვნოა, რომ წლევანდელი ყველა ვარსკვლავის მატჩი რუსთავში ტარდება, „რუსთავის“ გუნდში არაერთი წელი მაქვს გატარებული და აქაური გულშემატკივარიც ძალიან მიყვარს. შარშან გარკვეული მიზეზების გამო ვერ მივიღე „ოლ სტარის“ მატჩში მონაწილობა და ამაზე დღემდე გული მწყდება, ამიტომ წელს განსაკუთრებით მიხარია, რომ ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელობა მიწევს. დარწმუნებული ვარ, საინტერესო და სანახაობრივი შეხვედრა გამოვა.

# 17-წლამდე ნაკრები ბელარუსიისთვის შეიკრიბა

საქართველოს 17-წლამდე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა – ნოდარ აკობიამ იმ 18 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, ვინც 19 იანვრიდან მინსკის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს.

მეკარეები: ოთო გოშაძე (საბურთალო), გოგი კულუა (დინამო თბ);

მცველები: ვახტანგ კაპანაძე, ვასილ კაციტაძე (ორივე დინამო თბ), ნიკოლოზ კევლიშვილი, ირაკლი კამლაძე (ორივე ლოკომოტივი), ცოტნე ნადარაია (საბურთალო), გიორგი ქობულაძე (35-ე სკოლა);

ნახევარმცველები: ირაკლი კომახიძე, შერმადინ ართმელაძე (ორივე შუქურა), ვლადიმერ მამუჩაშვილი, გურამ გოშთელიანი, სანდრო ალთუნაშვილი (ყველა საბურთალო), ნიკა ლაშხია (ზესტაფონი), გიორგი კიკნაძე (ლოკომოტივი);

თავდამსხმელები: ბექა მიქელთაძე (ზესტაფონი), გიორგი ჯობავა (ოსერი, საფრანგეთი), ერეკლე ლებანიძე (ვიტ ჯორჯია).

მინსკის საერთაშორისო ტურნირი ტრადიციულად, ყოველი წლის დასაწყისში, იანვარში ტარდება და საქართველოს ასაკობრივი ნაკრებები მისი მუდმივი მონაწილეები არიან.

წელს, ტურნირის მე-10, საიუბილეო გათამაშებაა და მონაწილეთა რაოდენობაც გაზრდილია. ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, 12 გუნდი 4 ჯგუფში გადანაწილდა:

ა ჯგუფი: უკრაინა, ყირგიზეთი, ლიტვა;

ბ ჯგუფი: საქართველო, ირანი, ყაზახეთი;

ც ჯგუფი: რუსეთი, ლატვია, თურქმენეთი;

დ ჯგუფი: ფინეთი, ბელორუსი, მოლდოვა;

საქართველოს ნაკრების პირველი მეტოქეები – ირანისა და ყაზახეთის ნაკრებები ერთი წლით უმცროსი ფეხბურთელებით (1998 წელს დაბადებულები) იქნება დაკომპლექტებული.

ტურნირი 19 იანვარს დაიწყება და ამ დღესვე გაიმართება გახსნის საზეიმო ცერემონიალი. ნოდარ აკობიას გუნდი პირველ მატჩს 20 იანვარს, ყაზახეთის წინააღმდეგ გამართავს.

21 იანვარს კი, ირანელებს ვეთამაშებით. 22 იანვრიდან, ჯგუფების გამარჯვებულები და დამარცხებულები ერთმანეთში ითამაშებენ. ფინალური მატჩები 26 იანვარს გაიმართება.

ბელორუსის ფეხბურთის ფედერაციისგან, საიუბილეო ტურნირზე დასწრების ოფიციალური მოწვევა მიიღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და გენერალურმა მდივანმა. ზვიად სიჭინავა და რევაზ არველაძე მინსკში გაემგზავრებიან და ტურნირის გახსნასა და საქართველოს 17-წლამდე ნაკრების პირველ თამაშს დაესწრებიან.

# მორიგი დოპინგ-სკანდალი ქართულ სპორტში

საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრი, ევროპის მოქმედი ჩემპიონი გიორგი ედიშერაშვილი (55 კგ) და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ლევან არაბული (120 კგ) დოპინგზე ჩავარდნენ.

ქართველი სპორტსმენების სისხლში აკრძალული პრეპარატი ორიოდ თვის წინ, მოსკოვში ჩატარებულ ევროპის თასზე აღმოაჩინეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა – ლევან ყიფიანმა, მოადგილე თამაზ თევზაძესთან, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძესთან, ოლიმპიური გუნდის მთავარ ექიმ – ზურაბ კახაბრიშვილთან და ანტიდოპინგური სააგენტოს თავმჯდომარე პალიკო კასრაძესთან ერთად, ერთობლივი პრესკონფერენცია გამართა.

სპორტსმენებმა ინტერნეტით გამოწერილი პრეპარატები თვითნებურად მიიღეს. თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი ედიშერაშვილს, რომელიც ევროპის მოქმედი ჩემპიონია და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრების წევრს, ევროპის 2012 წლის ვიცე-ჩემპიონ ლევან არაბულს სინჯები შარშან მოსკოვში 8-10 ნოემბერს გამართულ „ევროპის ერთა თასზე“ აუღეს. დოპინგ-ტესტმა დადებითი პასუხი აჩვენა და ორივე მოჭიდავე ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა.

პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ როგორც სამინისტრო, ასევე ყველა სპორტული ორგანიზაცია მკაცრ რეაგირებას მოახდენს აღნიშნულ ფაქტზე, გატარდება კონკრეტული სანქციები, ასევე შეიქმნება სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია, რომელიც სამომავლოდ პრობლემების გადაჭრის გზებზე იმსჯელებს.

მთავარი: სამინისტრო აღარ დააფინანსებს იმ ფედერაციებს, რომლებსაც არ ექნებათ გაფორმებული ხელშეკრულებები ეროვნულ ანტიდოპინგურ სააგენტოსთან.

**ლევან ყიფიანი:**

– დოპინგის პრობლემის მხრივ საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა. ბოლო პერიოდში რამდენიმე დარღვევა დაფიქსირდა და ვითარების გამოსასწორებლად პრობლემას სასტიკ ბრძოლას ვუცხადებთ. მთელ რიგ საკითხებში ეს ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება და ამიტომ გადავწყვიტეთ, საქმეში ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებიც ჩავრთოთ. საჭიროა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც აკრძალულ პრეპარატებზე ხელმისაწვდომობას დაარეგულირებს. უცხოეთიდან ეს წამლები უმეტეს შემთხვევაში კონტრაბანდის სახით შემოდის და არა მარტო ქართული სპორტის შედეგიანობას, არამედ იმიჯს და რაც ყველაზე სავალალოა, სპორტსმენის ჯანმრთელობას ვნებს. ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც საძირკველშივე უნდა აღიკვეთოს, რათა უმძიმეს შედეგებს გადავურჩეთ.

ლუკა კურტანიძე:

– ამ გაუაზრებელი ნაბიჯით სპორტსმენები პირველ ყოვლისა თავიანთ ჯანმრთელობას აყენებენ სერიოზული საფრთხის წინაშე. ამასთან, შემოსავლის გარეშეც რჩებიან. არადა, პატიოსნად შრომის შემთხვევაში ყველა პირობა აქვთ, რათა ნორმალურად იცხოვრონ. მოსამზადებელი ციკლის მრავალფეროვნებით, შედეგების დასაფასებელი წახალისებებით და ხელფას-პრემიებით საქართველო ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა.

კასრაძემ ერთი მეტად საინტერე-



სო ინფორმაციაც მოგვაწოდა. ედიშერაშვილს და არაბულს აკრძალული პრეპარატი თბილისის იმ ფიტნეს დარბაზში გადასცეს, სადაც იქამდე დოპინგ-სკანდალში 7 ქართველი სპორტსმენი გახვიეს. კახაბრიშვილმა კი დააკონკრეტა, რომ საუბარია ქაიროს ქუჩაზე მდებარე ფიტნეს-დარბაზზე.

კახაბრიშვილმავე წარმოადგინა ძიუდოისტთა და მოჭიდავეთა ეროვნული და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების წევრთა ხელმოწერები, რომლებიც ადასტურებენ მათი მხრიდან დოპინგის მოხმარებისგან თავშეკავებას. აღნიშნულ სიას და ხელმოწერებს სამომავლოდ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებიც შეუერთდებიან, როგორც ოლიმპიური, ასევე არაოლიმპიური სპორტიდან.

**ზურაბ კახაბრიშვილი:**

– სპორტსმენებს კანონიერების ფარგლებში აბსოლუტურად ყველა დანამატს ვაძლევთ, რაც მათ განვითარებას და გაძლიერებას სჭირდება, მაგრამ სამწუხაროდ, შიგადაშიგ მათ დაუმორჩილებლობას მაინც ვაწყდებით. გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც სისულელეს დააჯერებენ და სავალალო შედეგსაც უმალ ვიღებთ. პრეპარატი, რომელიც ეგონათ, რომ ორგანიზმიდან 25-30 დღეში გაქრებოდა, დოპინგ-სინჯმა 72-ე დღეს აღმოაჩინა. მინდა ურჩი სპორტსმენები კიდევ ერთხელ გავაფრთხილო, ცეცხლს ნუ ეთამაშებიან. ედიშერაშვილს და არაბულს დროულად რომ გაემხილათ, რა ბიოდანამატი მიიღეს, რუსულ ტურნირზე საერთოდ არ გავუშვებდი და მაქსიმუმ, მხოლოდ შიდა სანქციებს დასჯერდებოდნენ. არ დავმალავ, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სპორტსმენები ამ გზით გადავარჩინეთ. ბევრი კლუბი თუ ვაისპეციალისტი უპატიებელ შეცდომას უშვებს. ქართული სპორტის მთავარი ტრაგედიაც სწორედ ესაა. მოზარდებს ორგანიზმს უნადგურებენ და პირველ ყოვლისა ამ პრობლემას უნდა მიეხედოს.

კურტანიძეს მაინც იმედი აქვს, რომ დოპინგის მოხმარებაში მხილებული ქართველი სპორტსმენები ორწლიან დისკვალიფიკაციას გადაურჩებიან და სასჯელი შედარებით მსუბუქი იქნება, მაგრამ ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელისა და ოლიმპიური გუნდის მთავარი ექიმის განცხადებების გათვალისწინებით, ოპტიმიზმის წინაპირობა არ არსებობს.

საბოლოოდ, მხარეთა შეთანხმებით გადაწყდა:

1) სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან ორივე სპორტსმენს შეუწყდება დაფინანსება და მოეხსნებათ ხელფასები.

2) სამინისტრო არ დააფინანსებს იმ სპორტულ ფედერაციებს, რომლებსაც არ ექნებათ გაფორმებული ხელშეკრულებები ეროვნულ ანტიდოპინგურ სააგენტოსთან.

3) სამინისტროს ინიციატივით, ჯანდაცვისა და შსს სამინისტროსთან ერთად შეიქმნება კომისია, რომელიც შეისწავლის მსგავს ფაქტებს და დასახავს პრობლემების გადაჭრის გზებს.

4) საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია გამოიძიებს ამ კონკრეტულ შემთხვევას, გასცემს მკაცრ გაფრთხილებებს და მიიღებს ყველანაირ ზომას სამომავლოდ მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად. ასევე უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს ეროვნულ ანტიდოპინგურ სააგენტოსთან.

5) ეროვნული ანტიდოპინგური სააგენტო მოითხოვს სპორტული ფედერაციებისგან გამოყონ კონკრეტული პირი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ანტიდოპინგურ საქმიანობაზე. სააგენტო ასევე გააგრძელებს კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზებას.

# მესი ჩაცმულობის გამო გააკრიტიკეს

2013 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების დაჯილდოება 2014 წლის 13 იანვარს გაიმართა, რომელიც „ოქროს გლობუსის“ დაჯილდოების მე-2 დღეს დაიგეგმა. საინტერესოა, იქონია თუ არა მოთამაშეებზე გავლენა კინო ვარსკვლავების ჩაცმულობაზე. ისევე, როგორც გასულ წელს, ამჯერადაც მთავარ თემად ლიონელ მესის ჩაცმულობა იქცა.

ლიონელ მესი შესაძლოა საკმაოდ მარჯვე ფეხბურთელია, მაგრამ ასეთსავე სიმარჯვეს ვერ ავლენს მოდის სამყაროში და ცნობილია თავისი ულაზათო ჩაცმულობით. მინიატურულმა ფეხბურთელმა მედიისგან უარყოფითი შეფასებები დაიმსახურა თავისი ბრჭყვიალა ბურგუნდიული კოსტიუმის გამო.

ლიონელს მხარს უმშვენებდა მისი მეგობარი გოგონა ანტონელა.

რაც შეეხება უშუალოდ გამარჯვებულს, აშკარაა, რომ კრიშტიანუ რონალდუმ კატალუნიელ კოლეგას მიღწევებით აჯობა და მუქი ნაცრისფერი ლითინური კოსტიუმით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მოდისადმი მის დამოკიდებულებას.

რონალდუ საღამოზე ულამაზეს მეგობარ გოგონასთან ირინა შეიკთან და შვილთან კრიშტიანუ რონალდუ უმცროსთან ერთად.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომელიც მოდას არ უგულებელყოფს და ცდილობს მის ბოლო ტენდენციებს აჰყვეს, ზლატან იბრაჰომოვიჩია. გრძელი და დაუმორჩილებელი თმა უკან გადაივარცხნა და სველი ეფექტი შეუხამა.

მადრიდელთა მცველი სერხიო რამოსიც გამოირჩეოდა წითელ ხალიჩაზე მეგობარ გოგონასთან, ესპანელ ტელეწამყვანთან პილარ რუბიო ფერნანდესთან ერთად.

ნეიმარი წელს პირველად დაესწრო „ოქროს ბურთის“ გადაცემის ცერემონიალს და პირველად მოსინჯა შავი კოსტიუმისა და შავი პერანგის ფორმულა. საინტერესოა, ვისი გავლენის ქვეშ მოექცა ბრაზილიელი ფეხბურთელი.

შეიძლება მეტისმეტად წვრილმან დეტალებს განვიხილავთ, რადგან ყველა კოსტიუმი დიზაინერების შექმნილია. გაგიკვირდებათ, მაგრამ ფრანკ რიბერი იშვიათი მოთამაშეა, ვინც არ დაარღვია „დრესკოდი“ – შეიკრა შავი ბანტი და შესაფერისად ჩაცმული გამოჩნდა.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| დ.კონგო-მავრიტანია | 1:0 |
| გაბონი-ბურუნდი | 0:0 |
| ესპანეთი. სამეფო | თასი |
| ალმერია-რასინგი | 0:2 |
| ატლეტიკო-ვალენსია | 2:0 |

**იტალია. თასი**

| | |
|---|---|
| ლაციო-პარმა | 2:1 |

**საფრანგეთი. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ბორდო-პსჟ | 1:3 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ინდიანა-საკრამენტო | 116:92 |
| შარლოტი-ნიუ იორკი | 108:98 |
| მემფისი-ოკლაჰომა | 90:87 |
| ლეიკერსი-კლივლენდი | 118:120 |

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| გულბისი-კუერი | 2:6;3:6;4:6 |
| ანდერსონი-ტიემი | 6:4;6:3;6:4 |
| ფონინი-ნიემინენი | 7:5;6:4;3:6;2:6 |
| ვავრინკა-ფალა | 6:3;6:3;6:7;6:4 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ფლიპკენსი-დელაკუა | 3:6;0:6 |
| რისკე-ვიკმაიერი | 6:1;6:1 |
| კიზი-ჩჟენი | 6:7;6:1;5:7 |
| ბუშარი-ეჟენი | 6:2;7:6 |
| სტოსური-პირონკოვა | 6:2;6:0 |
| დეივისი-გერგესი | 7:5;2:6;6:4 |
| ივანოვიჩი-ბეკი | 6:1;6:2 |

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| ბოსტონი-ტორონტო | 3:4 |
| ვაშინგტონი-სან ხოსე | 1:1(0:1ბ) |
| რეინჯერსი-ტამპა ბეი | 1:2 |
| ბუფალო-ფილადელფია | 3:4 |
| მონრეალი-ნიუ ჯერსი | 1:4 |
| ფლორიდა-იალენდერსი | 4:2 |
| მინესოტა-ოტავა | 0:3 |
| ნეშვილი-კალგარი | 4:2 |
| სენტ ლუისი-ფინიქსი | 2:1 |
| ჩიკაგო-კოლორადო | 2:2(0:1ბ) |
| დალასი-ედმონტონი | 5:2 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# თოჯინების თეატრიდან 3 მსახიობი გაუშვეს

ეკა ირემაშვილი

გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული თეატრიდან საპენსიო ასაკის გამო 3 თანამშრომელი გაათავისუფლეს. დალი მილორავა, მარგარიტა გურული და დარია ბრანსბურგი თოჯინების თეატრის თანამშრომლები აღარ არიან. მათ ახალი წლიდან თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ელენე მაცხონაშვილმა კონტრაქტი აღარ გაუგრძელა.

— უადგილო და უხერხულიცაა, რომ ამ თემაზე გვიწევს საუბარი აქ — ბავშვების სამყაროში... მაგრამ გუშინდელი ფაქტი, რატომღაც, განსჯის საგანი გახდა და აუცილებლად მიგვაჩნია მცირე კომენტარის გაკეთება. თბილისის თოჯინების თეატრიდან გათავისუფლდა საპენსიო ასაკის სამი მსახიობი. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი თეატრი ყველაზე დაბალბიუჯეტიანია დედაქალაქის მასშტაბით არსებულ თეატრებს შორის და, ამასთანავე, იმყოფება მეტად არასახარბიელო მდგომარეობაში — არ აქვს საკუთარი შენობა და იმისათვის, რომ მუშაობა არ შეწყვიტოს, სპექტაკლებს საკუთარი ხარჯებით დაქირავებულ დარბაზში მართავს, მას ნამდვილად არ შეუძლია, დამსახურების გამო, უხეშად რომ ვთქვათ, შეინახოს მსახიობები. აღსანიშნავია, რომ ეს მსახიობები სარეპერტუარო სპექტაკლებიდან მხოლოდ ერთში არიან დაკავებულნი და, აქაც, ჰყავთ შემცვლელები... ნამდვილად რთულია, როდესაც თეატრში ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ ამ სამყაროსთან ჩამოშორება გიწევს... ასევე, რთული იყო ჩვენთვის ამ გადაწყვეტილების მიღება და, მითუმეტეს, ამის თქმა მსახიობებისთვის. მაგრამ თოჯინების თეატრი მოითხოვს მუდმივ ძიებას, განვითარებას, ახლის შექმნას, ახლებურ ხედვას, ენერგიას, საკუთარ თავზე მუდმივ მუშაობას... ახალი სეზონიდან თეატრში მოვიდნენ ახალგაზრდა მსახიობები, მოიტანეს ახალი ენერგია, დამოკიდებულება თოჯინური სპეციფიკისადმი... არ გვინდა, ვინმეს ვატკინოთ გული, მაგრამ ეს ბუნებრივი პროცესია. ეს არ მომხდარა მხოლოდ თოჯინების თეატრში — დგება ეტაპი, როდესაც სტაჟიანი, დიდი დამსახურების მქონე მსახიობები ადგილს ახალგაზრდებს უთმობენ... ბოდიშს ვუხდით პატარებს, თუკი რომელიმე მათგანი ამ წერილს წაიკითხავს, რადგან ეს ნამდვილად არ არის მათი პრობლემა და თავს არ უნდა ვახვევდეთ... ჩვენს პატარა მაყურებელს ახალი სეზონიდან უამრავ სიახლეს, ახალ სპექტაკლებს, ფერად ზღაპრებს, საინტერესო თავგადასავლებს ვპირდებით და ველით კვირას, 19 იანვარს სპექტაკლზე „მხიარული ზღაპრები“, — აცხადებენ თბილისის სახელმწიფო თოჯინების თეატრში.



როგორც „ახალ თაობას“ თოჯინების თეატრის დირექტორმა თემურ ბადრიაშვილმა განუცხადა, ეს ჩვეულებრივი ეტაპია, რომელსაც ყველა თეატრი გადის.

***თემურ ბადრიაშვილი, თოჯინების თეატრის დირექტორი:***

— მათ არ გაუგრძელდათ კონტრაქტი, რომელიც დაუმთავრდათ იანვარში. ეს ყველაფერი კანონიერად მოხდა. იურიდიული საკითხი არ არის უფრო მნიშვნელოვანი, მორალურად რთულია ეს ყველაფერი და განიცდიან, მაგრამ იცით, რომ ახალი სამხატვრო ხელძღვანელი მოვიდა და თავისი ახალი გეგმებით, თეატრის განვითარების თავისი პროგრამით და თვლის, რომ საჭიროა თეატრის განახლება, ახალი ხალხი უნდა მოვიდეს, ახალი სტილი, ახალი სისხლია საჭირო და ეს ყოველთვის მტკივნეულია თეატრის თანამშრომლებისთვის. თოჯინების თეატრი ძალიან სპეციფიკური თეატრია, გარდა იმისა, რომ უფრო მეტ ფიზიკურ დატვირთვას ითხოვს, ვიდრე უფრო სხვა მსახიობისგან, სხვა სტილის თეატრი ყალიბდება, უფრო თანამედროვე, უფრო სხვა გამომსახველობითი საშუალებებით, აქედან გამომდინარე, ჩვენ ვცდილობთ მოვიზიდოთ ახალგაზრდა და უფრო საინტერესო მსახიობები.

***— რამდენი ხანი იყო ეს სამი მსახიობი თოჯინების თეატრში?***

— დიდი ხანია არიან, შეიძლება 40 წელიც. ძალიან დიდი ხანია მუშაობენ თეატრში. სტაჟიანი, გამოცდილი მსახიობები არიან, მაგრამ ხომ იცით, ასაკი მაინც თავისას შვრება. ასე გადაწყვიტა სამხატვრო ხელმძღვანელმა და ამაში განსაკუთრებული არაფერია. როცა ახალი ადამიანი მოდის თეატრში, ყველას თავისი ხედვა, პოლიტიკა და მიმართულებები აქვს. ასე თუ არ მოხდა, მაშინ ხელმძღვანელობის ცვლილებებსაც აზრი არ ექნება. თუ არ მოგვეწონება, მერე უკვე შევაფასებთ, მაგრამ საშუალებაც ხომ უნდა მივცეთ, რომ თავისი გეგმები განახორციელოს?

თეატრი არის ცოცხალი ორგანიზმი, როგორც ყველა სხვა დაწესებულებაში, ისევე ჩვენთანაც, ვიღაცა უნდა მოვიდეს და ვიღაცა უნდა წავიდეს. თავის დროზე, ეს სამი ადამიანი რომ მოვიდა, სხვები ხომ წავიდნენ? ახლა რატომ აღარ ესმით, რომ როცა ახალგაზრდობა მოდის, მათი წასვლის დროა და პენსიაზე უნდა გავიდნენ. ჩვენ მათ არ გავუშვებდით, რომ გვქონდეს დიდი ბიუჯეტი, მაგრამ არ გვაქვს ასეთი ფუფუნება, ამიტომ თუ დღეს არ მოვიყვანეთ ახალი მსახიობი, შეიძლება ერთ-ორ წელიწადში კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ. თოჯინების თეატრის მსახიობებს ისე ვერ შეარჩევ, რომ გახვიდე და კონკურსი გამოაცხადო, ამას სჭირდება დრო, პრაქტიკა. ჩვენ წინასწარ ვფიქრობთ იმაზე, რომ ცოტა ხანში პრობლემის წინაშე არ აღმოვჩნდეთ და ამიტომ ახლავე ვფიქრობთ თეატრში ახალი ძალები შემოვიყვანოთ.

ვერიკო ანჯაფარიძე ღრმად მოხუცებული თამაშობდა, მთელი სპექტაკლი იჯდა სცენაზე სავარძელში და მიდიოდა წარმოდგენა. ჩვენთან ასე არ ხდება, აქ არის დიდი ფიზიკური დატვირთვა, მარტო თოჯინა რომ გეჭიროს ხელში, იმ სიმძიმეა, ამასაც დიდი ძალა უნდა. კოლექტივსაც, დასსაც სჭირდება სიახლე, ერთი ასაკის ხალხი უნდა იყოს, ერთი შემართების, ერთი სტილის, მერე ვერ დგება კარგი პარტნიორობა, ეს ძალიან ნორმალური პროცესია, ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული. თან შენობა რომ არ გვაქვს, ამასაც თავისი სირთულეები ახლავს.

***— თეატრს შენობა როდის ექნება?***

— ეს ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული და მნიშვნელოვანი საკითხია. შენობა რომ არ გვაქვს, ველარ ვთამაშობთ ჩვეულებრივ სპექტაკლებს, გვიწევს ისეთი სპექტაკლების დადგმა, რომელიც იმ სცენას უნდა მოვარგოთ, სადაც წარმოდგენებს ვმართავთ. ამას სულ სხვანაირი ფიზიკური მომზადება სჭირდება. რეპეტიციებს სხვაგან გავდივართ, მიგვაქვს თოჯინები „მუზაში“, მერე ისევ უკან მოგვაქვს და ვწვალობთ ასე. შენობის არქონა ჩვენთვის დიდი ტრაგედიაა.

***— კონკრეტული პასუხი არ გაქვთ ხელისუფლებისგან?***

— არანაირი პასუხი არ გვაქვს. ახლა ვიბრძვით იმისთვის, რომ ვინმემ გვითხრას რაიმე პასუხი, რომ ვიცოდეთ, რა გველის და საერთოდ, როგორია თოჯინების თეატრის მომავალი. სამი წელია თოჯინების თეატრი ღია ცის ქვეშ არის და ასე მუშაობა ძალიან რთულია. ჩვენ შეხვედრა გვაქვს დაგეგმილი სამინისტროში. ამ კვირაში ვართ ჩაწერილები და ზუსტად როდის გამოგვიძახებენ, არ ვიცით.

# ოპერისა და ბალეტის თეატრში დაპირისპირება დასრულებულია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ოპერის თეატრი სპეციფიკურია, ამაში პოლიტიკოსი არ უნდა ჩაერიოს, მოგვცენ იმის საშუალება, რომ თეატრმა თვითონ გაარკვიოს მნიშვნელოვანი საკითხები. ოპერის თეატრი არის სინთეზი, ყველაფერი არის ერთი საქმისთვის გაერთიანებული, ეს არ არის დრამატული თეატრი, ეს ურთულესი სფეროა. ინსტრუმენტი შეიძლება ააწყო და დაუკრა, მაგრამ ადამიანს ვერანაირად ვერ ააწყობ, ადამიანს აწყობს ზეციერი და ეს ყველაფერი ჩვენგან დამოუკიდებელია.

***— კომპრომისზე რომ არ წახვიდოდით, თავიდანვე შეთანხმდით?***

— რა თქმა უნდა. ეს თავიდანვე გადაწყვეტილი იყო. მოვილაპარაკეთ, რომ დასი რეპეტიციებს არ ჩაატარებდა. გიორგი ჟორდანიას თეატრიდან არავინ გააგდებს. ოჯახში გაზრდილი ბიჭია, პატიოსანი კაცია, წესიერი ადამიანია. მასთან, პირადული არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ ეს პირველია? ჩაიხედე შენს გულში და ნახე, სადაც იყავი, რამდენი ხანი იყავი? როგორ წამოხვედი ყველა სამსახურიდან? აიღეს და დასვეს ოპერის თეატრში და ყველა გაოცებული დადიოდა, ყველას და ყველაფერს ელოდნენ, მაგრამ ამას არა.

***— თქვენ გიმღერიათ მისი დირიჟორობით?***

— არა. რაც სამხატვრო ხელმძღვანელი იყო არა, თორემ ადრე კი და ძალიან კარგად ვიცი რა არის და როგორ არის.

***— არჩევნები როდის დაინიშნება?***

— ეს ჯერ არ ვიცით, მაგრამ ჩვენ ვითხოვთ არჩევნებს. შემოიტანოს მანაც თავისი კანდიდატურა. მინისტრს ისიც ვუთხარი, ქრისტიანები ვართ და ადამიანის თეატრიდან გაგდება არ არის ლამაზი. ოჯახი აქვს მას, რომელსაც რჩენა სჭირდება. ჩვენი თეატრი უშველებელია და მას შეუძლია იმუშაოს თავისი სპეციალობით, თუმცა როცა მინისტრმა მოიყვანა ის ამ თანამდებობაზე, თქვა, რომ ეს კაცი სადირიჟორო ჯოხს ხელში არ აიღებსო, მაგრამ მან პირიქით, სულ მე, მე, მე იძახა.

„აბესალომ და ეთერი“ არის ჩვენი სავიზიტო ბარათი, რომლითაც უნდა გაიხსნას ჩვენი განახლებული თეატრი. მან მოინდომა ხუთაქტიანი „აბესალომ და ეთერის“ დადგმა, არადა, ხუთაქტიანი თვითონ კომპოზიტორმა შეკვეცა. არავინ არ იცის რა იქნება მხატვრობა, როგორი დეკორაცია იქნება, ამიტომ კოლექტივის აზრია, რომ გამოცხადდეს კონკურსი რეჟისორზე, მხატვარზე, ბალეტმეისტერზე და სადადგმო გუნდზე. ყველამ მოიტანოს ესკიზები, თავიანთი კონცეფცია, თავიანთი ხედვა. არ შეიძლება ჩვენი საოპერო თეატრი ისე გაიხსნას, რომ იყოს ჩავარდნა. ამ თეატრის გახსნაზე უნდა იყოს მოწვეული სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები, მეგობრები უნდა მოვიწვიოთ საზღვარგარეთიდან, პროდიუსერები, თეატრმცოდნეები, რომლებიც შეაფასებენ ჩვენს ნამუშევარს, ამიტომ ყველაფერი უნდა იყოს უმაღლეს დონეზე. აქ ერთპიროვნული გადაწყვეტილება ყოვლად დაუშვებელია. არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ეს რომ იყოს პროკოფიევი, ჩაიკოვსკი, სულ სხვაა, მაგრამ „აბესალომ და ეთერი“ ერთ-ერთი ურთულესი ნაწარმოებია.

***— არჩევნებში წამოაყენებთ თქვენს კანდიდატურას?***

— კათედრის გამგე ვარ კონსერვატორიაში და ცოტა არ მაქვს წარმოდგენილი როგორ ვიქნები ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიც, თუმცა არის კაცი, რომელიც აქაც არის და ქუთაისშიც არის სამხატვრო ხელმძღვანელი. თუკი შეიძლება ქუთაისში იყო სამხატვრო ხელმძღვანელი, რატომ არ შეიძლება თბილისში იყო, რომელიც აქვე არის 100 მეტრში? პატარა გამოცდილება ნამდვილად არ მაქვს. იცით, რომ შეტანილი მქონდა განაცხადი, მაგრამ ჩემი განაცხადი არ წაუკითხავთ, იმიტომ რომ იყო მითითება, უნდა იყოს ჟორდანიაო. მინისტრმა მაშინ თქვა, დავნიშნე ჟორდანია, მაგრამ თუ ვერ გაამართლებს, შემიძლია ორ საათში გავათავისუფლოო. როცა უმრავლესობა გეუბნება რომ არ ხარ მართალი, უნდა დაიხურო ქუდი და წახვიდე, მაგრამ როცა ხავსს დაუწყებ მოჭიდებას, მაშინ აღარ გაპატიებს თეატრი. არანაკლები შეცდომა იყო მისი მხრიდან დასადგმელ სპექტაკლში მომღერლების არასწორი განაწილების მხრივ.

***— არასწორ განაწილებაში „ბედის ძალას“ გულისხმობთ?***

— არა. მოცარტის დადგმა იყო გადაწყვეტილი. რა აუცილებელია მოცარტი? აბესალომით დაიწყე, დაისით დაიწყე. დირიჟორს ცხოვრების ბოლომდე შეუძლია იდირიჟოროს, მომღერლის საქმე კი სულ სხვანაირადაა. ჩვენი პროფესია ძალიან რთულია, შეიძლება გახვიდე სცენაზე და საერთოდ ვერ იმღერო. ადამიანი როცა გამოდის სცენაზე, არ იცის, რომ დაიწყებს სიმღერას, დაასრულებს თუ არა, განა იმიტომ რომ გამძლეობა არ აქვს, არამედ, არ იცის ღმერთი რას უმზადებს. ბაქოში ერთ-ერთი მომღერალი სკარპიას მღეროდა და რომ დავარდა, ველარ ადგა, იმიტომ რომ მოკვდა.

## ჩჰჯცღჯჰლბ ,



**შვეულად:** 1 კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 2. დამოუკიდებელ ფერმერთა დასახლება ისრაელში; 3. უძველესი ქართული საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 4. ბაღი ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა; 5. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 7. შხამი, საწამლავი; 11. გარეგნული მომხიბვლელობა, ეშხი; 12. დედამიწის არქტიკული ზონის მარად ყინულოვანი უტყეო სივრცე; 13. საპირისპირო შეხედულებათა, ინტერესთა კონფლიქტი; 14. არგენტინელი მწერალი; 15. ჩრდილო და ცენტრალური ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 17. კოლონიებში გამდიდრებულ ადამიანთა სახელწოდება ბრიტანეთში; 19. ველოსპორტის ერთ-ერთი დისციპლინა.

**თარაზულად:** 5. კლიენტისათვის ღვინის შემრჩევი მაღალი კლასის რესტორნებში; 6. სამაგიეროს გადახდა; 8. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 9. საჭმელთა ჩამონათვალი; 10. უწყინარი ხასიათის დაცინვა; 11. თონეში გამომცხვარი პური; 13. ნეპალის დედაქალაქი; 14. დაბალი ხარისხის ალმასი; 16. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 18. გარეული ცხოველი აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის სიმბოლო; 20. მუსიკალური გამის მეშვიდე საფეხური; 21. ქალაქი იმერეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

**ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმღტ.ყტ,ეჯბ ჩჰჯცღჯჰლტ,ბც გფცე[ტ,ბ5**

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ყვანჯი; 2. ზვავი; 3. მუზა; 5. შუქურა; 6. თხილი; 7. ჯანაოზი; 11. ხენდრო; 13. ალაზანი; 14. რომბი; 15. სლალომი; 16. სინდიყი; 17. „სოკარი“; 19. ეპოქა; 20. დუყი.

**თარაზულად**: 1. ყაზარმა; 4. გეიშა; 8. ზვარი; 9. ქუჯი; 10. ნავახა; 12. ფაიფური; 14. რადა; 15. სინეკურა; 16. სამბო; 18. კოლიე; 21. კასიო; 22. ყარყუმი; 23. „ქორწილი“.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ხვიჩია; 2. ალკოვი; 3. ოჩოკოჩი; 4. ჟინვალი; 5. კაროჟნა; 7. ციკლონი; 11. ტაქსა; 12. მიქსტი; 13. დასლერი; 14. პარკუჭი; 15. „ჰამერი“; 17. ნაზუქი; 19. რაჭა.

**თარაზულად**: 5. კრაველი; 6. ყანჩელი; 8. ბეკი; 9. ტოლჩა; 10. ჟავალი; 11. ტიკი; 13. დიამბეგი; 14. პაქტი; 16. ანისი; 18. ჰალვა; 20. ჭანჭური; 21. რეაქცია.

# ქართული თეატრის დღე გიორგი ერისთავის იუბილეს მიეძღვნა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

წაართვეს შენობა, სადაც მის რეპერტუარზე უმკაცრესი ცენზურა იყო დაწესებული. შედეგად 1856 წელს ერისთავის თეატრალური დასი დაიშალა და 70-იანი წლების ბოლომდე ქართველ დრამატურგთა პიესების დადგმები მხოლოდ მოყვარული თეატრალების მიერ ხორციელდებოდა. ქართული სასცენო ხელოვნების ახალი, ძლიერ ნაყოფიერი პერიოდი 1879 წელს დაიწყო, როდესაც თბილისში მოწინავე საზოგადო მოღვაწეების ჯგუფმა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხელმძღვანელობით ქართული პროფესიული დრამატული თეატრის გახსნას მიაღწია. ერთი წლის შემდეგ დრამატული თეატრი ქუთაისშიც გაიხსნა. ამ პერიოდში ქართული დრამატული თეატრების სცენებზე გამოჩნდნენ ნიჭიერი მსახიობები და რეჟისორები, მათ შორის ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა-აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია, რომლებმაც ქართული თეატრალური ხელოვნება მაღალ დონეზე აიყვანეს, — ამბობენ თეატრის მოღვაწეთა კავშირში.

ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა და ის ქართული პროფესიული თეატრის რეფორმატორის გიორგი ერისთავის 200 წლისთავს მიეძღვნა.

ქართული თეატრის დღეს შეუერთდა მარჯანიშვილის თეატრიც და საგანგებო მიმართვა გაავრცელა:

— წელიწადის პირველი თვე იანვარი ყველაზე დატვირთული თვეა დღესასწაულებით. 14 იანვარს მთელი საქართველო ძველით ახალ წელს აღნიშნავს. თეატრისთვის ეს თარიღი კი განსაკუთრებულია — 14 იანვარს 1850 წლიდან დღემდე ჩვენ ქართული თეატრის დღეს აღვნიშნავთ! ვულოცავთ 14 იანვარს ყველა თეატრს, არტისტს, მაყურებელს, ყველა იმ ადამიანს ვინც თეატრს ემსახურება!

ქართული თეატრის დღე აღნიშნა ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასმაც და ამ დღესთან დაკავშირებით მაყურებელს სპექტაკლი „მეფე შიშველია“, შესთავაზა. სპექტაკლის დასასრულს კულტურის სამსახურის უფროსმა ხათუნა ასათიანმა თეატრალებს თეატრის დღე მიულოცა და ფულადი საჩუქრები გადასცა.

ეკა ირემაშვილი

# რობერტ სტურუა: ჰოლივუდზე უარესი ვართ?“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მინდა შეგახსენოთ საიდან წარმოიშვა „კინოვარსკვლავების“ ბეტონში უკვდავყოფა. გასული საუკუნის 20-ან წლებში, ჰოლივუდში ვინმე ტედ გრაუმანი ფეშენებელური კინოთეატრს აშენებდა, რომელიც კინოისტორიაში „ჩინური კინოთეატრის“ სახელით შევიდა. (ცრუ ჩინურ სტილშია აშენებული.) უკვე მაშინ კინოინდუსტრიის მამები მიხვდნენ, რომ მსახიობებს მთელი მსოფლიო იცნობს (ჩარლი ჩაპლინი, მერი პიქფორდი, რუდოლფო ვალენტინო და ა.შ.) ასეთ ადამიანებს ვიღაცა კრიტიკოსმა „ვარსკვლავები“ უწოდა — რადგანაც მათ კაშკაშს, როგორც ასტრონომიულ ვარსკვლავებს, ყველა ხედავს. (ეს პატარა ჩართვა იყო) ჰოდა, როცა მილიონერი ტედ გრაუმანი ერთ ასეთ კინოვარსკვლავ ქალს თითქმის მზა კინოთეატრს უჩვენებდა, ახალგაზრდა ქალმა უცაბედად ჯერ კიდევ ნედლ ბეტონში ჩაადგა ფეხი და დაიწყო... თვითონ გრაუმანი ირჩევდა ვის უნდა დაეფიქსირა ბეტონში საკუთარი ფეხი, ხელი და აფტოგრაფი... 1958 წლიდან დღემდე კი კინოაკადემია ირჩევს პრეტენდენტებს და ცნობილი დიზაინერების მიერ შექმნილი ვარსკვლავებით დამშვენდა დიდების ხეივანი, ასე უწოდა ხალხმა ამ ქუჩას...

ამას წინათ, მოვდიოდი რუსთაველზე და ვიღაცა დასცქეროდა „ვარსკვლავებს“ და ეკითხებოდა თავის მეგობარს ვინ იყო ეს კაციო... შემრცხვა, მაგრამ გამახსენდა — ასეთია მსახიობის ხვედრი..., — წერს რობერტ სტურუა „ფეისბუქში“.

ეკა ირემაშვილი

# ერაყში აფეთქებებს 52 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

ერაყში მომხდარი აფეთქებების სერიას სულ მცირე 52 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ათობით ადამიანი კი დაშავდა.

სამართალდამცავების ცნობით, ერთი დანაღმული ავტომობილი ბაღდადის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში, ბაზარში აფეთქდა, მეორე მანქანა კი ერაყის დედაქალაქის ცენტრალურ რაიონში.

გარდა ამისა, თვითმკვლელი ტერორისტის თავდასხმას ბაღდადის ჩრდილოეთით, რომელიც დაკრძალვაზე მოხდა, 10 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ამასთან, ერაყის პრემიერ-მინისტრის ნური ალ-მალიკი მსოფლიოს დახმარებისკენ მოუწოდებს.

„სუნიტებსა და შიიტებს შორის მიმდინარე ბრძოლა ხანგრძლივი იქნება. თუ ჩუმად ყოფნას გავაგრძელებთ, ამით პატარა, ბოროტი სახელმწიფოების შექმნას შევუწყობთ ხელს, რომელიც რეგიონისა და მსოფლიო უსაფრთხოებაში ქაოსს გამოიწვევს", – აღნიშნა ნური ალ მალიკმა.



გაერო-ს მონაცემებით, 2013 წელი ერაყისთვის ყველაზე სისხლიანი გამოდგა ბოლო 5 წლის განმავლობაში. ტერორისტული აფეთქებების შედეგად გასულ წელს ერაყში 8 800-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

მოამზადა გვრა მამულაშვილმა

# ზბიგნევ ბჟეზინსკი — იანუკოვიჩი მიხვდა, რომ სამართლიანი არჩევნების მოგების შანსი არ აქვს და ამიტომ შეაფარა თავი პუტინის ქოლგას

იანუკოვიჩი მიხვდა, რომ სამართლიანი არჩევნების მოგების შანსი არ აქვს და ამიტომ შეაფარა თავი პუტინის ქოლგას. ამის შესახებ ამერიკელმა პოლიტოლოგმა, აშშ-ის პრეზიდენტის ყოფილმა მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხში ზბიგნევ ბჟეზინსკიმ „უკრაინული პრავდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.



„იანუკოვიჩის მდგომარეობაში, მისთვის ოპტიმალური არჩევანი გახდა პუტინის ქოლგის ქვეშ შეფარება. არ ჩანს, რომ იანუკოვიჩი იმედგაცრუებულია ახლანდელი მდგომარეობით. თუმცა, ევროპელებით მანიპულირებამ მას ბევრი მტერი გაუჩინა ევროპელ ლიდერებს შორის", – განაცხადა ზბიგნევ ბჟეზინსკიმ.

მისივე თქმით, რუსეთის პრეზიდენტი სულ უფრო მეტად ერევა უკრაინის საქმეებში და იანუკოვიჩი იძულებულია, შეეგუოს ამ რეალობას.

ამ ფონზე პეტიციას, რომელიც ამერიკის ხელისუფლებას მოუწოდებს თანამონაწილეობა მიიღონ უკრაინის ექს-პრემიერის იულია ტიმოშენკოს გათავისუფლებაში, დღეისათვის უკვე 105 ათასზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი.

ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამასადმი მიმართვაში, რომელიც თეთრი სახლის საიტზეა განთავსებული, საუბარია იმაზე, რომ ტიმოშენკო პოლიტიკური პატიმარია, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

იმისათვის, რომ პეტიცია ამერიკის სახელმწიფო ადმინისტრაციის განხილვაში შევიდეს, მისთვის ერთი თვის მანძილზე 100 ათას ადამიანს უნდა დაეჭირა მხარი. თეთრი სახლის საიტზე ტიმოშენკოს გათავისუფლების შესახებ პეტიცია 2013 წლის 19 დეკემბერს დაიდო.

პეტიციის დარეგისტრირება მხოლოდ აშშ-ის მოქალაქეს შეუძლია, მაგრამ მისი მხარდაჭერა სხვა ქვეყნების მოქალაქეებსაც შეუძლიათ. ამისათვის საჭიროა თეთრი სახლის საიტზე „პეტიციების" განყოფილებაში შესვლა და დარეგისტრირება. შემდეგ საკუთარ საფოსტო ყუთში რეგისტრაციის დადასტურება. ამი მერე – ისევ მთავრობის საიტზე დაბრუნება, საჭირო პეტიციის მოძებნა და ხმის მიცემა.

ცოტა ხნით უფრო ადრე, 2013 წლის ნოემბრის ბოლოს, თეთრი სახლის საიტზე პეტიციას უკრაინის ხელისუფლების წინააღმდეგ, რამდენიმე კვირაში თითქმის 140 ათასმა ადამიანმა დაუჭირა მხარი.

შეგახსენებთ, რომ მაიდანმა აშშ-ს სენატს მიმართვა გაუგზავნა, რომელიც საერთაშორისო კომიტეტის სხდომაზე უნდა განიხილონ.

უკრაინის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ტარასიუკი მაიდანის მიმართვის ტექსტს ვაშინგტონში წაიღებს, რომელსაც ასევე თან ერთვის ნუსხა უკრაინელი ჩინოვნიკებისა რომელთა მიმართაც მაიდანის წევრები სანქციების დაწესებას მოითხოვენ.

# ამერიკელმა ვეტერანმა დაღუპული ვიეტნამელის ჩაფხუტი ნათესავებს დაუბრუნა

ვიეტნამის ომის ვეტერანმა ჯონ ვასტმა, დაღუპული ვიეტნამელი ჯარისკაცის ოჯახს, გადასცა მისი ჩაფხუტი, რომელიც ამერიკელმა ჯერ კიდევ 1968 წელს სახლში ტროფეის სახით წაიღო, იტყობინება „ასოშეიტედ პრესი".



ამერიკულ-ვიეტნამური ურთიერთობების განვითარებით დაკავებულმა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გამოძებნეს დაღუპული ჯარისკაცის, ბუი დუკ ჰუნგის ნათესავები და გადასცეს ჩაფხუტი, რომელმაც მისი ოჯახის სახლის საკურთხეველზე განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

ჩაფხუტის გადაცემის ცერემონია, რომელსაც დაახლოებით ასი კაცი ესწრებოდა, დასახლება ჰუონგ ნონში, ჰანოედან 70 კილომეტრში გაიმართა. დაღუპული ჯარისკაცის ძმისშვილმა განმარტა, რომ ჩაფხუტი მისი ბიძის ნაწილად ჩაითვლება, რომლის სხეულიც, თავის დროზე, ვერ იპოვეს.

67 წლის ჯონ ვასტმა ვიეტნამში პირადად ჩასვლა ვერ მოახერხა, მაგრამ გადასცა შეტყობინება, რომელშიც ნათქვამია: „ბუი დუკ ჰუნგი მამაცი ჯარისკაცი იყო და მარჯვედ იბრძოდა თავისი ქვეყნისათვის". „მოვიდა დრო დავუბრუნოთ ეს ჩაფხუტი მათ, ვინც იცნობდა და უყვარდა ეს ადამიანი. და მე ამას ვაკეთებ ყოველი თქვენგანისათვის სიყვარულისა და მშვიდობის ფიქრით განმსჭვალული".

როგორც ამერიკელი ჰყვება, 1968 წელს ბრძოლის შემდეგ დაინახა, რომ ერთ-ერთ მოკლულ ვიეტნამელ ჯარისკაცს, მტრედის გამოსახულებიანი ჩაფხუტი ეფარა. მან დაღუპულს მოხსნა ჩაფხუტი და ამერიკაში სუვენირად წაიღო. მან მის ბინაში თაროზე თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარა.

ამერიკის ინტერვენცია ვიეტნამში 30 წლის განმავლობაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის მწვერვალი იყო, რომელიც 1945-1946 წლებში საფრანგეთის კოლონიალური ჯარების ქვეყანაში დარჩენამ გამოიწვია.

ერთ მხარეზე იბრძოდა აშშ-ის, სამხრეთი ვიეტნამის, ავსტრალიისა და სამხრეთი კორეის სამხედრო კავშირი; მეორეზე კი – ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ფრონტი (დასავლეთის ქვეყნებში ცნობილი, როგორც ვიეტკონგი), რომელიც სამხრეთ ვიეტნამის კომუნისტურ ორგანიზაციას წარმოადგენდა. სსრკ და ჩინეთი ჩრდილოეთ ვიეტნამს სამხედრო დახმარებას აწვდიდნენ, თუმცა კონფლიქტში ღიად არ ერეოდნენ.

# ნილოსში 200-ზე მეტი ადამიანი დაიხრჩო



200 ზე მეტი ადამიანი დაიღუპა თეთრ ნილოსში გადავსებული გემის ჩაძირვის გამო. წერს „ბი-ბი-სი". ადგილობრივი მცხოვრებლების განცხადებით, გემზე მყოფი ადამიანები ქალაქ მალაკალიდან გამოიქცნენ სადაც ძალადობა მძვინვარებს.

ეთნიკური კონფლიქტი სამხრეთ სუდანში დეკემბერში დაიწყო, როდესაც ნაციონალური უმცირესობების წარმომადგენლები – ნუერები – პრეზიდენტ სალვა კიირის წინააღმდეგ წავიდნენ, რომელიც ეთნიკურად – დინკაა.

გაეროს მონაცემებით, შეტაკებებში უკვე დაღუპულია ათასი ადამიანი.

## ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ



მეუღლე მზია ჩუხუა-სოფია, შვილები ელგა და ეკა სოფიები, სიძეები კობა ნაყოფია და მალხაზ შაქარიშვილი, რძალი ხათუნა სხირტლაძე, შვილიშვილები ნიკა, ნატა და ანა, შვილთაშვილი ნიკა სოფია, ძმები ოთარ და მურთაზ სოფიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნუგზარ (ნეგუს) ლავრენტის ძე სოფია**

პანაშვიდი: 16, 17 იანვარს, 16-20 საათზე, თბილისი, ვაჟა-ფშაველას I კვარტალი, 19 კორპუსი, III სადარბაზო, ბინა 23.

გამოსვენება: შაბათს, 18 იანვარს, 14 საათზე, საბურთალოს ეკლესიიდან საბურთალოს (კერძოს) სასაფლაოზე.

შვილები ნინო, რამაზ, კალისტრატე მგელაძეები, შვილიშვილები თინათინი, სოფო, ირაკლი, შოთა მგელაძეები, მამა რაფაელი (გრიგოლი) და კახა ჯოხაძეები, რძლები ლია არობელიძე, თინათინ გვენეტაძე, ირინა ბანცაძე, ლამზირა არძენაძე, სიძე ლევან ბასილია, შვილთაშვილები ნინო, ლიკა, რევაზ, გიორგი, იოანე, მულიშვილი თიესა ლესელიძე, დისშვილები, ძმისშვილები, გიორგი და მიხეილ ხანთაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სანიმუშო დედა და ბებია, საგანმანათლებლო-საბიბლიოთეკო საქმის დამსახურებული მუშაკი, კეთილშობილებით სავსე, გამორჩეულად სტუმართმოყვარე, თბილი და ულამაზესი ქალბატონი

**ვერა (ცარუნა) ღლონტი-მგელაძისა**

დაკრძალვა: შაბათს, 18 იანვარს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში.

ცფვუქჯდბფჳჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტქლქტ7
რდბპბც უფჳლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

**ხუთშაბათი 16 იანვარი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ **"ბანზაი"** **17.00** ტ/სერ. **"სიყვარულის საიდუმლოებები"** **18.00** ტ/სერ. **"ცხოვრებისეული რეცეპტი"** **19.30** "შემოძახილი" **21.00** ტ/სერ. **"მაფიოზი"** **22.00** თოქ-შოუ: "არენა" (პ/ე) **23.00** "უცნობი მუსიკა" **00.30** მხ/ფ **"ობოლი"**

**08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00** "ბრიფინგის დრო" **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **11.00** დ/ფ "ალენ ბაშუნგი" **14.00, 16.00** ტ/სერ. **"მაგდა ემი"** **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **23.00** მხ/ფ **"ნიკიტა"**

**06.45** სერ. **"სიყვარული კონტრაქტით"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.40** ქრონიკა. **10.05** სერ. **"ბედის ანაბარა"** 4 სერ. **11.20, 12.05** სერ. **"სიყვარულის საფრთხე"**. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40** კაცების შოუ (გ/ჩ) **15.05** კაცების შოუ (გ/ჩ) (გაგრძელება) **16.03** სერ. **"დაბრუნება"** **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** 12 სერ. **20.50** სერ. **"სილა"** **22.00** ქ/სერ. **"ჩვენი ამბავი"** 10 სერ. (გ/ჩ) **23.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **00.00** მხ/ფ **"მანოლეტე"**

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** **11.00** სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. **"სიყვარული და შურისძიება"** **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **22.00** პროფილი **00.30** მხ/ფ **02.30** კურიერის დაიჯესტი **03.00** მხ/ფ ტიტ.

**06.10** საგალობელი **06.15** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.40** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.45** საუფლონი **11.05** ქართული ალბომი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ **"აბეზარა"** **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.55** კონცერტი -როსინი "პატარა საზეიმო მესა" **17.20** მოკ/ფ **"სერენადა"** **17.50, 22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **18.10** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.30** "პორტრეტები" **20.10** მოკ/ფ **"ჭა"** **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.05** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.10** "ერთსულოვნების სალონი" **22.25** დოკ/ფ "ქართველები უკრაინაში" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუფლონი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 0.00, 2.15, 4.00, 6.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30, 9.15** ფარული კამერა (საბ.) **7.30, 8.10, 9.15** მულტფილმები **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00 სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ) **12.30** მხ/ფ **"მომხიბვლელი ჭკუისკოლოფი"** **14.15, 15.30, 5.15, 6.30** ფარული კამერა **17.45, 21.30, 0.30, 2.45, 4.30** "ყოველდღიური აბები **18.25, 0.45, 4.45** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **21.45, 1.15 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 3.00 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f
cffutynj 3byajpfdhbc4
yt,fhsdbs

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

16
ianvari

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,7533 | ევრო — 2,388 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8754 | 100 რუსული რუბლი — 5,2762 |

## ამინდის პროგნოზი 16 იანვრისთვის




.დცაფვ უფბსლდფჯბცობყცს=




## წარმატება ადვილად მოვა

**დტპ'ბ** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **რეპჯ** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ნ.ეგტ,ბ** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარ თავზე იფიქრეთ. **რბპხ[ბ,ბ** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ქჯვბ** — მშვენიერი დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **მფქოექბ** — არ აჩქარდეთ, მშვიდად აკეთეთ თქვენი საქმე. **ცფცოჯპბ** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **ქპბფყრფქბ** — საღამო მშვენიერი იქნება. **ჟიდბქლჯცფყბ** — გადაიხალისეთ გარდერობი, მნიშვნელოვანი შეხვედრა გელით. **ს[ბც პმფ** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ვტპო.ექბ** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სტდპტ,ბ** — გელით კარგი ახალი ამბავი, ბედი გწყალობთ.

უბცეჰდტ,ს ,ტცყბტჰ ლქტს=

## h3xcqx3cb ფ

**შვეულად:** 1. ჯაზის იმპროვიზებული სტილი; 2. ოსური ცეკვა; 3. სუსტი არაყი; 5. აზერბაიჯანული ხალხური სასიმღერო ჟანრი; 6. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 7. ლეო დელიბის ბალეტი; 11. ბელორუსიის დედაქალაქი; 13. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი; 14. ავსტრალიის და ახალი ზელანდიის აბორიგენი მოსახლეობის წარმომადგენელი; 15. გერმანული საგმირო ეპოსი; 16. საპროტესტო დიპლომატიური მეთოდი; 17. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი ან კონიაკი; 19. თვალის ფერადი გარსი; 20. იტალიის პრემიერ-მინისტრი.

**თარაზულად:** 1. ზოდიაქოს ნიშანი; 4. ვულკანიდან ამოფრქვეული გავარვარებული მასა; 8. ტერიტორია წყალგამყოფ მთებს შორის, სადაც მდინარე მიედინება; 9. ზღვის დიდი ტალღის ძველი ქართული სახელწოდება; 10. დიდი წვეულება; 12. კუთხე საქართველოში; 14. არგენტინის ნაკრებისა და „ბარსელონას" ფეხბურთელი; 15. საგნის გარე ზღვრული მოხაზულობა; 16. ფრანგი მოდელიორი; 18. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 21. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 22. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 23. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც საჭრისი მაგრდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



# ქართული თეატრის დღე გიორგი ერისთავის იუბილეს მიეძღვნა

ეკა ირემაშვილი

ქართული თეატრის დღე გიორგი ერისთავის დაბადებიდან მე-200 წლისთავს მიეძღვნა. თეატრალურ მოღვაწეთა დელეგაციამ მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები დაგეგმა, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი ესწრებოდა. ქართული თეატრის დღე დაიწყო პირველ გიმნაზიაში ვიზიტით, რადგან 1850 წლის 14 იანვარს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა დახმარებით გიორგი ერისთავმა თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობაში გამართა სპექტაკლი „გაყრა". სწორედ ეს დღე ითვლება ქართული პროფესიული თეატრის დღედ.



რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იყო ალექსანდრე (საშა) რეხვიაშვილის ფილმის ჩვენება „რამაზ ჩხიკვაძე" (რამაზ ჩხიკვაძის პორტრეტი კინემატოგრაფიულ სივრცეში). ფილმში მსახიობზე საუბრობენ გელა ჩარკვიანი, რობერტ სტურუა, კახი კავსაძე, ჟანრი ლოლაშვილი, ნიკუშა შენგელაია, ფილმის ქრონომეტრაჟია 70 წუთი. ფილმი შექმნილია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს თანადაფინანსებით.

თეატრისა და კინოს მუზეუმში გიორგი ერისთავის გამოფენა გაიხსნა, სადაც აღინიშნა, რომ მუზეუმი სისტემატურად აწყობს გამოფენებს, პირველი გამოფენა მოეწყო 1928 წელს. საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 13 დეკემბრის დადგენილების თანახმად, სათეატრო მუზეუმს ეწოდა საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი. საზეიმო საღამოზე სიტყვით გამოსვლის სურვილი გამოთქვეს გოგი ქავთარაძემ, ვასილ კიკნაძემ.

რუსთაველის თეატრის ფოიეში გაიმართა გამოფენა, რომელიც ქართული თეატრის რეფორმატორის გიორგი ერისთავის ცხოვრებას და შემოქმედებას მიეძღვნება. ამავე დღეს შედგა გაზეთის „ქართული თეატრის დღე" პრეზენტაცია, რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა.

ქართული თეატრის დღე რუსთაველის თეატრში გამართული ღონისძიებით დასრულდა. როგორც „ახალ თაობას" საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირიდან აცნობეს, სპეციალურად ამ დღისთვის რუსთაველის თეატრში საღამო გაიმართა, რომელზეც თეატრის ცნობილი წარმომადგენლები მიიწვიეს.

— წელს რუსთაველის თეატრში აღინიშნა ქართული თეატრის დღე. თეატრში თეატრალიზებული ღონისძიება ჩატარდა, სადაც მონაწილეობა მიიღეს თეატრის მსახიობებმა. წელს არ გაიცა ნომინაციები, რადგან არ უწევს სახელობითი ნომინაციები. 27 მარტს, თეატრის საერთაშორისო დღეს ჩვენი კავშირი გასცემს წლის საუკეთესო ნომინაციებზე პრემიებს. სახელობითი პრემიები გაიცემა ხოლმე 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, რომელიც არ გაიცემა წელს. საერთოდ, სამ წელიწადში ერთხელ გაიცემა სახელობითი პრემიები, წელს არ უწევს არანაირი პრემიის გაცემა. სხვადასხვა სახელობითი პრემია სხვადასხვა წლებში გაიცემა, — განაცხადეს თეატრის მოღვაწეთა კავშირში.

— ქართული თეატრის დღეს საფუძველი 1850 წლის 14 იანვარს ჩაეყარა, როდესაც თბილისში პირველი სპექტაკლი, გიორგი ერისთავის „გაყრა" დაიდგა. ეს იყო პირველი და იმ დროისთვის ერთადერთი პროფესიული თეატრი საქართველოში. 1850 წელს, დრამატურგ გიორგი ერისთავის აქტიური მონაწილეობით აღორძინდა ქართული თეატრი, რომელსაც მდიდარი სცენური ტრადიციები ჰქონდა. აღორძინების პირველივე დღეებიდან ქართული თეატრი რეალისტური ხელოვნების გზას დაადგა. მის სცენაზე დაიწყო ერისთავისა და ანტონოვის უპირატესად კომედიური ჟანრის პიესების დადგმა. აღსანიშნავია, რომ თეატრის დასს უმძიმეს პირობებში უხდებოდა მუშაობა. მეფის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების შეფერხებისთვის ყველა ღონეს ხმარობდნენ. თეატრს

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## რობერტ სტურუა: ჰოლივუდზე უარესი ვართ?"

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი რობერტ სტურუა სოციალურ ქსელში ცნობილი ქართველი ხელოვანებისთვის გახსნილი ვარსკვლა-



ვების თემას ეხმაურება:

„ყველამ იცის ჩემი დამოკიდულება იმ პროვინციული ვარსკვლავების მიმართ, თბილისის ტროტუარები რომ აავსეს თეატრის, კულტურის სამინისტროს, მერიის მესვეურების სურვილით, ვითომ და ჰოლივუდზე უარესი ვართო? მიუხედავად იმისა რომ პირველი ვარსკვლავი დიდი რამაზ ჩხიკვაძისათვის უნდა გაეხსნათ, მაშინაც კი ხმალამოღებული ვებრძოდი მთავრობას, მიჭირდა, მაგრამ მაინც არ ვმალავდი ჩემს აღშფოთებას! სხვათაშორის რამაზიც იგინებოდა: გასაგები იყო – სახალხო არტისტის წოდებების სანაცვლოდ ეს სამარცხვინო, მბჟუტავი ვარსკვლავებით მოჭედეს ლამაზი საქართველოს თეატრების შესასვლელები! ვიცი, არავინ მომცემს ამის უფლებას, მაგრამ დღესვე ავკრძალავდი, მოვიყვანდი მანქანას და ასფალტს გადავასხამდი. ვილაცა ქაჯების ციხეს ეძებს – მე მივასწავლი! გილოცავთ ქართული თეატრის დღეს და ბედობას!

გაგრძელება მე-10 გვერდზე



## ოლიმპიადაზე ქართველთა მედროშე გედევანიშვილი იქნება

სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს ნაკრების მედროშე ელენე გედევანიშვილი იქნება. 7 თებერვალს სოჭში დაგეგმილ ზამთრის ოცდამეორე ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალ-



ზე ქართველი მოციგურავე ეროვნული დროშით წარდგება. სათადარიგო მედროშედ კი იასონ აბრამაშვილი განიხილება. ამ დროისთვის საქართველოს ოლიმპიური ნაკრები ოთხი წევრისგან შედგება.

ელენე გედევანიშვილის გარდა, გუნდში კიდევ სამი მოთხილამურე ირიცხება. თვის ბოლომდე ჩვენი ნაკრების შემადგენლობა შესაძლოა კიდევ ერთი მოთხილამურით გაიზარდოს. ელენე გედევანიშვილი ამჟამად ბუდაპეშტში იმყოფება, სადაც მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატი ტარდება.

სოჭში ქართული დელეგაცია 5 თებერვალს გაემგზავრება. ოლიმპიური თამაშები კი 7 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით გაიმართება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა